

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს მიერ 2015-2017 წლებში
მიღებული მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილებებისა და განჩინებების
კრებული**

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2018

**SUMMARY OF THE MAIN JUDGMENTS AND
DECISIONS DELIVERED BY
THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
IN 2015-2017 YEARS**

The Supreme Court Of Georgia

Human Rights Centre

Tbilisi

2018



კრებული შეადგინეს და დაამუშავეს:

ეკა მამალაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრის
უფროსი კონსულტანტი

გულიკო მჭედლიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
კვლევისა და ანალიზის ცენტრის
კონსულტანტი

კრებულის რედაქტორი:

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებულის შედგენაში მონაწილეობდნენ:

თორნიკე ჭიჭინაძე, თამარ ორთოიძე და მარიამ ტონია

სტილისტი

თეა მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



THE COLLECTION WAS TRANSLATED AND ELABORATED BY:

Senior Consultant of Human Rights Centre

Eka Mamaladze

Consultant of Analysis and Research Centre

Guliko Mchedlishvili

EDITED BY:

The Head of International Court Practice and Generalization Unit

Prof. Dr. Marina Kvachadze

IN THE COMPILATION OF COLLECTION PARTICIPATED:

Tornike Chichinadze, Tamar Ortoidze and Mariam Tonia

STYLE EDITOR

Tea Maisuradze

GRAPHICS EDITOR AND DESIGN

Marika Maghalashvili

წინასიტყვაობა

უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი უკვე ათი წელია აქვეყნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ქართულ ენაზე. ტრადიციულად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრებული, რომელშიც თავმოყრილია 2015-2017 წლების განმავლობაში ევროპული სასამართლოს მიერ განხილული მნიშვნელოვანი საქმეები კონვენციითა და დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლების შესახებ.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ახალი მიდგომები და პრეცედენტული სამართალი. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციას „ცოცხალ ორგანიზმად“ სწორედ ევროპული სასამართლოს სამართლო პრაქტიკა აქცევს. აღნიშნულ კრებულში შესული საქმეების მაგალითზე, კარგად ჩანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მზაობა, შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უახლესი მაგალითები დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის განმარტავს, აზუსტებს და ნათელს ჰფენს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კრებულში განხილულ საქმეებში, სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: **პრესაში სატირის გამოყენება; პენსიები და სოციალური დახმარება; ოჯახის მონახულების უფლება; ოჯახში ძალადობისგან დაცვა; ბავშვის საუკეთესო ინტერესები; მეურვეობასთან დაკავშირებული დავის კონტექსტში ბავშვის მოსმენის უფლება; რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების დაცვა; თავშესაფრის მაძიებლის უფლებები; დაცვის უფლებები. სტრასბურგის სასამართლომ არაერთი საქმე განიხილა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაკისრებული შეზღუდვის პროპორციულობის თაობაზე. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსამართლეების შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის საქმეები, რომლებშიც სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა კონვენციისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება, ასევე კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების ქრილში განიხილა გაეროს ქარტიით დადგენილი ვალდებულებები.**

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, ფართო პროფილის იურისტებისთვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

მარინა კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

Preface

The Human Rights Centre of the Analytical Department at the Supreme Court of Georgia has been publishing the judgements of the European Court of Human Rights translated into Georgian for more than ten years. Traditionally, within the framework of the Human Rights Centre was prepared the compilation of the significant judgements and decisions, adopted by the European Court of Human Rights in 2015-2017 years, with respect to the rights and freedoms guaranteed in the Convention and its Protocols.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the practice of the European Court of Human Rights, new approaches and the case-law of the Court. The Court's case-law makes the Convention a powerful living instrument. The example of cases contained in this collection shows the willingness of the European Court of Human Rights to meet new challenges and consolidate the rule of law and democracy in Europe. Consequently, the latest examples of the Strasbourg Court's case law are of paramount importance, as it explains and clarifies the rights and freedoms ensured by the Convention.

In the cases discussed in the collection, the Strasbourg Court reviewed such important issues as are as follows: the use of satire in the press; welfare benefits and pensions; the right to family visits; protection against domestic violence; the best interests of the child; hearing children's views in custody proceedings; protection of reputation and private life; the rights of asylum seekers; the defence rights. A number of cases reviewed by the Court concerned the proportionality of restrictions imposed on the right of access to a court. In addition, the European Court of Human rights emphasized the significance of the independence and irremovability of judges. The particular importance is given to those cases, in which the European Court of Human Rights has analysed the interaction between the European Convention and international law, interpreting the obligations arising out of the Charter on the United Nations in the light of the Convention obligations.

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest for judges, barristers, prosecutors, general lawyers, university law school professors, students and to all other interested persons in human rights issues.

MARINA KVACHADZE

Head of Analytical Department

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
იურისდიქცია და დასაშვებობა	
სახელმწიფოთა იურისდიქცია (მუხლი 1)	9
დასაშვებობის კრიტერიუმები	
• სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (მუხლი 34)	10
ძირითადი უფლებები	
სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)	
• პოზიტიური ვალდებულებები	11
• ეფექტიანი გამოძიება	14
• გადავება	16
წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა (მუხლი 3)	
• წამების აკრძალვა	17
• არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა	19
• ღირსების შემლახველი მოპყრობა <i>ეფექტიანი გამოძიება</i>	22
თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება	
• მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი	24
• მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (f) ქვეპუნქტი	25
• მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი	26
საპროცესო უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში	
სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6)	29
• გამოყენება	30
• სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება	31
• სამართალწარმოების სამართლიანობა	36
• საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება	39
საპროცესო უფლებები სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში	
სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)	
• სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)	39
დაცვის უფლება (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი)	41
• მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტი	42
არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხლი 7)	47

სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრების უფლება (მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)	48
პირის უფლება, არ იქნეს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ (მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)	49
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები	
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)	
• პირადი ცხოვრების უფლება.....	50
• პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	59
• ოჯახური ცხოვრება	64
• საცხოვრისის უფლება	69
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9)	
• რელიგიის თავისუფლება	70
გამონატვის თავისუფლება (მუხლი 10)	72
• ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება	79
• პრესის თავისუფლება	84
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)	
• გაფიცვის უფლება	85
სამართლებრივი დაცვის	
ეფექტიანი საშუალების უფლება (მუხლი 13).....	86
დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)	
• მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში	87
• მე-14 მუხლი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში	91
საკუთრების დაცვა (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი).....	92
• საკუთრებით სარგებლობის უფლება	95
საჩივრის ამორიცხვა განსახილველ	
საქმეთა ნუსხიდან (მუხლი 37)	96

იურისდიქცია და დასაშვებობა

სახელმწიფოთა იურისდიქცია (მუხლი 1)

გადაწყვეტილება საქმეზე *მოზერი მოლდოვის რესპუბლიკისა და რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Mozer v. the Republic of Moldova and Russia [GC])*¹ ეხება დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის სასამართლოების (MRT) მიერ შეფარდებული პატიმრობის კანონიერებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში: სტრასბურგის სასამართლო, ევროპული სასამართლო)² დიდმა პალატამ განიხილა იურისდიქციის საკითხი კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით ორ მოპასუხე სახელმწიფოსთან მიმართებაში. განმცხადებელი დაკავებული იყო 2008 წლიდან, თუმცა 2010 წელს მას ორ კომპანიასთან მიმართებით თაღლითობისთვის ბრალი წაუყენეს და მიუსაჯეს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე, რომ ის უკანონოდ იყო დაპატიმრებული. ის ასევე დავობდა საპატიმროში მის მიმართ განხორციელებულ მოპყრობას კონვენციის მე-3, მე-8 და მე-9 მუხლებთან მიმართებით ცალკე და კონვენციის მე-13 მუხლთან ერთიანობაში.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 მუხლები, პალატის გადაწყვეტილებით ამ მუხლების დარღვევას მოლდოვის რესპუბლიკის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისი დასკვნის გამოტანისას, მან გაიზიარა უკვე არსებული მოსაზრებები ორივე მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის თაობაზე დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკასთან მიმართებით (*ილასკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*³, *ივანტოჩი და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*⁴ და *კატანი და სხვები მოლდოვის რესპუბლიკასა და რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁵).

რაც შეეხება რუსეთს, სასამართლომ დაადასტურა, რომ „რუსული მხარის მხარდაჭერაზე მაღალმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ მას ჰქონდა დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკაზე კონტროლი და ზეგავლენა“.

მოლდოვის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ვერ ახორციელებს შესაბამის კონტროლს დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ქმედებებზე, მაშინ როცა საერთაშორისო სამართალი დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ტერიტორიას აღიარებს როგორც მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიას. ამ ყველაფერმა მოლდოვის რესპუბლიკის მიმართ წარმოშვა პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, რომელიც ამბობს, რომ „სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ის სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას მოქალაქეებისთვის“.

¹ Mozer v. the Republic of Moldova and Russia [GC], no. 11138/10, ECHR 2016.

² ავტ. შენიშვნა.

³ Ilascu and Others v. Moldova and Russia [GC], no. 48787/99, ECHR 2004-VII.

⁴ Ivantoc and Others v. Moldova and Russia, no. 23687/05, 15 November 2011.

⁵ Catan and Others v. the Republic of Moldova and Russia [GC], nos. 43370/04 and 2 others, ECHR 2012 (extracts).

დასაშვებობის კრიტერიუმები

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (მუხლი 34)

საქმე ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტი ბულგარეთის წინააღმდეგ (*განჩინება*) (*Bulgarian Helsinki Committee v. Bulgaria (dec)*)⁶ ეხებოდა შემდეგ საკითხს: შეეძლო თუ არა მომჩივან ორგანიზაციას გარდაცვლილი არასრულწლოვნების სახელით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენა.

მომჩივან ორგანიზაციას არ ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ისინი დავობდნენ ორი მოზარდის სახელით, რომლებიც გარდაიცვალნენ 2006 წლის ოქტომბერსა და 2007 წლის ოქტომბერში, ფსიქიკურად დაავადებულ ბავშვთა სახლებში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ ამგვარ სახლებში არსებული მდგომარეობისა და მოზარდების სიკვდილიანობის შესახებ ინფორმაცია შეიტყო 2007 წელს სატელევიზიო დოკუმენტური გადაცემის მეშვეობით. ფსიქიკურად დაავადებულ ბავშვთა სახლებში სიკვდილიანობის მიზეზების დასადგენად ორგანიზაციამ სახელმწიფოს მოთხოვა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ორგანიზაცია დავობდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევას, რადგან ფსიქიკურად დაავადებულ ბავშვთა სახლებში არ არსებობდა სამედიცინო და სხვა სახის დახმარება, რაც თავისთავად ხელს უწყობდა მოზარდების სიკვდილიანობას.

მომჩივანი ორგანიზაცია არ იყო სავარაუდო დარღვევის არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მსხვერპლი. ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, უნდა მიეღო თუ არა სასამართლოს ამგვარი საჩივრები. სასამართლო გამოძიება მიზნად ისახავდა დაედგინა, იყო თუ არა ეს სიტუაცია მსგავსი საქმისა **სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სასარგებლოდ რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷. ზემოხსენებულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიღებდა ისეთ საჩივარს წარმოებაში, სადაც მხარე არ წარმოადგენდა მსხვერპლს. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მომჩივანი ორგანიზაციის პოზიცია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, შემდეგი მიზეზების გამო: ვალენტინ კამპეანუ მონყვლადი იყო და სერიოზული ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა; კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებით წარდგენილი ბრალდებები სერიოზული ხასიათის იყო; არ არსებობდნენ მემკვიდრეები ან კანონიერი წარმომადგენლები, რომლებიც მისი სახელით საჩივარს წარადგენდნენ; მომჩივან ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ვალენტინ კამპეანუსთან და ის ჩართული იყო ეროვნულ სამართალწარმოებაში კამპეანუს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც არ იყო სადავო, რომ მომჩივან ორგანიზაციას შეეძლო მისი სახელით მოქმედება.

წინამდებარე საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორები იყო გადაწყვეტი ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტის მიერ საჩივრის წარდგენის უფლებამოსილების შესწავლისას.

სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილი არასრულწლოვნები, რომლებიც ფსიქიკურად დაავადებულები იყვნენ და დაბადებისთანავე მიატოვეს, არ იყვნენ იმ მდგო-

⁶ Bulgarian Helsinki Committee v. Bulgaria (dec.), nos. 35653/12 and 66172/12, 28 June 2016.

⁷ Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania [GC], no. 47848/08, ECHR 2014.

მარეობაში, რომ გაესაჩივრებინათ ბავშვთა სახლებში არსებული პირობები. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი სახელით გაკეთებული ბრალდებები სერიოზული ხასიათის იყო. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად მოზარდების დედები იყვნენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, მათ შორის კავშირი არ დამყარებულა. ფაქტობრივად, არავინ იყო მათი ინტერესების დამცველი და, შესაბამისად, მათი სახელით საჩივარს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ვერავინ შეიტანდა. ამდენად, მათი სიტუაციის ვალენტინ კამპეანუს საქმეში არსებულ სიტუაციასთან შედარება შესაძლებელია. თუმცა მათ შორის განსხვავებაა შემდეგ ორ ასპექტში: პირველი, მომჩივან ორგანიზაციას გარდაცვლილ მოზარდებთან არანაირი შეხება არ ჰქონია. ორგანიზაცია ეროვნულ გამოძიებაში ჩაერთო მათი გარდაცვალებიდან 4-5 წლის შემდეგ, მაშინ როცა პროკურატურას უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ორგანიზაციას არ შეეძლო პროკურატურისთვის მიემართა ხელახალი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. მეორე, მომჩივანი არ იყო ჩართული ეროვნულ სამართალწარმოებაში. შესაბამისად, ის არ იყო უფლებამოსილი სასამართლოში გაესაჩივრებინა პროკურატურის გადაწყვეტილება, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ვალენტინ კამპეანუს სახელით შეტანილი საჩივრისგან განსხვავებით, აღნიშნული საჩივრები კონვენციასთან არ იყო *ratione personae* შესაბამისი და ის დაუშვებლად იქნა ცნობილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან ასახავს იმ სიძნელეებს, რომლებსაც მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან, როდესაც ცდილობენ ევროპული სასამართლოს დარწმუნებას, რომ არსებობს „განსაკუთრებული გარემოებები“, რომლებიც ამართლებს გარდაცვლილი მოზარდების ინტერესების დაცვას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე.

ძირითადი უფლებები

სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)

პოზიტიური ვალდებულებები

გადაწყვეტილება საქმეზე ლამბერტი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Lambert and Others v. France [GC]*)⁸ ეხებოდა მკურნალი ექიმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, შეეწყვიტა სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მკურნალობა იმ პაციენტისთვის, რომელსაც წინასწარ არ გამოუთქვამს აზრი იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება სურდა მსგავს ვითარებაში.

ვინსენტ ლამბერტმა 2008 წელს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს მიიღო თავის მძიმე დაზიანება და შედეგად მას ოთხივე კიდურის დამბლა ჰქონდა. ლამბერტს საკვებს ხელოვნურად აწვდიდნენ. 2014 წლის 11 იანვარს მკურნალმა ექიმმა, გაიარა რა შესაბამისი აქტით გათვალისწინებული კონსულტაციები, მეორედ მიიღო გადაწყვეტილება ვინსენტ ლამბერტისთვის ხელოვნური კვებისა და ჰიდრატაციის მიწოდების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეაჩერა ექიმის გადაწყვეტილების აღსრულება, 2014 წლის 24 ივნისს სახელმწიფო საბჭომ (*Conseil d'Etat*) დაადგინა, რომ ის კანონიერი იყო.

⁸ Lambert and Others v. France [GC], no. 46043/14, ECHR 2015 (extracts).

წინამდებარე საქმეზე მომჩივნები იყვნენ ვინსენტ ლამბერტის მშობლები, და და ნახევარძმა. მესამე მხარედ ჩართულები იყვნენ ვინსენტ ლამბერტის მეუღლე და ოჯახის ორი სხვა წევრი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მკურნალი ექიმის გადანყვეტილებას. მომჩივნები ძირითადად დავობდნენ, რომ ვინსენტ ლამბერტისთვის ხელოვნური კვებისა და ჰიდრატაციის შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებებს. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ დაირღვეოდა.

მოცემულ საქმეში ხაზგასასმელია ორი ფაქტორი:

პირველი, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს ვინსენტ ლამბერტის სახელით დავა არ შეეძლოთ. აღნიშნული გადანყვეტილების მიღებისას, სტრასბურგის სასამართლომ პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული პრინციპები ახალ კონტექსტში გამოიყენა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ერთი წინა საქმე, რომელშიც მან დაადგინა, რომ აპლიკანტს არ შეეძლო სხვისი სახელით დავა, არ ჰგავდა მოცემულ საქმეს (იხ. *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*⁹ და *სამართლებრივი რესურსის ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁰). ვინსენტ ლამბერტი არ იყო გარდაცვლილი, თუმცა ის მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებოდა; მას არ დაუტოვებია ფორმალური ინსტრუქციები სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მკურნალობის შეწყვეტასთან დაკავშირებით; ამ საკითხთან მიმართებით მისი ოჯახის რამდენიმე წევრს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა; მისი ოჯახის ზოგიერთ წევრს სურდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეეტანა საჩივარი ლამბერტის სახელით, რათა გაესაჩივრებინათ მკურნალობის შეწყვეტა. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი საჩივრების მისაღებად, უნდა დაკმაყოფილდეს ორი ძირითადი კრიტერიუმი: პირველი, არსებობს თუ არა რისკი, რომ უფლების დარღვევის პირდაპირ მსხვერპლს სხვაგვარად წაერთმევა უფლებების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობა. წინამდებარე საქმეში ასეთი რისკი არ არსებობდა, რადგან მომჩივნებს საკუთარი სახელით შეეძლოთ ედავათ ვინსენტ ლამბერტის სიცოცხლის უფლებაზე; მეორე, არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი პაციენტსა და მომჩივნებს შორის. სახელმწიფო საბჭომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ექიმის გადანყვეტილება, რომელიც მომჩივნების მიერ იყო გასაჩივრებული, არ შეიძლებოდა განხილულიყო ვინსენტ ლამბერტის სურვილთან შეუსაბამოდ: სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში დადგენილი არ იყო, რომ მომჩივანთა განცხადებები და ვინსენტ ლამბერტის სურვილი „თანხვედრაში იყო“.

მეორე, მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი ეხება სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მკურნალობის შეწყვეტას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მე-2 მუხლთან მიმართებით მომჩივანთა საჩივარი ვინრო იყო. კერძოდ, მომჩივნებს არ განუცხადებიათ, რომ საქმე ეხებოდა თვითმკვლელობაში დახმარებას ან ევთანაზიას; უფრო მეტიც, ისინი არ ასაჩივრებდნენ სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მკურნალობის შეწყვეტას, არამედ მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ შესაბამის კანონს აკლდა სიცხადე და სიზუსტე და ისინი ასაჩივრებდნენ პროცესს, რომელმაც განაპირობა ექიმის გადანყვეტილება (სხვა ექიმებთან კონსულტაციის გავლა სავალდებულო იყო, თუმცა საბოლოო გადანყვეტილებას მკურნალი ექიმი იღებდა).

⁹ *Nencheva and Others v. Bulgaria*, no. 48609/06, 18 June 2013.

¹⁰ *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania [GC]*, no. 47848/08, ECHR 2014.

სასამართლომ საკითხი განიხილა სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით, პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და მასში მოაზრებული პირადი ავტონომიის ცნების გათვალისწინებით (**პრეტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ**¹¹). სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი ფაქტორები: ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საკანონმდებლო ჩარჩო თავსებადი იყო მე-2 მუხლის მოთხოვნებთან; რა მასშტაბით იქნა გათვალისწინებული პაციენტის, მისი ოჯახის წევრებისა და სამედიცინო პერსონალის სურვილები; შესაძლებელი იყო თუ არა ეროვნული სასამართლოსთვის მიმართვა პაციენტის ინტერესების დასაცავად. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კანონს არ აკლდა სიხადე და სიზუსტე, როგორც ამას მომჩივნები ამტკიცებდნენ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო თავსებადი იყო მე-2 მუხლის მოთხოვნებთან („საკმარისად ნათელი“ და „პაციენტის სიცოცხლის დაცვისკენ მიმართული“).

საქმეში ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Tagayeva and Others v. Russia*)¹²

სასამართლომ განიხილა სახელმწიფოს ვალდებულებები, რომლებიც ეხებოდა ტერორისტთა მიერ მძევლების აყვანას შემთხვევამდე, მისი მიმდინარეობისას და მის შემდეგ. საქმე შეეხება 2004 წლის 1-3 სექტემბერს, ბესლანში, ჩრდილოეთ ოსეთში, მძევლების აყვანას, სამაშველო ოპერაციის ორგანიზებას, სახელმწიფო ძალების მიერ სკოლაზე იერიშსა და შემდგომ სამართალწარმოებას. შემთხვევას ასობით ადამიანი ემსხვერპლა. მომჩივნები (400-ზე მეტი) არიან თავად გადარჩენილები და მათი ნათესავები. ისინი ჩიოდნენ კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით როგორც ცალკე, ასევე მე-13 მუხლთან ერთობლიობაში. საქმის არსებით გარემოებებზე გადანყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის რამდენიმე ასპექტის დარღვევა და არ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა. აღნიშნული გადანყვეტილება რელევანტურია დღეს არსებულ მდგომარეობასთან, რადგან იგი ეხება ტერორისტების მიერ მძევლების ფართომასშტაბიან აყვანასთან დაკავშირებით მე-2 და მე-13 მუხლების პრინციპებს, მათ შორის, სახელმწიფოს ქმედებებს შემთხვევამდე, მისი მიმდინარეობისას და მის შემდეგ.

მე-2 მუხლთან მიმართებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები: პირველი – ეს შემთხვევა პირველია, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი სადაზვერვო ინფორმაციის გაცემით, სახელმწიფომ ვერ შეძლო ადეკვატური ზომების მიღება ტერორისტული თავდასხმის წინააღმდეგ (იხ. **ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**¹³; **მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁴). თუმცა წინამდებარე საქმეში ხელისუფლების მიერ წინასწარ მოპოვებული ინფორმაცია ძალიან კონკრეტული და რელევანტური იყო, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთის საზღვართან ახლოს, ბესლანში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური წლის დაწყების დღეს (2004 წლის 1 სექტემბერი) ტერორისტების მიერ მძევლების აყვანა. მსგავსი თავდასხმები მანამდე რამდენჯერმე განხორციელდა ჩეჩენი სეპარატისტების მიერ. ამდენად, სასამართლომ საფრთხის ქვეშ მიიჩნია განსაზღვრული მოსახლეობის, მათ შორის, მონყვლადი ბავშვების სიცოცხლე, ასევე დაადგინა, რომ შესა-

¹¹ Pretty v. the United Kingdom, no. 2346/02, ECHR 2002-III.

¹² Tagayeva and Others v. Russia, nos. 26562/07 and 8 others, 13 April 2017 (not final).

¹³ Osman v. the United Kingdom, 28 October 1998, § 116, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII.

¹⁴ Mastromatteo v. Italy [GC], no. 37703/97, § 69, ECHR 2002-VIII.

ბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ რისკის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ზომა იქნა მიღებული, სასამართლომ ეს ნაბიჯები არაადეკვატურად მიიჩნია: საბოლოოდ, უკანონოდ შეიარაღებულმა ჯგუფმა შეძლო სკოლის მოსწავლეების თავმოყრა, მომზადება, გადაადგილება და სკოლის დაუფლება ყოველგვარი პრევენციული უსაფრთხოების ზომების გატარების გარეშე. სასამართლომ ასევე განსაკუთრებულად გააკრიტიკა „ერთჯერადი საკმარისად მაღალი დონის სტრუქტურის“ არარსებობა, რომელიც პასუხისმგებელია საფრთხის შეფასებასა და რაზმთან ერთად საფრთხის მართვაზე.

მეორე და მთავარი საკითხი, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა, არის სამაშველო ოპერაციის დაგეგმვისა და მასზე კონტროლის ნაკლებობა, რაც ცენტრალური კონტროლის არარსებობას წარმოადგენს: კერძოდ, ოპერაციაზე ბრძანების უუნარობა „გამოიმუშაოს ბრძანებისა და ანგარიშვალდებულების, კოორდინაციისა და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი დეტალების მკაფიო ზღვარი და მნიშვნელოვანი დეტალები შესაბამისი სამაშველო ოპერაციისათვის, რომელიც დაკავშირებულია აუცილებელ აღჭურვილობასა და ლოგისტიკასთან, ძირითად სტრუქტურებსა და წინასწარ დაგეგმვასთან“.

მესამე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოვლენათა გამოძიება მიმდინარეობდა მე-2 მუხლის დარღვევით, კერძოდ, მან ვერ შეძლო ადეკვატურად შეემოწმებინა სახელმწიფო აგენტების მიერ ლეტალური ძალის შესაბამისი გამოყენება ღონისძიების დროს – 2004 წლის 3 სექტემბერს.

საბოლოოდ, უდავოა, რომ ლეტალური ძალის გარკვეულწილად გამოყენება გამართლებული იყო, თუმცა გამოყენებული ძალა მოიცავდა სხვადასხვა იარაღს, მათ შორის, ყუმბარას, ცეცხლმფრქვეველს და ტანკის იარაღს. მიუხედავად იმისა, რომ „ფართომასშტაბიან ანტიტერორისტულ“ და „პოლიციის რუტინულ“ ოპერაციებს შორის არის სხვაობა, ზემოაღნიშნული მაინც წარმოადგენს პოლიციის ოპერაციას, რომლის უპირველეს მიზანს ძალადობისგან დაზარალებული ადამიანების სიცოცხლის დაცვა (დაახლოებით ათასი ადამიანი, მათ შორის ასობით ბავშვი) და ლეტალური ძალის გამოყენება რეგულირდება „აბსოლუტური აუცილებლობის“ მკაცრი წესით. ასაფეთქებელი და გაურკვეველი იარაღის „მასიური“ გამოყენება, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი რისკის გათვალისწინებით, არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ აუცილებლობად, მოცემულ გარემოებებში.

სასამართლომ განასხვავა კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული პროცედურული ვალდებულება და მე-13 მუხლით გათვალისწინებული სხვა ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების გამოყენების ვალდებულება. სასამართლომ დაადგინა ორი ელემენტი, კომპენსაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მე-13 მუხლთან მიმართებით, შესაბამისად, მომჩივნებმა მოიპოვეს ორივე, რაც საკმარისი იყო კონვენციის მე-13 მუხლის მიზნების შესასრულებლად.

ეფექტიანი გამოძიება

გადანყვეტილება საქმეზე მუსტაფა ტუნცი და ფეცირ ტუნცი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey [GC]*)¹⁵ ეხებოდა მომ-

¹⁵ Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey [GC], no. 24014/05, 14 April 2015.

ჩვენების ვაჟის გარდაცვალებას სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს. ის მიმაგრებული იყო კერძო სანავთობო კომპანიის საკუთრებაში მყოფ ნაკვეთზე, რომელსაც იცავდა ეროვნული ჟანდარმერია. ახალგაზრდა კაცის გარდაცვალება გამოიძიეს ორ ეტაპად: სამხედრო პროკურატურის გამოძიება და სამხედრო სასამართლოს განხილვა. პროკურორის გადაწყვეტილებით არ არსებობდა სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დანყების საფუძველი. მომჩივნებმა გაასაჩივრეს აღნიშნული გადაწყვეტილება და სამხედრო სასამართლომ გასცა ბრძანება დამატებითი გამოძიების ჩატარების შესახებ; პირველი გამოძიება პროკურორმა ჩაატარა და დაასკვნა, რომ მომჩივნების ვაჟი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. სამხედრო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპლიკანტების საჩივარი. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი ვაჟის გარდაცვალების გამოსაძიებლად არ ჩაატარეს ეფექტური გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი არ დარღვეულა, რადგან გამოძიება იყო საკმარისად საფუძვლიანი და დამოუკიდებელი; აგრეთვე, მომჩივნები საკმარისად იყვნენ ჩართულნი გამოძიებაში, რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები და ესარგებლათ შესაბამისი უფლებებით.

მართალია, გადაწყვეტილება იმეორებს სასამართლოს პრაქტიკას მე-2 მუხლის პროცედურული მოთხოვნების შესახებ, თუმცა ის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთმანეთისგან განასხვავებს მე-2 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნასა და მე-6 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სასამართლოს მოთხოვნას (მომჩივნების საქმეში აღნიშნული დებულება არ იყო გამოსაყენებელი). დიდმა პალატამ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნებმა შეიძლება გამოიწვიოს მე-2 მუხლის ფარგლებში პროცედურული საკითხების შესწავლა, არ არის აუცილებელი, რომ უზრუნველყოფილი გარანტიები იმავე წესით შეფასდეს.

მე-6 მუხლის შესაბამისად, ბრალდების შემფასებელი სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე მხარეებისგან. ამ მოთხოვნის შესრულება უნდა შეფასდეს საკანონმდებლო კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა სასამართლოს შემადგენლობის დანიშვნის წესი და მათი ვადის ხანგრძლივობა ან გარე ზეწოლის რისკის წინააღმდეგ საკმარისი გარანტიების არსებობა. მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით უნდა მოხდეს გამოძიების დამოუკიდებლობის არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული შეფასება მთლიანობაში. კონვენციის მე-2 მუხლი არ მოითხოვს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები და ორგანოები იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებლები, თუმცა ისინი საკმარისად დამოუკიდებლები უნდა იყვნენ იმ პირებისა და სტრუქტურებისგან, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც იკვეთება. დამოუკიდებლობის ხარისხი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე, არსებული გარემოებების გათვალისწინებით. როდესაც საკითხი ეხება გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, შეფასებისას სწორი მიდგომაა გაირკვეს, გასაჩივრებული გარემოება რა მასშტაბით ან საერთოდ აყენებს თუ არა ეჭვქვეშ გამოძიების ეფექტიანობას; აგრეთვე, შესაძლებელია თუ არა მისი მეშვეობით გარდაცვალების მიზეზების გამოაშკარავება და პასუხისმგებელი პირების დასჯა. სასამართლომ განმარტა, რომ მე-2 მუხლის პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პარამეტრების საფუძველზე: საგამოძიებო ღონისძიებების ადეკვატურობა, გამოძიების სისწრაფე, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების ჩართულობა და გამოძიების დამოუკიდებლობა. ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ერთმანეთ-

თან კავშირშია და თითოეული მათგანი, ცალ-ცალკე აღებული, თავისთავად არ არის საკმარისი მე-2 მუხლის პროცედურულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, განსხვავებით მე-6 მუხლის დამოუკიდებლობის მოთხოვნებისგან. ეს არის კრიტიკური რეზიუმეები, რომლებიც, ერთად აღებული, გამოიძიების ეფექტურობის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

გაძევა

გადანყვეტილება საქმეზე ფ.გ. შვედეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (F.G. v. Sweden [GC])¹⁶ ეხებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას, გამოიძიოს ინდივიდუალური რისკის ფაქტორი, რომელსაც აპლიკანტი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ წერილობით განაცხადში არ უთითებს.

მომჩივანმა თავშესაფრის მისაღებად მიმართა შვედეთს და განაცხადა, რომ ირანში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში (შვედეთში) მომჩივანმა ისაუბრა სარწმუნოების შეცვლის შესახებ, აღნიშნული გარემოება თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზად არ მიუთითა. აპლიკანტის მოთხოვნა თავშესაფრის მინიჭების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ასევე არ დაკმაყოფილდა მისი შემდგომი მოთხოვნა დეპორტაციის გადავადების შესახებ, რომლის საფუძველად ამჯერად სარწმუნოების შეცვლა მიუთითა, რადგან ზემოხსენებული საფუძველი არ იყო აპლიკანტის საქმის ხელახლა განხილვის გამამართლებელი „ახალი გარემოება“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მომჩივნის ირანში გაძევებას შეეძლო გამოენვია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა, არა მის პოლიტიკურ წარსულთან დაკავშირებული რისკის, არამედ მისი რელიგიის შეცვლასთან დაკავშირებული რისკის გამო.

(i) პირველი საკითხი ეხებოდა იმ ფაქტს, რომ დეპორტაციის შესახებ ბრძანებას ვადა ამოენურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის მიერ გადანყვეტილების მიღების შემდეგ. აღნიშნულის თანახმად, დიდი პალატის წინაშე მთავრობა ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საჩივარი უნდა ამორიცხულიყო საქმეთა სიიდან (კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, მომჩივანს აღარ შეეძლო ედავა, რომ ის წარმოადგენდა მსხვერპლს (34-ე მუხლი). მიუხედავად ამისა, დიდი პალატა ვერ დარწმუნდა, რომ აპლიკანტმა დაკარგა მსხვერპლის სტატუსი. მან აღნიშნა, რომ შეიძლება მიზანშეუწონელი ყოფილიყო მისი საქმის განხილვა, რადგან მომჩივანს უახლოეს მომავალში გაძევება არ ემუქრებოდა (კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), თუმცა „ადამიანის უფლებათა პატივისცემასთან დაკავშირებული განსაკუთრებული გარემოებები“ მოითხოვდა საჩივრის განხილვის გაგრძელებას: კონვენციის 43-ე მუხლის საფუძველზე (კონვენციის განმარტებისთვის სერიოზული საკითხი) საქმე დიდ პალატას გადაეცა განსახილველად და ის ეხებოდა თავშესაფრის მოპოვების პროცედურის მხარეების ვალდებულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. მთავრობის მოთხოვნა, საჩივრის საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

(ii) საქმის ძირითადი არსი ეხებოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულების

¹⁶ F.G. v. Sweden [GC], no. 43611/11, ECHR 2016.

ფარგლებს – შეაფასოს ინდივიდუალური რისკის ფაქტორი, რომელსაც პირი თავშესაფრის მინიჭების თხოვნის შესახებ განაცხადში არ უთითებს. დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პირმა დროულად უნდა წარადგინოს თავშესაფრის მინიჭების შესახებ მოთხოვნა, აღნიშნული მოთხოვნის გამამყარებელ მიზეზებსა და მტკიცებულებებთან ერთად. დიდმა პალატამ ამ პრინციპთან მიმართებით ორი განმარტება გააკეთა.

პირველ რიგში, როდესაც თავშესაფრის მინიჭების შესახებ განაცხადი ეფუძნება „საყოველთაოდ ცნობილ რისკს და ამ რისკის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა წყაროებიდან“, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ ხელისუფლების ორგანოებმა საკუთარი ინიციატივით შეაფასონ ზემოხსენებული ზოგადი რისკები.

მეორე რიგში, რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განაცხადი ეფუძნება კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებულ რისკს, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები ვერ მოთხოვს სახელმწიფოს აღმოაჩინოს ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც აპლიკანტს არ მიუთითებია. თუმცა, თუ სახელმწიფოსთვის „ცნობილი გახდება კონკრეტული პირის მიმართ არსებული რისკი“, რომელიც გაძევების შემთხვევაში მას არასათანადო მოპყრობის დაქვემდებარების საფრთხის წინაშე აყენებს, ხელისუფლება ვალდებულია საკუთარი ინიციატივით შეაფასოს აღნიშნული რისკი.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის ირანში გაძევება, შედეგების ხელისუფლების მხრიდან მის მიერ რელიგიის შეცვლით გამოწვეული შედეგების შეფასების გარეშე, დაარღვევდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მომჩივანს რამდენჯერმე მიეცა შესაძლებლობა თავშესაფრის მოთხოვნის საფუძვლად მიეთითებინა რელიგიის შეცვლა; აპლიკანტმა აღნიშნული საფუძვლის მითითებაზე უარი განაცხადა თავდაპირველი თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობის დროსაც; ასევე თავშესაფრის მოპოვების საკითხის განხილვის პერიოდში მას ჰყავდა კანონიერი წარმომადგენელი.

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა (მუხლი 3)

წამების აკრძალვა

გადაწყვეტილება საქმეზე *ცესტარო იტალიის წინააღმდეგ (Cestaro v. Italy)*¹⁷ ეხებოდა ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი უსაფრთხოების ძალების წევრების წარდგენას მართლმსაჯულების წინაშე.

მომჩივანმა, ბევრ სხვა პირთან ერთად, პოლიციის მიერ სკოლაში განხორციელებული ოპერაციის შედეგად მიიღო ძალიან სერიოზული დაზიანებები; აპლიკანტი აღნიშნულ სკოლაში ღამეს ათევდა 2001 წლის ივლისში, გენუაში, G8 სამიტი ფარგლებში საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის შემდეგ. სამიტი პოლიციასა და დე-

¹⁷ Cestaro v. Italy, no. 6884/11, 7 April 2015.

მონსტრანტებს შორის განსაკუთრებული ძალადობრივი დაპირისპირებით და ქონების მასშტაბური დაზიანებით გამოირჩეოდა. სკოლაში მომხდარი ინციდენტის გამო პოლიციის ოფიცრებისა და ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის საქციელი იყო სასტიკი და სადისტიური. მიუხედავად ამისა, არც ერთი პოლიციელი არ გასამართლებულა სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენებისთვის, რადგან შესაბამისი ბრალდება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ხანდაზმული გახდა. დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ ის პირები, რომლებმაც სკოლაში მომხდარი ფაქტების შესახებ სიმართლის დამალვა სცადეს და უკანონოდ დააკავეს დემონსტრაციაში მონაწილე პირები. მსჯავრდებულებს შედარებით მსუბუქი სანქციები დაეკისრა.

მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული ნაწილები.

საქმე საინტერესოა, რადგან სტრასბურგის სასამართლომ მომჩივანზე თავდასხმა წამებად დააკვალიფიცირა და ამით დაადასტურა, რომ სახელმწიფო აგენტების ქცევა შეიძლება მიჩნეულ იქნეს წამებად არა მხოლოდ დაკითხვის დროს განხორციელებული ქმედებების გამო, არამედ სხვა შემთხვევებშიც (იხ. **ვლადიმირ რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ**¹⁸ და **დედოვსკი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ**¹⁹). სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- (i) სკოლაში მყოფი პირები სცემეს განურჩევლად მათი ვინაობისა; ინციდენტის დროს მომჩივანმა ძალიან სერიოზული დაზიანებები მიიღო;
- (ii) ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაცია იყო წინასწარგანზრახული და დაგეგმილი პასუხი სამიტის განმავლობაში დემონსტრანტების მიერ პოლიციის მიმართ განხორციელებულ თავდასხმებზე; ამდენად ეს იყო მოტივირებული შურისძიება;
- (iii) სკოლაში თავშეფარებულ პირებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ;
- (iv) ეროვნულმა სასამართლოებმა მკაცრად დაგმეს პოლიციის საქციელი, ასევე მათი მცდელობა სკოლაში მომხდარი ძალადობა დაებრალეზინათ მომჩივნისა და იქ მყოფი სხვა პირებისათვის.

სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმეზე ასევე **დაადგინა** მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოებს არ მიუძღვით ბრალი იმაში, რომ მომჩივნის თავდასხმასთან დაკავშირებული ბრალდებები ხანდაზმულობის გამო სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე საბოლოოდ შეწყდა, რეალურ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ეროვნული კანონმდებლობა ასეთი მდგომარეობის მატერიალიზებას უშვებდა. პირველ რიგში, წამებად მიჩნეული ქმედებები არ იყო კონკრეტულად კრიმინალიზებული. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში იყო სტრუქტურული პრობლემა, რომელმაც სახელმწიფო აგენტებს შესაძლებლობა მისცა, კონვენციის მე-3 მუხლით აკ-

¹⁸ Vladimir Romanov v. Russia, no. 41461/02, 24 July 2008.

¹⁹ Dedovskiy and Others v. Russia, no. 7178/03, ECHR 2008 (extracts).

რძალული ქმედების განხორციელების გამო, თავიდან აეცილებინათ სასჯელი. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ გააგრძელა ამ პრობლემის განხილვა კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე და მოპასუხე სახელმწიფოს მითითება მისცა, შიდა კანონმდებლობით უზრუნველყო სანქციის დაკისრება იმ პირებზე, რომლებიც წამებას ან არასათანადო მოპყრობას განახორციელებდნენ.

არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა

გადაწყვეტილება საქმეზე *ხლაიფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Khlaifia and Others v. Italy [GC])*²⁰ ეხებოდა მომჩივნების, სამი ტუნისელი ეკონომიკური მიგრანტის, კუნძულ ლამპედუსაზე ჩასვლას, მათ თავდაპირველ განთავსებას ემიგრანტთა მისაღებ ცენტრში და გემზე დაკავებას, რომელიც მიზნული იყო პალერმოს ნავსადგურზე, რასაც მოჰყვა მათი გადაყვება ტუნისში, 2011 წლის აპრილში იტალიასა და ტუნისის შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურის შესაბამისად. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ დაედევნათ კონვენციის მე-3, მე-5, მე-13 მუხლებითა და მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების დარღვევა, ასევე მე-13 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში; დიდმა პალატამ წინამდებარე საქმეზე არ დაადგინა სხვა მუხლების დარღვევა. გადაწყვეტილება შეისწავლის ემიგრანტების კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გარკვეულ დეტალებს მიგრაციის მიზეზებისა და ჰუმანიტარული კრიზისის ფონზე, რომელიც გამომჟღავნდა 2011 წელს, როდესაც „არაბულ გაზაფხულთან“ დაკავშირებულმა მოვლენებმა გარკვეულ სახელმწიფოებში (მოცემულ შემთხვევაში, ლამპედუსას კუნძულზე) ემიგრანტების მასობრივი შემოდინება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვანად იმოქმედა მიმღებ სახელმწიფოზე.

რაც შეეხება კონვენციის მე-3 მუხლს, გადაწყვეტილება მიმოიხილავს მე-3 მუხლის მიხედვით სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელიც მოიცავს მიგრანტების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლას (სხვებს შორის, მათი პატიმრობის პირობებს და კონკრეტულად ციხის გადატვირთულობას).

მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის საპასუხოდ, მთავრობა დავობდა, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა განსაკუთრებული ჰუმანიტარული საგანგებო მდგომარეობა. ერთი მხრივ, დიდმა პალატამ მიუთითა **საქმეზე *მ.ს.ს. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]***²¹, სადაც სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-3 მუხლი აბსოლუტური ხასიათის იყო და მიგრაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები სახელმწიფოს არ ათავისუფლებდა მე-3 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებისგან, შესაბამისად, ამ საკითხის შეფასებისას, ეს ფაქტორი მხედველობაში ვერ მიიღებოდა. მეორე მხრივ, დიდმა პალატამ წინამდებარე საქმეზე დაადგინა შემდეგი:

„მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კრიზისი ვერ გაამართლებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით არაბუნებრივი იქნებოდა საქმის გარემოებების განხილვა ზოგადი კონტექსტის გათვა-

²⁰ Khlaifia and Others v. Italy [GC], no. 16483/12, ECHR 2016.

²¹ M.S.S. v. Belgium and Greece [GC], no. 30696/09, §§ 223-24, ECHR 2011.

ლისწინების გარეშე. ამრიგად, სასამართლო შეფასების დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღებს იმ გარემოებას, რომ აპლიკანტებისთვის გამოწვეული გაუსაძლისი სირთულეები მეტწილად გამომდინარეობდა იმ რთული სიტუაციიდან, რომლის წინაშეც აღმოჩნდა იმ დროისთვის იტალიის ხელისუფლება“.

გადაწყვეტილება საქმეზე მური ნიდერლანდების წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Murray v. the Netherlands [GC])²² ეხებოდა უვადო პატიმრობის ვადის შემცირების შესაძლებლობის *de facto* არარსებობას. 1980 წელს მომჩივანი დამნაშავედ ცნეს მკვლელობაში. ფსიქიატრის დასკვნისა და დანაშაულის რეციდივის რისკის გათვალისწინებით, მას უვადო პატიმრობა მიესაჯა. მომჩივნის მიერ წარდგენილი შეწყალების თხოვნები არ დაკმაყოფილდა. 2011 წელს კანონმდებლობით შემოღებულ იქნა უვადო პატიმრობის გადასინჯვის პროცედურა: 2012 წელს მომჩივნის სასჯელის პირველი გადასინჯვის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა (დანაშაულის რეციდივის რისკის საფუძველზე). 2014 წლის მარტში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ის შეიწყალეს და გაათავისუფლეს. აპლიკანტი მოგვიანებით გარდაიცვალა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავა გააგრძელეს აპლიკანტის დამ და შვილმა.

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ის დავობდა უვადო პატიმრობის ვადის შემცირების *de facto* შეუძლებლობას და იმგვარი რეჟიმის არარსებობას, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად, მომჩივნის უვადო პატიმრობის ვადის შემცირების შესაძლებლობა არ არსებობდა, დიდმა პალატამ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა და განაცხადა, რომ მე-3 მუხლის საფუძველზე, წარდგენილი საჩივრის დარჩენილ ნაწილზე გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობდა.

დიდი პალატის აღნიშნული გადაწყვეტილება ავითარებს სასამართლოს პრაქტიკას უვადო პატიმრობის ვადის *de facto* შემცირების აუცილებლობასთან დაკავშირებით (*კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*²³; *ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]*²⁴; *ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*²⁵).

(i) დიდმა პალატამ დაადგინა, რომ პატიმრის რეაბილიტაცია უნდა დაიგეგმოს დასაწყისშივე, რათა უვადო პატიმრობის გადასინჯვას ჰქონდეს შესაბამისი მნიშვნელობა და უვადო პატიმრობის *de facto* შემცირება შესაძლებელი იყოს. კერძოდ:

– დიდი პალატის დასაბუთებაში პატიმართა რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე იყო ყურადღება გამახვილებული. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ რეაბილიტაცია წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმურ პენოლოგიურ საფუძველს და ხაზი გაუსვა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში რეაბილიტაციის მნიშვნელობის გაზრდაზე *ვინტერი და სხვების საქმის კონტექსტს* გარეთ (მაგ.: *დიქსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]*²⁶; *ჯეიმსი, ველსი*

²² Murray v. the Netherlands [GC], no. 10511/10, ECHR 2016.

²³ Kafkaris v. Cyprus [GC], no. 21906/04, ECHR 2008.

²⁴ Vinter and Others v. the United Kingdom [GC], nos. 66069/09 and 2 others, ECHR 2103 (extracts).

²⁵ Harakchiev and Tolumov v. Bulgaria, nos. 15018/11 and 61199/12, ECHR 2014 (extracts).

²⁶ Dickson v. the United Kingdom [GC], no. 44362/04, ECHR 2007-V.

და ლიი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ²⁷ და ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]²⁸). მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს არ აქვთ რეაბილიტაციის უფლება, მათ უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია. უვადო პატიმარს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა რეაბილიტაციის გზას დაადგეს, რათა მას ჰქონდეს იმედი, რომ ერთ დღეს გათავისუფლდება.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა „ინდივიდუალური პროგრამის“ შექმნისა და პერიოდულად განხილვის გზით, რაც წაახალისებდა პატიმარს, მოეხდინა საკუთარი თავის რეაბილიტაცია და გაღვივებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა. თუ სახელმწიფო უვადო პატიმარს არ უზრუნველყოფს რეაბილიტაციის რეალური შესაძლებლობით, რეაბილიტაციის გზაზე მისი პროგრესის ნებისმიერი განხილვა, ისევე როგორც უვადო პატიმრობის ვადის დე ფაქტო შემცირება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. შესაბამისად, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, უვადო პატიმრებისთვის უზრუნველყო ისეთი „ციხის რეჟიმი“, რომელიც შეესაბამებოდა რეაბილიტაციის მიზანს და ხელს შეუწყობდა მათ რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

„ინდივიდუალიზებული პროგრამის“ მიდგომა განსაზღვრულ კონტექსტში ვრცელდებოდა აღნიშნულ საქმეზე. მომჩივანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, თუმცა მას ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რაც ნიშნავდა, რომ არსებობდა მის მიერ დანაშაულის რეციდივის რისკი. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს პატიმართა მკურნალობის საჭიროებები, რათა ხელი შეეწყოს მათ რეაბილიტაციას და შეამციროს დანაშაულის რეციდივის რისკი. თუ პატიმრები ექვემდებარებიან მკურნალობას, მათ უნდა ჩაუტარდეთ აღნიშნული მკურნალობა (ითხოვენ თუ არა ისინი მას), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის მომავალში მათი შესაძლო გათავისუფლების წინაპირობაა.

აქედან გამომდინარე, უვადო პატიმრები მსგავს პირობებში უნდა იყვნენ. მათ უნდა ჩაუტარდეთ ზემოხსენებული მკურნალობა, რაც მისცემს რეალურ შესაძლებლობას, მოახდინონ საკუთარი თავის რეაბილიტაცია და ჰქონდეთ გათავისუფლების იმედი. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობამ უვადო პატიმრობის შემცირება შეიძლება დე ფაქტო შეუძლებლად აქციოს.

- (ii) წინამდებარე საქმეში დიდმა პალატამ დაადგინა, რომ აპლიკანტის ფსიქიკური პრობლემების მკურნალობა წარმოადგენდა რეაბილიტაციის გზაზე მისი პროგრესისა და დანაშაულის რეციდივის განხორციელების რისკის შემცირების წინაპირობას. შესაბამისად, მომჩივნის მკურნალობისა და ასევე მისი მკურნალობის საჭიროების შეფასების არარსებობა ნიშნავდა, რომ ვერც შეწყალება და ვერც მისი პროგრესის გადასინჯვა ვერ განაპირობებდა იმ დასკვნამდე მისვლას, რომ მომჩივანმა განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი და მისი პატიმრობის გაგრძელება აღარ ემსახურებოდა პენოლოგიურ მიზანს. ამრიგად, აპლიკანტის სასჯელი არ იყო დე ფაქტო შემცირებადი და წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

²⁷ James, Wells and Lee v. the United Kingdom, nos. 25119/09 and 2 others, 18 September 2012.

²⁸ Khoroshenko v. Russia [GC], no. 41418/04, ECHR 2015.

ღირსების შემლახველი მოპყრობა

გადანყვეტილება საქმეზე კაზანი რუმინეთის წინააღმდეგ (Cazan v. Romania)²⁹ ეხებოდა მომჩივნის, როგორც ადვოკატის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას იმ დროს, როდესაც ის პოლიციის მთავარ სამმართველოში კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა. ის საკუთარი სურვილით მივიდა პოლიციის განყოფილებაში იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს აპელიკანტი დავობდა, რომ პოლიციის შენობაში მან იღრძო თითი, რასაც რამდენიმე დღიანი მკურნალობა დასჭირდა. მთავრობამ უარყო სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის განხორციელების ფაქტი.

აღნიშნული გადანყვეტილება საინტერესოა, რამდენადაც ის კონვენციის მე-3 მუხლზე ავრცელებს ადვოკატის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ზოგად პრინციპებს (იხ. **მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**³⁰). კერძოდ, გადანყვეტილებაში აღნიშნულია 2001 წლის 19 სექტემბერს მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ადვოკატების უფლება – შეასრულონ პროფესიული მოვალეობები არასათანადო მოპყრობის დაქვემდებარების გარეშე. შესაბამისად, „პოლიციის ვალდებულებას წარმოადგენდა პატივი ეცა ადვოკატთა როლისთვის; პოლიცია არ უნდა ჩაერიოს მათ საქმიანობაში და არ უნდა დააშინოს ისინი რაიმე ფორმით... ასევე, პოლიციამ ადვოკატების მიმართ არ უნდა განახორციელოს რაიმე სახის არასათანადო მოპყრობა“. ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, როდესაც ადვოკატი პოლიციის შენობაში წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, მის მოპყრობასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება.

ეფექტიანი გამოძიება

გადანყვეტილებაში საქმეზე მ. და მ. ხორვატიის წინააღმდეგ (M. and M. v. Croatia)³¹ სასამართლომ განიხილა სახელმწიფოს ვალდებულებები ოჯახში ძალადობის ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ბავშვებზეც ვრცელდება.

მომჩივნები, დედა (მეორე მომჩივანი) და მისი ქალიშვილი (პირველი მომჩივანი) დავობდნენ, რომ ხელისუფლებამ არ გადადგა სათანადო ნაბიჯები, რათა დაეცვა პირველი მომჩივანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის არასათანადო მოპყრობისაგან, რომელსაც ახორციელებდა მისი მამა და მეორე მომჩივნის ყოფილი ქმარი. იმ დროისათვის პირველი მომჩივანი მამის მეურვეობის ქვეშ იყო. მომჩივნებმა პოლიციას შეატყობინეს, რომ პირველ მომჩივანს დაუზიანდა თვალი და ამტკიცებდნენ, რომ ეს მამის ბრალეულობით მოხდა. იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით, მათ განაცხადეს ძალადობის სხვა ფაქტების შესახებ, რის შემდეგაც მამის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაიწყო წინამდებარე საქმის განხილვა, პირველი ინსტანციის

²⁹ Cazan v. Romania, no. 30050/12, 5 April 2016.

³⁰ Morice v. France [GC], no. 29369/10, 23 April 2015.

³¹ M. and M. v. Croatia, no. 10161/13, ECHR 2015.

სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის საქმისწარმოება ჯერ კიდევ განიხილებოდა, დაწყებიდან ოთხ წელიწად-ნახევარზე მეტი ხნის შემდეგ. პირველი მომჩივანი თავისი ნების საწინააღმდეგოდ განაგრძობდა მამასთან ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში მშობლები დავობდნენ ქალიშვილის მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება საინტერესოა იმ მხრივ, რომ სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის, მოცემულ შემთხვევაში ბავშვის, განსაკუთრებული დაუცველობა და მათი დაცვის პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობის აუცილებლობა. მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: ა) არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებას, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა; ბ) ეფექტური გამოძიების წარმოებას, სადაც ინდივიდუალური პირი აყენებს არასათანადო მოპყრობის შესახებ სადავო პრეტენზიას.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-3 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებები. მომჩივნები დავობდნენ, რომ პირველი მომჩივანი დაექვემდებარა იმგვარ მოპყრობას, რასაც სასამართლო „დამამცირებელ მოპყრობას“ უწოდებდა. აღნიშნულ ბრალდებასთან მიმართებით საჭირო იყო ეფექტიანი გამოძიების წარმოება. თუმცა პირველი მომჩივნის მამის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხის შესწავლის დროის გათვალისწინებით, შეიძლება მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა, რომ გამოძიებამ ვერ შეასრულა ეფექტიანი გამოძიების ცნებით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, სწრაფი და გონივრული შესწავლა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ გადადგა გონივრული ნაბიჯები, რათა შეეფასებინა შემდგომში შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკი. მე-3 მუხლის პოზიტიური ვალდებულების დარღვევის საფუძველს არ წარმოადგენდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მამას მისცემოდა უფლება, გაეგრძელებინა პირველ მომჩივანზე მზრუნველობა მას შემდეგ, რაც პოლიციას ეცნობა განხორციელებული ძალადობისა და მამის წინააღმდეგ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებისა შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა ეფუძნება მის წინაშე არსებულ მტკიცებულებათა საფუძვლიან შეფასებას და იმ მეთოდს, რომლის გამოყენებით ხელისუფლება ახორციელებდა მეორე მომჩივნის მდგომარეობის მონიტორინგს, მეურვეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს.

გადაწყვეტილება საქმეზე ლიალიაკინი რუსეთის წინააღმდეგ (*Lyalyakin v. Russia*)³² ეხებოდა სამხედროების მიერ განხორციელებულ მოპყრობას 19 წლის სამხედრო ჯარისკაცის მიმართ, რომელიც გაქცევის მცდელობის დროს დაიჭირეს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ის დასაჯეს და სამხედრო აღლუმზე მხოლოდ სამხედრო შორტებით ყოფნა აიძულეს.

ეს იყო **პირველი შემთხვევა**, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ განიხილა, აღწევდა თუ არა არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის სისასტიკის ზღვარს ის ფაქტი, რომ მომჩივანს დააძალეს ტანსაცმლის გახდა და მხოლოდ სამხედრო შორტების ამარა მისი ქვედანაყოფის წინ ხაზზე გასვლა. სასამართლომ არაერთხელ გა-

³² Lyalyakin v. Russia, no. 31305/09, 12 March 2015.

ნაცხადა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სამხედროების მიერ სამხედრო სამსახურის შესრულება იმ პირობებში, რომელიც შეესაბამება მათ ადამიანურ ღირსებას (*ჩემბერი რუსეთის წინააღმდეგ*³³). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ითვალისწინებს სამხედრო დისციპლინის შენარჩუნების საჭიროებას, მან აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რატომ იყო საჭირო მომჩივნის ბატალიონის რიგებიდან გამოყოფა და გაშიშვლება, მისი ან სხვა ჯარისკაცების გაქცევის პრევენციისთვის.

ასეთი მოპყრობის შედეგად მომჩივანი იყო შეურაცხყოფილი და მისი პატარა ასაკი მიჩნეულ უნდა იქნეს დამამძიმებელ ფაქტორად. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში მომჩივნის მოპყრობამ მიაღწია სისასტიკის ზღვარს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტი, კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, დაექვემდებარა დამამძიმებელ მოპყრობას.

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

გადანყვეტილება (არასაბოლოო³⁴) საქმეზე შერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sher and Others v. the United Kingdom*)³⁵ ეხებოდა ტერორიზმთან ბრძოლასა და დაკავებული პირების პროცედურული და დაცვითი უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მომჩივნები, პაკისტანის მოქალაქეები, ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად დააკავეს; 13 დღის განმავლობაში ისინი პატიმრობაში იმყოფებოდნენ. საბოლოოდ, აპლიკანტები ბრალის წარდგენის გარეშე გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მათი პატიმრობის ვადის გაგრძელების განხილვისას, უარი ეთქვათ შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე, რადგან კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც მხარს უჭერდა მათი პატიმრობის გაგრძელებას, არ ჩაჰბარდათ; აგრეთვე, ერთ-ერთი სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში ჩატარდა. მომჩივნები ეყრდნობოდნენ კონვენციის 5.4 მუხლს.

აღნიშნული საქმე **საინტერესოა**, რადგან სასამართლოს კიდევ ერთხელ უნდა მიეღო გადაწყვეტილება – ტერორიზმთან ბრძოლასა და ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების კონვენციით გათვალისწინებული უფლებების პატივისცემას შორის, ბალანსის დაცვის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე

³³ *Chember v. Russia*, no. 7188/03, ECHR 2008, see Annual Report 2008.

³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად. კერძოდ, პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება: ა) როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ბ) პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; გ) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკამყოფილებაზე. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობისთვის.

³⁵ *Sher and Others v. the United Kingdom*, no. 5201/11, ECHR 2015.

ხელისუფლებას ექვი ჰქონდა ტერორისტული თავდასხმის განხორციელების შესახებ და მის აღსაკვეთად ჩატარდა განსაკუთრებით კომპლექსური გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 5.4 მუხლის დარღვევა არ დაადგინა და აღნიშნა, რომ ტერორიზმი განეკუთვნება სპეციალურ კატეგორიათა რიცხვს და ზემოთ მითითებული მუხლი ვერ გამოიყენება დახურულ სხდომაზე საქმის განხილვას, როდესაც სასამართლოს, პატიმრის ან მისი ადვოკატის გარეშე, წარედგინება კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ხელისუფლების ვერსიებს. მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გაამჟღავნოს ადეკვატური ინფორმაცია, რომელიც დაკავებულს საშუალებას მისცემს გაიგოს მის მიმართ არსებული ბრალდებების არსი და უარყოფს ისინი; აგრეთვე, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს იმ სამართალწარმოებაში, რომელიც მისი პატიმრობის გაგრძელებას ეხება.

მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადასტურა, რომ ტერორისტული თავდასხმის საშიშროება ამართლებდა მომჩივნების 5.4 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას. აპლიკანტებს და მათ ადვოკატებს განემარტათ მიზეზები, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა მათთვის კონკრეტული ინფორმაციის დამალვა. ინფორმაციის დამალვა მიზნად ისახავდა შემდგომი გამოძიების ჩატარებას; აღნიშნული ინფორმაცია წარედგინებოდა მოსამართლეს, რომელსაც დახურულ სხდომაზე შეეძლო შემოწმებინა, უმაღლესდენ თუ არა მომჩივნებს რაიმე ინფორმაციას საჭიროების გარეშე; აგრეთვე მოსამართლეს შეეძლო გამოერკვია, არსებობდა თუ არა გონივრული საფუძვლები იმ რწმენის ჩამოსაყალიბებლად, რომ აპლიკანტების პატიმრობის გაგრძელება აუცილებელი იყო.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ შესაბამის კანონმდებლობაში ცალსახა დებულების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლე უფლებამოსილია დანიშნოს სპეციალური ადვოკატი, თუ მიაჩნია, რომ სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მისი დანიშვნა. აღსანიშნავია, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ მოთხოვნილი სპეციალური ადვოკატის დანიშვნა.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (f) ქვეპუნქტი

გადანწყვეტილებაში ვალარდო სანჩესი იტალიის წინააღმდეგ (*Gallardo Sanchez v. Italy*)³⁶ სასამართლომ განმარტა, რომ უფრო მეტი გულისხმიერებაა საჭირო, როდესაც ექსტრადაციის მოთხოვნა ეხება პირს, რომელსაც ექსტრადაციის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ელის. მომჩივანი დავობდა, რომ ის დაპატიმრებული იყო დაახლოებით ერთი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში, საბერძნეთში ექსტრადაციის მოლოდინში, სადაც ბრალი ედებოდა ცეცხლის გაჩენაში. სასამართლომ კონვენციის 5.1 მუხლის დარღვევა დაადგინა. ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები აღსანიშნავია, რადგან ისინი ავითარებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას კონვენციის 5.1. მუხლის „f“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სასამართლომ გამოიკვლია, რომ საბერძნეთის მიერ ევროპის საბჭოს ექსტრადაციის შესახებ კონვენციის (შესწორებული) შესაბამისად წარდგენილი ექსტრადაციის მოთხოვნა არ იყო მიმართული იმ პირისკენ, რომელიც გაასამართლა საბერძნეთის სასამართლომ და რომლის დაბრუნება მიზნად ისახავდა სასჯელის აღსრულებას. ამის

³⁶ Gallardo Sanchez v. Italy, no. 11620/07, ECHR 2015.

საპირისპიროდ, საბერძნეთის ხელისუფლებამ მომჩივნის ექსტრადიციის მოითხოვა იმისთვის, რომ საშუალება მისცემოდა განეხილა საბერძნეთში მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები.

ექსტრადიციის მოლოდინში მომჩივნის მიერ პატიმრობაში გატარებული დროის გონივრულობის შეფასებისას, ექსტრადიციის მოთხოვნის დროს სახელმწიფოს მიერ გულმოდგინების გამოვლენის ხარისხის კუთხით, სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა ზემოთ მოცემული ორი სიტუაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსტრადიციის განმარტაციულად სახელმწიფოს უფრო მეტი გულმოდგინება მოეთხოვებოდა, რათა უზრუნველყო იმ პირის დაცვის უფლება, ვის წინააღმდეგაც სახელმწიფოში სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობს.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა საქმის გარემოებები, ისევე როგორც საბერძნეთის მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის მიზეზები და ამ მოთხოვნის შესრულების გადადების ვადა, რომელზე პასუხისმგებლობაც იტალიის ხელისუფლებას ეკისრებოდა და გადაწყვიტა, რომ დაირღვა კონვენციის 5.1 მუხლი.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი

საქმეში მეგეი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Magee and Others v. the United Kingdom*)³⁷ მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხი: 5.3 მუხლში მითითებული მოსამართლე იყო თუ არა ვალდებული პატიმრობის ადრეულ ეტაპზე განეხილა ბრალდებულის პირობით გათავისუფლება.

მომჩივნები დააკავეს პოლიციის ოფიცრის მკვლელობაში მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე. ისინი 48 საათის შემდეგ წარუდგინეს ჩრდილოეთ ირლანდიის სასამართლოს მოსამართლეს, რომელმაც განიხილა მათი დაკავების კანონიერება და გააგრძელა მისი ხანგრძლივობა მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში (შემდგომი დაკითხვისა და სასამართლო ექსპერტიზისთვის). მოგვიანებით, მათი წინასწარი პატიმრობა კიდევ გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ მომჩივნები თორმეტი დღის შემდეგ ყველანაირი ბრალდების გარეშე გაათავისუფლეს. 2000 წლის ტერორიზმის შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, დაკავებული ბრალდების გარეშე პატიმრობაში შეიძლება იყოს მაქსიმუმ ოცდარვა დღის განმავლობაში. დაკავების კანონიერება უნდა განიხილოს კომპეტენტურმა მოსამართლემ 48 საათის განმავლობაში და შემდგომ, ყოველ შვიდ დღეში. მართალია, მოსამართლეს ჰქონდა დაკავებულის გათავისუფლების უფლება, იმ შემთხვევაში თუ მისი დაკავება/ადრეული პატიმრობა უკანონო იყო, თუმცა მას არ ჰქონდა გირაოს სანაცვლოდ პატიმრის გათავისუფლების უფლებამოსილება.

საქმე **საინტერესოა**, რადგან ის მოიცავს სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის სიღრმისეულ მიმოხილვას 5.3 მუხლის ორივე ნაწილთან დაკავშირებით: საწყისი ეტაპი, დაკავების შემდეგ დაუყოვნებლივ (პირველი ნაწილი) და მომდევნო პერიოდი – მიმდინარე სასამართლო პროცესის განმავლობაში (მეორე ნაწილი).

გარდა ამისა, სასამართლომ პირველ ნაწილთან დაკავშირებით არაერთხელ აღნიშნა, რომ 5.3 მუხლი ითხოვს, ბრალდებული დაუყოვნებლივ და ავტომატურად წარუდგინონ მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით განსაზღვრულ სხვა მოხელეს, რომელსაც აქვს უფლებამოსილება განიხილოს

³⁷ *Magee and Others v. the United Kingdom*, nos. 26289/12 and others, ECHR 2015.

დაკავებისა და პატიმრობის კანონიერება, აგრეთვე არსებობდა თუ არა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი; გარდა ამისა, აღნიშნულ პირს შეუძლია გასცეს ბრძანება დაკავებულის გათავისუფლების შესახებ, თუ დაკავების დროს დაირღვა რომელიმე გარანტია. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის სასამართლოს მოსამართლე აღჭურვილი იყო ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებებით. თუმცა უფრო საინტერესოა, სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, მის ძველ პრაქტიკაში (*შისერი შვეიცარიის წინააღმდეგ*)³⁸ გადაწყვეტილებაში ხშირად გამოყენებული ციტატების ჩათვლით) არსად არ არის ნახსენები, რომ ეს თავდაპირველი განხილვა (პირველი ნაწილი) ასევე უნდა მოიცავდეს გირაოს საფუძველზე პირის გათავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აპლიკანტების თორმეტდღიანი პატიმრობის განმავლობაში ორჯერ განიხილა დაკავების კანონიერება და მათ წინააღმდეგ გონივრული ეჭვის არსებობა, ისინი არ წარუდგენიათ ისეთი მოსამართლის წინაშე, რომელსაც ჰქონდა პირის სასამართლომდე გირაოთი გათავისუფლების ან ამ საკითხის განხილვის უფლებამოსილება. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულები თორმეტი დღის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის ადრეულ ეტაპზე იყვნენ (პირველი ნაწილი), ამრიგად, 5.3 მუხლი არ მოითხოვდა მათი გირაოთი გათავისუფლების საკითხის განხილვას.

საქმეზე ბუზადჯი მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Buzadji v. the Republic of Moldova [GC]*)³⁹ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განსაზღვრა, როდის მოეთხოვება სახელმწიფოს „გონივრული ეჭვის“ გარდა, დამატებით მიუთითოს წინასწარი პატიმრობის გამამართლებელი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლები.

2007 წლის 2 მაისს მომჩივანი დააკავეს და 2007 წლის 5 მაისს მას ბრალი წაუყენეს სხვისი ნივთის მითვისებაში. იმავე დღეს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს შეუფარდა პატიმრობა, რომელიც შემდგომში გაგრძელდა 2017 წლის 20 ივლისამდე, როდესაც მას აღკვეთის ღონისძიების სახედ განესაზღვრა შინაპატიმრობა. მოგვიანებით ის გაამართლეს იმ ბრალდებებში, რომელთა საფუძველზეც პატიმრობა ჰქონდა შეფარებული.

დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, ვინაიდან არ არსებობდა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლები, რომლებიც გაამართლებდა მომჩივნის პატიმრობის გაგრძელებას.

წინამდებარე საქმე **საინტერესოა**, ვინაიდან დიდმა პალატამ მკაფიოდ განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილის შესახებ („საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან პირი გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში“), იმის გათვალისწინებით, რომ ის მოიცავდა პირველი ნაწილით უზრუნველყოფილ გარანტიებს („ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს“).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ნა-

³⁸ Schiesser v. Switzerland, 4 December 1979, § 31, Series A no. 34.

³⁹ Buzadji v. the Republic of Moldova [GC], no. 23755/07, ECHR 2016.

წილის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს „დაუყოვნებლივ“ წარდგენილ იქნეს სასამართლო ხელისუფლების წინაშე, რომელიც განიხილავს მისი დაკავების კანონიერებას, აგრეთვე იმას, არსებობს თუ არა მის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი.

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ „გონივრული ეჭვის არსებობა... პატიმრობის გაგრძელების *sine qua non* პირობაა, თუმცა „გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ“ ის საკმარისი აღარ არის, ამიტომ ბრალდებულის პატიმრობისთვის საჭიროა სხვა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლების მითითება(იხ. **საქმე ლეტელიერი საფრანგეთის წინააღმდეგ**⁴⁰, აღნიშნული პრეცედენტული სამართალი დაადასტურა დიდმა პალატამ საქმეებში – **ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁴¹ და **იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁴²). მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს არასდროს განუმარტავს „გარკვეული ვადის გასვლის“ ხანგრძლივობა, მას დადგენილი აქვს, რომ აღნიშნული პერიოდი შეიძლება იყოს რამდენიმე დღეც კი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი პალატის განცხადებით მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ორივე ნაწილი უზრუნველყოფდა ორ განსხვავებულ სამართლებრივ გარანტიას, მათ შორის იყო გარკვეული გადაფარვა: ორივე შემთხვევაში დროის ათვლა იწყება დაკავების მომენტიდან; ორივე მოითხოვს სასამართლო ხელისუფლებამ განსაზღვროს არსებობდა თუ არა დაკავების გამამართლებელი მიზეზები და თუ არ არსებობდა, გასცეს გათავისუფლების შესახებ ბრძანება; აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ორივე ნაწილი ხშირად ფარავს ერთმანეთს, ძირითადად, როდესაც ერთი და იგივე სასამართლო ორგანო პირველი ნაწილის მიხედვით ახდენს დაკავების სანქცირებას და მეორე ნაწილის მიხედვით პატიმრობის შეფარდებას (სხვა „შესაბამისი“ და „საკმარისი“ საფუძვლები). შესაბამისად, მოსამართლის წინაშე პირის პირველად წარდგენა არის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მეორე ნაწილის გადაკვეთის ნერტილი.

გარდა ამისა, შედარებითმა კვლევამ ცხადყო, რომ შესწავლილი ოცდათერთმეტი ქვეყნიდან უმრავლესობაში სასამართლო ხელისუფლებას მოეთხოვება დაუყოვნებლივ ან დაკავებიდან რამდენიმე დღეში მიუთითოს პატიმრობის შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები.

ამრიგად, პრეცედენტულ სამართალში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით და დაუსაბუთებლად ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთის წინააღმდეგ დაცვის გასაძლიერებლად, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული გარანტიების შერწყმის მყარი არგუმენტები. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ მოსამართლის ან სხვა მოხელის მიერ გონივრული ეჭვის არსებობის გარდა, დამატებით, პატიმრობის შესაბამისი და საკმარისი მიზეზების მითითების ვალდებულება უნდა გავრცელებულიყო „პატიმრობის შეფარდების შესახებ პირველი გადაწყვეტილების მიღების დროსაც, ე.ი. დაკავების შემდეგ „დაუყოვნებლივ“.

ამ პრინციპის გამოყენებით, დიდმა პალატამ განიხილა 2007 წლის 5 მაისის თავდაპირველი ბრძანება პატიმრობის შესახებ, ასევე პატიმრობის გაგრძელების შესახებ გადამწყვეტილებები და დაასკვნა, რომ არ არსებობდა შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები, რომლებიც გამამართლებდა აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის გაგრძელებას.

⁴⁰ Letellier v. France, 26 June 1991, § 35, Series A no. 207.

⁴¹ Labita v. Italy [GC], no. 26772/95, § 153, ECHR 2000-IV.

⁴² Idalov v. Russia [GC], no. 5826/03, § 140, 22 May 2012.

საპროცესო უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6)

საქმე *დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (De Tommaso v. Italy [GC])*⁴³ ეხებოდა პრევენციული ზომების მიღებას იმ პირთან მიმართებით, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის.

2008 წელს რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და გამოსცა მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ პოლიციის ორწლიანი სპეციალური ბრძანებები. შვიდი თვის შემდეგ ეს გადაწყვეტილება გააუქმა სააპელაციო სასამართლომ და დაადგინა, რომ მომჩივანი არ წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებისთვის იმ დროისთვის, როდესაც შესაბამისი ზომების მიღება იქნა დაწესებული. მოსარჩელეს არ ჰქონია საჯარო მოსმენა, რათა ეღვა აღნიშნულ გამოყენებულ ზომებთან მიმართებით.

მომჩივანი დავობდა მე-6 მუხლთან მიმართებით – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც ადასტურებდა მე-6 მუხლის დარღვევას საჯარო მოსმენის არარსებობასთან მიმართებით. დიდმა პალატამ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა.

(i) ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტი გამოიყენება პრევენციული ზომების გატარების წარმოებისას. წინარე საქმეებზე დაყრდნობით, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულთა უფლებების შეზღუდვა და ასეთი შეზღუდვების შესაძლო შედეგები ექცევა „სამოქალაქო უფლებების“ სფეროში (*გულმეზი თურქეთის წინააღმდეგ*⁴⁴, *განჩი იტალიის წინააღმდეგ*⁴⁵, *მუსუმეჩი იტალიის წინააღმდეგ*⁴⁶, *ენეა იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁴⁷ და *სტეგარესკუ და ბაჰრინი პორტუგალიის წინააღმდეგ*⁴⁸), დიდმა პალატამ დაადგინა, რომ „მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტი გამოიყენებული იყო საქმეებში, რომლებიც შესაძლოა თავდაპირველად არ ჩანდეს, რომ სამოქალაქო უფლებებს ეხება, მაგრამ ჰქონდეს პირდაპირი და მნიშვნელოვანი გამოდახილი პირის კერძო საკუთრების უფლებაზე“. ამასთან დაკავშირებით, წინამდებარე საქმეებში გამოკვლეული შეზღუდვები მსგავსია აღნიშნულ საქმეში მოცემული პრევენციული ზომებისა. დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ ასეთი ზომები შედის პირადი უფლებების სფეროში და სამოქალაქო ხასიათისაა, ასე, რომ მე-6 მუხლი მიესადაგება სამართალწარმოებას, რომელიც აწესებს ამგვარ შეზღუდვებს.

(ii) დიდმა პალატამ გააგრძელა მე-6 მუხლის დარღვევის გამოკვლევა საჯარო მოსმენის არარსებობასთან მიმართებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს მიეთითათ განეხილათ ისეთი ასპექტები, როგორცაა მომჩივნის ხასიათი, ქცევა და რისკიანობა, რომელთაგან ყველა გადამწყვეტია პრევენციული ზომების დაკისრებასთან დაკავშირებით.

⁴³ De Tommaso v. Italy [GC], no. 43395/09, ECHR 2017.

⁴⁴ Gulmez v. Turkey, no. 16330/02, 20 May 2008.

⁴⁵ Ganci v. Italy, no. 41576/98, ECHR 2003-XI.

⁴⁶ Musmeci v. Italy, no. 33695/96, 11 January 2005.

⁴⁷ Enea v. Italy [GC], no. 74912/01, ECHR 2009.

⁴⁸ Stegarescu and Bahrin v. Portugal, no. 46194/06, 6 April 2010.

გამოყენება

გადანყვეტილება საქმეზე ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Baka v. Hungary [GC])⁴⁹ ეხებოდა სასამართლოს ხელმისაწვდომობას იმ მოსამართლის მიერ, რომელიც ასაჩივრებდა მანდატის შეწყვეტას.

მომჩივანმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რანგში გააკრიტიკა მართლმსაჯულების მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმა. მოგვიანებით განხორციელებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ის ნაადრევად გაათავისუფლეს თავმჯდომარის თანამდებობიდან და მას არ მიეცა აღნიშნული გადანყვეტილების სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მისთვის სასამართლო არ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე ის ასაჩივრებდა გამოსატყვის თავისუფლების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ორივე მუხლის დარღვევა დაადგინა.

აღნიშნული გადანყვეტილება საინტერესოა, ვინაიდან ის დანვრილებით მიმოიხილავს ევროპული სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, ისევე როგორც ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელი შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მოსამართლეებთან დაკავშირებულ დავებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო **ვილო ესკელინენის**⁵⁰ კრიტერიუმი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ მე-6 მუხლის გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმებია: ა) სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა ადგენდეს, რომ გარკვეული თანამდებობის მქონე პირებს ან თანამშრომელთა გარკვეულ კატეგორიას არ შეუძლიათ სასამართლოსთვის მიმართვა; ბ) აღნიშნული აკრძალვა გამართლებული უნდა იყოს სახელმწიფოს ინტერესის ობიექტური საფუძველებით. (გადანყვეტილება მიმოიხილავდა საქმეებს, სადაც ზემოთ მოცემული კრიტერიუმები გამოყენებული იყო იმ დავებთან მიმართებით, სადაც მხარეს მოსამართლეები წარმოადგენდნენ). რაც შეეხება **ესკელინენის** პირველ კრიტერიუმს, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, კანონი ცალსახად ითვალისწინებდა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებას – ნებისმიერი უარი გაესაჩივრებინა იმ სასამართლოში, რომელიც შეესაბამებოდა სხვადასხვა საერთაშორისო და ევროპის საბჭოს სტანდარტებს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა თანამდებობიდან გაათავისუფლებისთვის საჭირო პროცედურული გარანტიების შესახებ. **ესკელინენის** პირველ კრიტერიუმთან შესაბამისობაში არ იყო ის ფაქტი, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მომჩივანს ახალი კანონმდებლობის გარდამავალმა დებულებებმა შეუზღუდა: გასაჩივრებულ ღონისძიებას თავისთავად არ შეეძლო კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიების გამორიცხვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ კონტექსტში ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერი მსგავსი აკრძალვა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კანონის უზენაესობასთან. ამისათვის აკრძალვის დამდგენი იურიდიული დებულება ზოგადი ხასიათის უნდა იყოს, წინამდებარე საქმეში კი ის კონ-

⁴⁹ Baka v. Hungary [GC], no. 20261/12, ECHR 2016.

⁵⁰ Vilho Eskelinen and Others v. Finland [GC], no. 63235/00, ECHR 2007-II.

კრეტულ პირზე იყო მორგებული. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ესკე-ლინენის პირველი კრიტერიუმი არ იყო შესრულებული და ვინაიდან კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამორიცხვის ლეგიტიმურად მიჩნევის-თვის საჭირო იყო ორივე კრიტერიუმის დაცვა, დაასკვნა, რომ აპლიკანტის მანდატ-თან დაკავშირებულ დავაზე ვრცელდებოდა კონვენციის 6.1 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეამოწმა წინამდებარე საქმეზე რამდენად იყო დაცული კონვენციის 6.1 მუხლი. იქედან გამომდინარე, რომ საეჭვო იყო სასამართლო განხილვის გამორიცხვა შეესაბამებოდა თუ არა კანონის უზენაე-სობას (იხ. ზემოთ) და ასევე მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში პროცედურული სამართლიანობის მნიშვნელობის (რაც აღ-ნიშნულია როგორც საერთაშორისო და ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუ-მენტებით, ასევე საერთაშორისო სასამართლოებისა და ორგანიზაციების მიერ) გათ-ვალისწინებით, ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სასამართლოს თავმჯდომარისთვის მანდატის ნაადრევად შეწყვეტის გასაჩივრების გამორიცხვა არ-ღვევდა მისი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება

გადაწყვეტილება საქმეზე ალ-დულიმი და მონტანა მენეჯმენტი შვეიცარიის წინა-აღმდეგ [დიდი პალატა] (Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [GC])⁵¹ ეხებოდა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას იმ მიზნით, რომ გაესაჩივრებინათ ქონების ჩამორთმევა გაეროს უშიშროების საბჭოს 1483 (2003) რეზოლუციის თანახ-მად.

პირველი მომჩივანი, გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSC) განცხადებით, სადამ ჰუ-სეინის რეჟიმის დროს ერაყის საიდუმლო სამსახურში ფინანსურ საკითხებს ხელ-მძღვანელობდა. ის ასევე გახლდათ მეორე მომჩივანი კომპანიის მმართველი დირექ-ტორი. 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭომ გაატარა სანქციები, მათ შორის, მიიღო 1483(2003) რეზოლუცია, რომლის მი-ხედვით მომჩივნები „აღრიცხეს“ (2004) და მათი ქონების კონფისკაცია მოახდინეს (2006), ერაყის განვითარების ფონდისთვის გადაცემის მიზნით. მომჩივნებმა წარუ-მატებლად გაასაჩივრეს ქონების ჩამორთმევის შესახებ ბრძანებები შვეიცარიის სა-სამართლოების წინაშე, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ მათი უფლებამოსილებები შემო-იფარგლებოდა მხოლოდ იმის დადგენით, რომ მომჩივნები იყვნენ სანქციების კომი-ტეტის მიერ განსაზღვრულ სიაში და ქონება მათ საკუთრებას წარმოადგენდა. კონ-ვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტები დავობდნენ, რომ ეს მათი სასა-მართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას წარმო-ადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დარ-ღვევა დაადგინა. ვინაიდან, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი სასამართლოს გა-დანწყვეტილებასა და ზიანს შორის, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე მომჩი-ვნებს სამართლიანი დაკმაყოფილება არ მიაკუთვნეს.

პირველ რიგში, ევროპულმა სასამართლომ უარყო მომჩივნების არგუმენტი, რომ კონ-

⁵¹ Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [GC], no. 5809/08, ECHR 2016.

ვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული პროცედურული უფლებები წარმოადგენდა *jus cogens* ნორმას და ამდენად 1483(2003) რეზოლუცია კარგავდა მბოჭავს ხასიათს, რომელიც გამომდინარეობდა გაეროს ქარტიის 103-ე მუხლიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის წინაშე სამოქალაქო სარჩელის წარდგენა „სამართლის ერთ-ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპია“, ის არ წარმოადგენს *ჯუს ცოგენს* ნორმას, რომელიც განმარტებულია სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციით. შესაბამისად, გაეროს ქარტიის 103-ე მუხლი კონვენციის მე-6 მუხლით არ ჩანაცვლებულა.

შემდეგ განსახილველი საკითხი იყო არსებობდა თუ არა კონფლიქტი 1483(2003) რეზოლუციასა და კონვენციის მე-6 მუხლს შორის, რა შემთხვევაშიც რელევანტური იქნებოდა კონვენციიდან და გაეროს ქარტიიდან გამომდინარე, ვალდებულებების იერარქიის განსაზღვრა, გაეროს ქარტიის 103-ე მუხლის მხედველობაში მიღებით. მთავრობა ამტკიცებდა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია მათ არ უტოვებდა მიხედვლების ფარგლებს, ამდენად ამკარად არსებობდა ნორმათა კონფლიქტი.

აღნიშნული გადანყვეტილება **მნიშვნელოვანია** მოცემულ არგუმენტზე სასამართლოს პასუხიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გაეროს ქარტიის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ იმოქმედოს გაეროს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად (მათ შორისაა საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის კუთხით), გაეროს უშიშროების საბჭოს არ უნდოდა სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუსაბამო რაიმე ვალდებულების დაკისრება (სასამართლომ მიუთითა, *mutatis mutandis*, **ალ-ჯედა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁵²). შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში ნათლად და ცალსახად მითითებულია, რომ მას სურს სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ იმოქმედონ, ევროპულმა სასამართლომ უნდა მიიჩნიოს, რომ ვალდებულებებს შორის არ არსებობს კონფლიქტი, რომელიც განაპირობებდა გაეროს ქარტიის 103-ე მუხლის გამოყენებას. ამრიგად, თუ გაეროს უშიშროების საბჭოს სადავო რეზოლუცია ბუნდოვანი იყო, სასამართლოს ის უნდა განემარტა კონვენციის ქრილში, რათა თავიდან აერიდებინა ვალდებულებებს შორის კონფლიქტი.

წინამდებარე საქმეში და ალ-ჯედას საქმის მსგავსად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 1483(2003) რეზოლუციაში არ არსებობდა რაიმე მკაფიო მითითება, რომელიც ხელს შეუშლიდა შვეიცარიის სასამართლოებს, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, განეხილათ რეზოლუციის საფუძველზე ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები. რეზოლუციაში თუ არ არსებობს მკაფიო აკრძალვა, ის იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო განხილვის შესაძლებლობა, რაც მიზნად ისახავს ნებისმიერი თვითნებობის თავიდან არიდებას; მიიჩნევა, რომ სასამართლო განხილვის აღნიშნული სტანდარტი ადგენს სამართლიან ბალანსს შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულება, სასამართლოს მიერ თვითნებობის განხილვის შესაძლებლობის გარეშე, გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე. ვინაიდან გაეროს ქარტიასა და კონვენციის ვალდებულებებს შორის არ არსებობდა კონფლიქტი, საჭირო არ იყო 103-ე მუხლიდან გამომდინარე, სამართლებრივი ვალდებულებების იერარქიის განხილვა და იმის შეფასება, გამოყენებული უნდა

⁵² Al-Jedda v. the United Kingdom [GC], no. 27021/08, ECHR 2011.

ყოფილიყო თუ არა ეკვივალენტური დაცვის ტესტი (*ბოსფორუს ჰავა იოლარი ტურიზმ ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი ირლანდიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁵³).

სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სანქციების კომიტეტის სიაში მათი შეყვანა თვითნებური იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნებს არ შეეძლოთ საკუთრების ჩამორთმევის გასაჩივრება; ამასთანავე, აღნიშნული საკითხი სადავო იყო ათი წლის განმავლობაში, რაც „ვერ მიიჩნეოდა აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისი ეროვნული სასამართლო განხილვის არარსებობას ვერ ჩაანაცვლებდა ან ანაზღაურებდა გაეროს სანქციების კომიტეტის წინაშე მომჩივნების სიიდან ამოღებასთან დაკავშირებული პროცედურები, განსაკუთრებით აღნიშნულ პროცედურასთან მიმართებით, ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან „სერიოზული, არაერთგზისი და თანმიმდევრული“ კრიტიკის ფონზე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

გადანყვეტილება საქმეზე ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Baka v. Hungary* [GC])⁵⁴ ეხებოდა სასამართლოს ხელმისაწვდომობას იმ მოსამართლის მიერ, რომელიც ასაჩივრებდა მანდატის შეწყვეტას.

მომჩივანმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რანგში გააკრიტიკა მართლმსაჯულების მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმა. მოგვიანებით განხორციელებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ის ნაადრევად გაათავისუფლეს თავმჯდომარის თანამდებობიდან. მას არ მიეცა აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მისთვის სასამართლო არ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე ის ასაჩივრებდა გამოხატვის თავისუფლების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ორივე მუხლის დარღვევა დაადგინა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა, ვინაიდან ის დანვრილებით მიმოიხილავს ევროპული სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, ისევე როგორც ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მოსამართლეებთან დაკავშირებულ დავებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო *ვილო ესკელინენის*⁵⁵ კრიტერიუმი, რომლის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ მე-6 მუხლის გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმებია: ა) სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა ადგენდეს, რომ გარკვეული თანამდებობის მქონე პირებს ან თანამშრომელთა გარკვეულ კატეგორიას არ შეუძლიათ სასამართლოსთვის მიმართვა; ბ) აღნიშნული აკრძალვა გამართლებული უნდა იყოს სახელმწიფოს ინტერე-

⁵³ *Bosphorus Hava Yollari Turizm ve Ticaret Anonim Sirketi v. Ireland* [GC], no. 45036/98, ECHR 2005-VI.

⁵⁴ *Baka v. Hungary* [GC], no. 20261/12, ECHR 2016.

⁵⁵ *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], no. 63235/00, ECHR 2007-II.

სის ობიექტური საფუძვლებით. (გადაწყვეტილება მიმოიხილავდა საქმეებს, სადაც ზემოთ მოცემული კრიტერიუმები გამოყენებული იყო იმ დავებთან მიმართებით, სადაც მხარეს მოსამართლეები წარმოადგენდნენ). რაც შეეხება *ესკელინენის* პირველ კრიტერიუმს, სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, კანონი ცალსახად ითვალისწინებდა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებას – ნებისმიერი უარი გაესაჩივრებინა იმ სასამართლოში, რომელიც შეესაბამებოდა სხვადასხვა საერთაშორისო და ევროპის საბჭოს სტანდარტებს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის საჭირო პროცედურული გარანტიების შესახებ. *ესკელინენის* პირველ კრიტერიუმთან შესაბამისობაში არ იყო ის ფაქტი, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მომჩივანს ახალი კანონმდებლობის გარდამავალმა დებულებებმა შეუზღუდა: გასაჩივრებულ ღონისძიებას თავისთავად არ შეეძლო კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიების გამოორიცხვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ კონტექსტში ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერი მსგავსი აკრძალვა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კანონის უზენაესობასთან. ამისათვის აკრძალვის დამდგენი იურიდიული დებულება ზოგადი ხასიათის უნდა იყოს, წინამდებარე საქმეში კი ის კონკრეტულ პირზე იყო მორგებული. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ *ესკელინენის* პირველი კრიტერიუმი არ იყო შესრულებული და ვინაიდან კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოორიცხვის ლეგიტიმურად მიჩნევისთვის საჭირო იყო ორივე კრიტერიუმის დაცვა, დაასკვნა, რომ აპლიკანტის მანდატთან დაკავშირებულ დავაზე ვრცელდებოდა კონვენციის 6.1 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემდეგ შეამოწმა წინამდებარე საქმეზე რამდენად იყო დაცული კონვენციის 6.1 მუხლი. იქედან გამომდინარე, რომ საეჭვო იყო სასამართლო განხილვის გამოორიცხვა შეესაბამებოდა თუ არა კანონის უზენაესობას (იხ. ზემოთ) და ასევე მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში პროცედურული სამართლიანობის მნიშვნელობის (რაც აღნიშნულია როგორც საერთაშორისო და ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტებით, ასევე საერთაშორისო სასამართლოებისა და ორგანიზაციების მიერ) გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სასამართლოს თავმჯდომარისთვის მანდატის ნაადრევად შეწყვეტის გასაჩივრების გამოორიცხვა არღვევდა მისი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.

გადაწყვეტილება საქმეზე ზავოდნიკი სლოვენის წინააღმდეგ (ძავოდნიკ ვ. შლოვენია)⁵⁶ ეხებოდა გადახდისუუნარობის საქმის განხილვის თაობაზე მხარის სათანადო ინფორმირებულობის არარსებობას. მომჩივანი დავობდა, რომ ყოფილი დამსაქმებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს დაერღვა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება; მომჩივანი აღნიშნული კომპანიის კრედიტორი იყო. სხდომა მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. აპლიკანტს არ უნახავს სხდომის შესახებ სასამართლოს შენიშვნების დაფაზე განთავსებული შეტყობინება, არც ოფიციალურ გაზეთში არ წაუკითხავს მსგავსი შინაარსის შეტყობინება. მან ასევე ვერ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან გაუშვა შესაბამისი ვადა.

სტრასბურგის სასამართლომ, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ქრილში, გა-

⁵⁶ Zavodnik v. Slovenia, no. 53723/13, 21 May 2015.

მოიკვლია აპლიკანტის საჩივარი იმის თაობაზე, რომ მან ვერ შეძლო გადახდისუუნარობის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება და საჩივრის დროულად წარდგენა. იმის მიუხედავად, რომ 6.1 მუხლი არ უზრუნველყოფს დოკუმენტების მიწოდების სპეციალურ ფორმას, სასამართლომ დააბალანსა, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესები.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღების „სამართლიანი შესაძლებლობა“ და ამის საფუძველზე კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა რამდენიმე გარემოებას: შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების დრო იყო ძალიან შეზღუდული (რვა დღე); სამართალწარმოება გრძელდებოდა რვა წელზე მეტი ხანი; საქმეში მხოლოდ 19 კრედიტორი იყო დარჩენილი; მომჩივანს სპეციალურად ჰქონდა მიმღების მიერ მიღებული პირობა, რომ მას მიაწვდიდნენ ნებისმიერ ახალ ინფორმაციას საქმის შესახებ; ხელისუფლებას სხდომის შესახებ შეტყობინება არ გამოუქვეყნებია მედიაში (კანონმდებლობით შემოთავაზებული დამატებითი შესაძლებლობა). სასამართლომ დაადგინა, რომ არარეალური იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ მომჩივანი მისი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით სხვა ქალაქში მდებარე სასამართლოს შენიშვნების დაფიდან შეიტყობდა აღნიშნულ ინფორმაციას ან შეისწავლიდა ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულ ყველა თემას რვა წლის განმავლობაში.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია**, რადგან ის იძლევა მითითებებს, რა ღონისძიებები უნდა გაატარონ კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, რათა უზრუნველყონ გადახდისუუნარობის სამართალწარმოებაში მხარის მონაწილეობის „სამართლიანი შესაძლებლობა“, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის საქმე განხილული უნდა იყოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე (კერძოდ, მომჩივანს მიღებული ჰქონდა პირობა, რომ მას შეატყობინებდნენ შესაბამის ინფორმაციას და დარჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე კრედიტორი). ასევე საინტერესოა, რომ ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მომჩივნის ასაკი, კერძოდ, ის ასაკოვანი იყო და სავარაუდოდ არ იცოდა კომპიუტერის გამოყენება და არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა.

საქმეში მომჩილოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Momcilovic v. Croatia)⁵⁷, სამოქალაქო სასამართლოებისადმი ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იყო მხარეთა მცდელობაზე, სასამართლოსთვის მიმართვამდე დავა მორიგების გზით დაესრულებინათ. მომჩივნები დავობდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს საქმის განხილვაზე, რომელიც ეხებოდა მათი ქალიშვილის გარდაცვალების გამო სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნას, რადგან სამართალწარმოების დაწყებამდე მათ არ სცადეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან მორიგება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების თანახმად, მოსარჩელემ, რომელსაც ხორვატიის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა უნდა, ჯერ უნდა შეიტანოს განაცხადი მორიგების თაობაზე შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა, კონვენ-

⁵⁷ Momcilovic v. Croatia, no. 11239/11, 26 March 2015.

ციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ, უტოლდებოდა მათი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას. სტრასბურგის სასამართლომ აპლიკანტების საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი) და ის ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, ეროვნულ სასამართლოებში სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელებისა და სამართალწარმოების ზრდის თავიდან არიდებას, რაც ხელს შეუწყობდა სასამართლოს ეფექტიანობასა და პროცესის ეკონომიურობას. რაც შეეხება პროპორციულობის მოთხოვნას, სასამართლომ აღნიშნა, მომჩივნების სამოქალაქო სარჩელის განხილვაზე ეროვნული სასამართლოს უარის მიუხედავად, მათ კვლავ რჩებოდათ შესაძლებლობა, რომ მიემართათ მეგობრული მორიგების მოთხოვნისთვის; თუ ვერ მოხდებოდა მორიგების მიღწევა, მოსარჩელებს შეეძლოთ ეროვნულ სასამართლოში ახალი სარჩელის შეტანა ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ საპროცესო ვადებში. მომჩივნებმა არ გამოიყენეს აღნიშნული შესაძლებლობა.

საქმე **საინტერესოა**, რადგან სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა – სამოქალაქო დავის შემთხვევაში მხარეებს შორის მორიგების მიღწევის მცდელობა ყოფილიყო სასამართლოში სარჩელის აღძვრის წინაპირობა, არ იყო შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლთან, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებაში მოცემულია ევროპის საბჭოს განცხადებები, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იზიარებს ევროპის საბჭოს ამ სულისკვეთებას.

სამართალწარმოების სამართლიანობა

გადაწყვეტილება საქმეზე ავოტინსი ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Avotins v. Latvia [GC])⁵⁸ პრეცედენტულ სამართალს ორი მიმართულებით ავითარებს:

- უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სამოქალაქო საქმეზე, რომელიც წარმოშობის ქვეყანაშია მიღებული, მოპასუხე მხარის სასამართლოში სათანადოდ მონვევის და მისი დაცვის უფლების უზრუნველყოფის გარეშე;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ფარგლებში გადაწყვეტილებათა ორმხრივი აღიარების პრინციპისა და ეკვივალენტური დაცვის პრეზუმციის (იხ. **ბოსფორუს ჰავა იოლარი ტურიზმ ვე ტიკარეტ ანონიმ შირკეტი ირლანდიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁵⁹ და **მიჩაუდ საფრანგეთის წინააღმდეგ**⁶⁰) შესახებ.

კვიპროსის სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანს, ლატვიის მოქალაქეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანიისთვის დავალიანების გადახდა დააკისრა. მომჩივნის განცხადებით, მას სათანადოდ არ შეატყობინეს კვიპროსში მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა კვიპროსის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლატვიის ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ბრიუსელის

⁵⁸ Avotins v. Latvia [GC], no. 17502/07, ECHR 2016.

⁵⁹ Bosphorus Hava Yollari Turizm ve Ticaret Anonim Sirketi v. Ireland [GC], no. 45036/98, ECHR 2005-VI.

⁶⁰ Michaud v. France, no. 12323/11, ECHR 2012.

I რეგულაციის შესაბამისად. აპლიკანტი შეეცადა ლატვიის სასამართლოებისთვის ხელი შეეშალა გადაწყვეტილების აღსრულებაში, ზემოხსენებული რეგულაციის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით, კონვენციის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება თუ მოპასუხეს დროულად არ ჩაჰბარდა სარჩელი და მას არ მიეცა საპასუხო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა ლატვიის უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ ვინაიდან მომჩივანმა გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ წარადგინა კვიპროსში, მისი პრეტენზიები იმ დროისთვის აღარ იყო რელევანტური.

მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. მან მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები უზენაესი სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მიერ წარდგენილი *prima facie* სერიოზული საკითხის განხილვის ფორმის გამო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ხარვეზმა არ განაპირობა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კვიპროსში გაესაჩივრებინა.

(i) დიდი პალატის გადაწყვეტილება ავითარებს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ევროკავშირის სამართლის ფუნდამენტური უფლებების ეკვივალენტური დაცვის შესახებ (რომელიც ცნობილია, როგორც „ბოსფორის პრეზუმფცია“, რადგან სასამართლომ პირველი განმარტება გააკეთა ბოსფორის საქმეზე და შემდეგ დააზუსტა *მიქაუდის* საქმეში). სასამართლომ გაიმეორა *მიქაუდის* საქმეში დადგენილი ორი პირობა, რომლის მიხედვით, ეროვნულ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონოდა მიხედულების ფარგლები და უნდა მომხდარიყო ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედამხედველობის მექანიზმის სრული გამოყენება. პირველ პირობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მნიშვნელოვან მითითებას შეიცავს, როგორ უნდა განიმარტოს „მიხედულების ფარგლები“ ევროკავშირის რეგულაციის კონტექსტში, რომელიც დირექტივისგან განსხვავებით, პირდაპირ ვრცელდება ნევრ სახელმწიფოებზე. რათა დადგინდეს, აქვს თუ არა სახელმწიფო ორგანოებს „მიხედულების ფარგლები“ კონკრეტული დებულების გამოყენებისას, პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული დებულების განმარტება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ. რაც შეეხება მეორე პირობას, კერძოდ, ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზედამხედველობის მექანიზმის სრულად გამოყენებას კონკრეტულ საქმეზე, გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ზემოხსენებული დათქმა გამოყენებული უნდა იყოს მოქნილად, გადაჭარბებული ფორმალისმის გარეშე. უფრო ზუსტად, მეორე პირობა არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, რომ ის ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს, მოითხოვონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი განჩინება ყველა საქმეზე – გამონაკლისის გარდა, მათ შორის იმ საქმეებზე, სადაც ევროკავშირის კანონმდებლობის ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სერიოზული განსახილველი საკითხი არ წარმოშობილა ან საქმეებზე, სადაც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მკაფიოდ განმარტა როგორ უნდა განიმარტოს ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებები, რათა შესაბამისობაში იყოს ფუნდამენტურ უფლებებთან.

(ii) ეს არის დიდი პალატის პირველი გადაწყვეტილება „ბოსფორის პრეზუმფციის“ გამოყენების შესახებ ორმხრივი აღიარების მექანიზმების მიმართ, რომლებიც ეფუძ-

ნება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდობის პრინციპს.

ერთი მხრივ, გადაწყვეტილება ადასტურებს ამ მექანიზმების ლეგიტიმურობას. მეორე მხრივ, ის აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში მათმა გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას, როგორც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ცოტა ხნის წინ განაცხადა 2/13 მოსაზრებაში (პარაგრაფი 192, 2014 წლის 18 დეკემბერი, „ევროკავშირის კანონმდებლობის შესრულებისას, წევრს სახელმწიფოებს ევროკავშირის სამართლის საფუძველზე შეიძლება მოეთხოვებოდეთ მიიჩნიონ, რომ სხვა წევრმა სახელმწიფომ დაიცვა ფუნდამენტური უფლებები, ამდენად... „გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მათ არ შეუძლიათ შეამონმონ სხვა წევრმა სახელმწიფომ კონკრეტულ საქმეზე რეალურად დაიცვა თუ არა ევროკავშირის სამართლით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები“). ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვით, მეორე სახელმწიფოს სასამართლოს სულ მცირე უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება განიხილოს საქმე და შეაფასოს წარმოშობის სახელმწიფოში ფუნდამენტური უფლებების სავარაუდო დარღვევის სიმძიმე. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ურთიერთშეთანხმების მექანიზმები არ დატოვებენ რაიმე ხარვეზს, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვას არაეფექტურად აქცევდა. ევროპულმა სასამართლომ უნდა დააზუსტოს, რომ ურთიერთშეთანხმების პრინციპი არ გამოიყენება ავტომატურად და მექანიკურად ფუნდამენტური უფლებების საზიანოდ.

დიდი პალატის გადაწყვეტილება განმარტავს რა ნაბიჯი უნდა გადადგას ეროვნულმა სასამართლომ ამ კონტექსტში; კერძოდ, თუ სასამართლოს წინაშე წარდგენილია სერიოზული და დასაბუთებული საჩივარი იმის შესახებ, რომ კონვენციით უზრუნველყოფილი უფლების დაცვა აშკარად არაეფექტურია და ამ სიტუაციის გამოსწორება ვერ მოხდება ევროკავშირის სამართლის მეშვეობით, მას არ შეუძლია უარი თქვას საჩივრის განხილვისგან მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მან უნდა გამოიყენოს ევროკავშირის კანონმდებლობა.

გადაწყვეტილებაში საქმეზე ლუპენი გრიკ კათოლიკ პარიში და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC]*)⁶¹ დიდმა პალატამ განიხილა, დაარღვია თუ არა უმაღლესმა სასამართლომ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, განკარგულების განმარტებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველზე; ზემოხსენებული განკარგულება ანესრიგებდა იმ ქონების სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც 1948 წელს, საბერძნეთში, კათოლიკური ეკლესიიდან მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაეცა.

დიდმა პალატამ განიხილა კრიტიკერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს ევროპული სასამართლო ამ საკითხის განხილვის დროს (იხ. **ნეჯდეტ საჰინი და პერიჰან საჰინი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]** ⁶²): სასამართლომ უნდა დაადგინოს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში არსებობს თუ არა „საფუძვლიანი განსხვავება“;

⁶¹ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [GC], no. 76943/11, ECHR 2016.

⁶² Nejdet Sahin and Perihan Sahin v. Turkey [GC], no. 13279/05, 20 October 2011.

ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი არის თუ არა ზემოხსენებული არათანმიმდევრულობის აღმოსაფხვრელი მექანიზმი; გამოიყენეს თუ არა აღნიშნული მექანიზმი და თუ კი, რა მოცულობით. წინამდებარე საქმეზე, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ შესაბამისი განკარგულებები არ იყო ნათელი იმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა სამოქალაქო სასამართლოების წინაშე საქმის განხილვის დროს გათვალისწინებინათ მრევლის სურვილი; ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლამდე უმაღლესი სასამართლო „სრულიად განსხვავებულ“ გადაწყვეტილებებს იღებდა, ამასთანავე, არ ხდებოდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმის დროულად გამოყენება. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი.

საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

გადაწყვეტილება ჩოკონტიო ჰაპი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Tchokontio Happi v. France*)⁶³ პირველი საქმეა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც ეხება საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებული იყო, პირი ახალი საცხოვრებლით უზრუნველყო. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება მოიპოვა 2007 წლის კანონის (ცნობილი როგორც „DALO Law“) საფუძველზე. DALO-ს კანონი აღიარებდა ღირსეული და დამოუკიდებელი საცხოვრებელი პირობების ქონის უფლებას და ადგენდა, რომ თუ ხელისუფლება ვერ დააკმაყოფილებდა ბრძანებას ახალი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ, მაშინ სახელმწიფოს სპეციალურ ფონდში ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან მომჩივანი ჯერ კიდევ არ იყო ახალი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი; სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების აღუსრულებლობის მიზეზად, სახელმწიფოს არ შეეძლო ფულადი სახსრების ან სხვა რესურსების არარსებობის მითითება.

საპროცესო უფლებები სისხლისსამართლებრივ

სამართალწარმოებაში

სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)

სამართლიანი სამართალწარმოება (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი)

გადაწყვეტილებაში საქმეზე ლერმიტი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Lhermitte v. Belgium [GC]*)⁶⁴ დიდმა პალატამ განმარტა **ტაქსეუიტი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁶⁵ საქმეზე დადგენილი პრინციპები, რომლებიც ეხებოდა ასითა სასამართლოს ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების საფუძველებს.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა თავდაპირველად მიიჩნიეს, რომ მომჩივანი სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი იყო (მან ხუთი შვილი მოკლა), სამართალწარმოების მიმდინარეობისას წარმოდგენილ იქნა ახალი მტკიცებულება, რის საფუძველზეც ექსპერტებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ აპლიკანტს სისხლისსამართლებ-

⁶³ Tchokontio Happi v. France, N 65829/12; 09.04.2015.

⁶⁴ Lhermitte v. Belgium [GC], no. 34238/09, ECHR 2016.

⁶⁵ Taxquet v. Belgium [GC], no. 926/05, ECHR 2010.

რივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ნაფიცმა მსაჯულებმა ექსპერტებისგან განსხვავებული დასკვნა გააკეთეს; წარდგენილ ხუთ მოკლე შეკითხვაზე „კი“ და „არა“ პასუხების გაცემის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ მომჩივანი დამნაშავედ ცნო.

აპლიკანტი კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით დავობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ იყო დასაბუთებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

დიდმა პალატამ წინამდებარე საქმის კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებით ტაქსკუ-იტის საქმეზე დადგენილი პრინციპები გამოიყენა. გადანყვეტილება **მნიშვნელოვანია**, ვინაიდან დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მიზეზები შეიძლება მოპოვებულ იქნეს სხვა წყაროებიდან, ვიდრე თავად ნაფიც მსაჯულებია. მოცემულ საქმეში, აღნიშნული წყარო იყო ასიზთა სასამართლოს გადანყვეტილება სასჯელის შეფარდების შესახებ და საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება.

ვინაიდან მომჩივანი არ უარყოფდა, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა, სასამართლო პროცესზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა ის სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი; ამ საკითხთან დაკავშირებით ნაფიცმა მსაჯულებმა, მიზეზების მითითების გარეშე, არ გაიზიარეს ექსპერტების ერთსულოვანი მოსაზრება. წინამდებარე საქმეში უნდა დადგენილიყო, შეეძლო თუ არა მომჩივანს აღექვა, რა საფუძველზე დაყრდნობით გამოიტანეს ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი. დიდმა პალატამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად, სამართალწარმოება მთლიანობაში უნდა შეფასებულიყო და აღნიშნა, რომ კონკრეტულ გარემოებებს უნდა გაეფანტა მომჩივნის ეჭვები მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ნაფიც მსაჯულთა მოსაზრებების შესახებ. გამოძიებისა და სამართალწარმოების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა აპლიკანტი სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი.

სასჯელის დანიშვნის შესახებ გადანყვეტილებაში მოცემული იყო კონკრეტული მიზეზები, რომლებიც გაითვალისწინა თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა სამ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად: მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის შემფარდებელი მოსამართლეები არ იყვნენ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის წევრები, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მოეპოვებინათ ნაფიც მსაჯულთა დასკვნები, რომლებიც თათბირის დროს მათ გვერდით იყვნენ და ხელი მოაწერეს სასჯელის დანიშვნის შესახებ გადანყვეტილებას. ექსპერტებმა თავად განაცხადეს, რომ მათი მოსაზრება იყო „აზრი“ და არა „აბსოლუტური ჭეშმარიტება“. ასეთ ვითარებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა – ნაფიც მსაჯულების მიერ იმ მიზეზების მიუთითებლობა, რომელთა საფუძველზეც მომჩივნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ექსპერტების მოსაზრებისგან განსხვავებულ დასკვნამდე მივიდნენ, ხელს ვერ შეუშლიდა აპლიკანტს ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის აღქმაში.

გადანყვეტილება საქმეზე სემიონოვი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Simeonovi v. Bulgaria [GC])⁶⁶ ეხებოდა დაკავების მომენტიდან ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას და აღნიშნული დაცვის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

⁶⁶ Simeonovi v. Bulgaria [GC], no. 21980/04, 12 May 2017.

დების ვალდებულებას.

მომჩივანი დამნაშავედ ცნეს შეიარაღებულ ძარცვასა და ორ მკვლელობაში. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. კონვენციის 6.1 და 6.3 (c) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პირველი სამი დღის განმავლობაში მისთვის არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება.

დიდმა პალატამ კონვენციის 6.1 და 6.3 (c) მუხლების დარღვევა არ დაადგინა. წინამდებარე საქმეზე გასათვალისწინებელია ფაქტობრივი კონტექსტი. ერთი მხრივ, მომჩივანი დაკავებიდან სამი დღის განმავლობაში („რელევანტური პერიოდი“) დაპატიმრებული იყო პოლიციის განყოფილებაში; ამ დროის განმავლობაში მას არ მიაწოდეს ინფორმაცია უფლებაზე, რომ შეეძლო წარმომადგენელი თავისი სურვილით აერჩია და არც თვითონ უზრუნველყვეს დამცველით. მეორე მხრივ, ამ პერიოდის განმავლობაში მისგან ჩვენება არ ჩამოურთმევიათ, არც რაიმე მტკიცებულება მოუპოვებიათ ან ჩაურთიათ საქმის მასალებში, რაც მის წინააღმდეგ შეიძლებოდა გამოყენებულიყო; აგრეთვე, არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანი ჩართული იყო რაიმე საგამოძიებო ღონისძიებაში.

წინამდებარე საქმეზე საჭირო იყო იმის დადგენა, ვრცელდებოდა თუ არა ადვოკატის უფლება დაკავების ან დაკითხვის მომენტზე. დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ განმარტა თავისი პრაქტიკა (იხ. *იბრაჰიმი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁶⁷), რომ „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ არსებობს იმ მომენტიდან, როცა კომპეტენტური ორგანო პირს ოფიციალურად შეატყობინებს ბრალდების შესახებ ან იმ მომენტიდან, როდესაც მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის საფუძველზე შესაბამისი ორგანოები გადადგამენ იმგვარ ნაბიჯებს, რაც მასზე არსებით გავლენას ახდენს. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სამართლებრივი დახმარების უფლება ვრცელდებოდა მომჩივანის დაკავების მომენტზე, ამგვარად, ის გამოყენებადი იყო მიუხედავად იმისა, დაიკითხა თუ არა მომჩივანი ან რელევანტური პერიოდის განმავლობაში მის მიმართ განხორციელდა თუ არა რომელიმე საგამოძიებო მოქმედება.

დაცვის უფლება (მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი)

გადანყვეტილება საქმეზე ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Blokhin v. Russia* [GC])⁶⁸ ეხებოდა არასრულწლოვნის მოთავსებას არასრულწლოვან დამნაშავეთა დროებითი დაკავების იზოლაციაში.

მომჩივანი, რომელიც იმ დროს თორმეტი წლის იყო, დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, როგორც სხვა არასრულწლოვნისთვის ფულის გამოძალგაში ეჭვმიტანილი. ხელისუფლებამ დაადგინა, რომ აპლიკანტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ დაწყებულა, ვინაიდან მას არ ჰქონდა მიღწეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის. მომჩივანი წარადგინეს სასამართლოს წინაშე, რომელმაც გასცა ბრძანება მისი მოთავსების შესახებ ოც-

⁶⁷ *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 50541/08 and 3 others, § 249, ECHR 2016.

⁶⁸ *Blokhin v. Russia* [GC], no. 47152/06, ECHR 2016.

დაათი დღის ვადით დამნაშავეთა დროებითი დაკავების იზოლაცორში, იმ მიზნით, რომ „გამოესწორებინა ქცევა“ და მოეხდინა მის მიერ შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების პრევენცია. დიდმა პალატამ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების დარღვევა დაადგინა (იმ საფუძველით, რომ მომჩივანი აღჭურვილი იყო კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული პროცედურული უფლებებით, თუმცა მან აღნიშნული უფლებებით ვერ ისარგებლა).

გადანყვეტილება **მნიშვნელოვანია**, ვინაიდან ის დანვრილებით განიხილავს და გარკვეულწილად ავითარებს დაკავებული არასრულწლოვნების (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი) პროცედურულ უფლებებს. გადანყვეტილებაში ასევე მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, რომლებსაც გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, გადანყვეტილება პირდაპირ ეფუძნება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიდმა პალატამ, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ, მე-6 მუხლის პროცედურული გარანტიები გამოიყენა იმ სამართალწარმოებასთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი. დიდმა პალატამ გაიზიარა პალატის დასაბუთება და ხაზგასმით აღნიშნა სიტუაციის რეალურად გაანალიზების საჭიროება; ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სამართალწარმოების მიმართ უნდა გამოყენებულიყო კონვენციის მე-6 მუხლის „უფრო ძირეული პროცედურული გარანტიები“: მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულის ბუნება, სასჯელის ბუნებასა და სიმძიმესთან ერთად, საჭიროება და მე-6 მუხლის სისხლის სამართლის ასპექტის გამოყენებას. სასამართლომ უარყო მთავრობის მოსაზრება, რომ აღნიშნული პროცედურული საჩივრები უნდა განხილულიყო კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გააგრძელა საქმის არსებითი მხარის განხილვა და კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა იმ საფუძველით, რომ პოლიციაში მომჩივნის დაკითხვას არ ესწრებოდა მისი კანონიერი წარმომადგენელი და მოსამართლის მიერ საქმის განხილვის დროს უარი ეთქვა მის წინააღმდეგ არსებული გადამწყვეტი მოწმის დაკითხვაზე. გადანყვეტილების 196-ე და 218-ე პუნქტები აღნიშნულ საკითხს ეხება. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვს არ უნდა ჩამოერთვას პროცედურული გარანტიები მხოლოდ იმიტომ, რომ სამართალწარმოება, რომელმაც შეიძლება მისი დაპატიმრება გამოიწვიოს, დამცავი ხასიათის მქონედ მიიჩნევა: აღნიშნული გარანტიების გამოყენება უნდა განაპირობოს ბავშვის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულმა ქმედებებმა და არა მისმა, როგორც „არასრულწლოვანი დამნაშავის“, სტატუსმა.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტი

გადანყვეტილება საქმეზე იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Ibrahim and Others v. the United Kingdom [GC])⁶⁹ ეხებოდა ადვოკატის ხელმისაწვდომობის გაჭიანურებას პოლიციის დაკითხვის დროს.

წინამდებარე საქმეზე მომჩივნები იყვნენ 2005 წლის 21 ივლისს ლონდონში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ აფეთქების მოწყობის მცდელობაში ეჭვმიტანილი პი-

⁶⁹ Ibrahim and Others v. the United Kingdom [GC], nos. 50541/08 and 3 others, ECHR 2016.

რები; ზემოხსენებული თარიღიდან ორი კვირის შემდეგ, თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქების შედეგად ორმოცდათორმეტი ადამიანი დაიღუპა.

პირველი სამი მომჩივანი დააკავეს; დაკითხვის დროს, მათ დროებით უარი განაცხადეს იურიდიული დახმარებით სარგებლობაზე. მათი ჩვენებები, რომლითაც უარყოფდნენ განვითარებულ მოვლენებში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობას, მიცემულ იქნა იურიდიული წარმომადგენლის გარეშე და საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესზე მოხდა მათი გამოყენება (სასამართლო პროცესზე მომჩივნებმა აღიარეს განვითარებულ მოვლენებში მონაწილეობის მიღება, თუმცა ამტკიცებდნენ, რომ ბომბები მიზნად ისახავდა დაშინებას და ისინი არ აპირებდნენ მათ აფეთქებას). მეოთხე მომჩივანი მოწმის სახით დაიკითხა. განსხვავებით სხვა აპლიკანტებისგან, მან დაიწყო თვითინკრინინირება. ნაცვლად იმისა, რომ დაეკავებინათ ის როგორც ეჭვმიტანილი და მიეცათ რჩევა დუმილის უფლებისა და იურიდიული დახმარების გამოყენების შესახებ, პოლიციამ მას შესაძლებლობა მისცა ეპასუხა მისთვის, როგორც მოწმისთვის, დასმულ კითხვებზე და ასევე წარედგინა წერილობითი ჩვენება. მომჩივანმა ხელი მოაწერა ჩვენებას, თუმცა სასამართლო პროცესზე ის დავობდა, რომ აღნიშნული ჩვენება დაუშვებლად უნდა ეცნოთ, ვინაიდან ის მისცა იურიდიული კონსულტაციის გავლის გარეშე. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აპლიკანტები ასაჩივრებდნენ ადვოკატის ხელმისაწვდომობის არარსებობას პოლიციის დაკითხვის დროს და მათი ჩვენებების სასამართლო პროცესზე დასაშვებად ცნობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ წინამდებარე საქმეზე პირველ სამ მომჩივანთან დაკავშირებით დარღვევა არ დაადგინა, ხოლო მე-4 მომჩივანთან მიმართებით მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენცია.

დიდი პალატის გადაწყვეტილება **მნიშვნელოვანია**, ვინაიდან ის განმარტავს **სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷⁰ საქმეზე დადგენილი ტესტის ორ ეტაპს და მათ შორის არსებულ ურთიერთობას. მან ეს ორი ეტაპი შემდეგნაირად აღწერა: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს – არსებობდა თუ არა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის წონადი მიზეზები და მეორე რიგში, რა გავლენას ახდენდა ზემოხსენებული უფლების შეზღუდვა სამართალწარმოების სამართლიანობაზე.

- (i) რაც შეეხება წონადი მიზეზების მნიშვნელობას, დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა ამ კრიტერიუმის „მკაცრი“ ბუნება, ამდენად იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა „დაშვებული იყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; შეზღუდვა უნდა იყოს დროებითი ხასიათის და ის უნდა ეფუძნებოდეს საქმის კონკრეტული გარემოებების ინდივიდუალურ შეფასებას“. აღსანიშნავია, რომ შეზღუდვა გათვალისწინებული იყო კანონით, რომელიც საკმარისად განსაზღვრავდა შეზღუდვის შინაარსსა და ფარგლებს, რომლის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ გადაწყვეტილების მიღების დროს. ზემოთ მოცემული პრინციპების გათვალისწინებით, თითოეულ საქმეზე უნდა შეფასდეს, უფლების შეზღუდვის საფუძველები რამდენად „წონადი“ იყო.
- (ii) რაც შეეხება წონად მიზეზებსა და სამართლიანობას შორის ურთიერთობას, ზემოთ ციტირებული **სალდუზისა და დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷¹ საქმეზე დაყრდნობით, დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ არ არსებობ-

⁷⁰ Salduz v. Turkey [GC], no. 36391/02, ECHR 2008.

⁷¹ Dvorski v. Croatia [GC], no. 25703/11, ECHR 2015.

და ცალსახა წესი, რომლის მიხედვით უფლების შეზღუდვის წონადი მიზეზების არარსებობა საკმარისი იქნებოდა დარღვევის დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს უფლების შეზღუდვის მყარი საფუძვლები, სამართლიანობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს მთლიანად სამართალწარმოება; ასეთი საფუძვლების არარსებობის პირობებში, სამართლიანობის შესაფასებლად სასამართლომ „ძალიან მკაცრი შემოწმება“ უნდა ჩაატაროს: სამართლიანობის შეფასების დროს წონადი მიზეზების მიუთითებლობას დიდ მნიშვნელობა აქვს და შეიძლება დარღვევის დადგენა განაპირობოს (დიდმა პალატამ მიუთითა მსგავს მიდგომაზე *ჭაჭაშვილის*⁷² საქმეზე, რომელიც სასამართლო პროცესზე მოწმის დაუსწრებლობის გასამართლებელი მყარი საფუძვლების არარსებობას ეხებოდა). როდესაც არ არის მითითებული წონადი მიზეზები, წარმოიშობა არასამართლიანობის პრეზუმფცია და მოცემულ საქმეში მთავრობას ეკისრებოდა ვალდებულება, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დამაჯერებლად წარმოეჩინა შეზღუდვის საფუძველზე რატომ არ დაირღვა სამართალწარმოების სამართლიანობა მთლიანობაში.

- (iii) ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, დიდმა პალატამ ჩამოთვალა იმ ფაქტორების არასრული სია, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდესაც ფასდება, მოახდინა თუ არა გავლენა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვამ სამართალწარმოების სამართლიანობაზე. აღნიშნული ფაქტორებია: აპლიკანტის მონყვლადობა; წინასასამართლო სხდომისა და სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა დასაშვებობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო და მისი დაცვა; ხელმისაწვდომი გარანტიები, მათ შორის, შეეძლო თუ არა მომჩივანს მტკიცებულების სადავოდ გახდომა და მისი გამოყენების გასაჩივრება; სადავო მტკიცებულების ხარისხი და მტკიცებულების მისაღებად გამოყენებული იძულების ხასიათი; ზემოხსენებული მტკიცებულებისა და სხვა მტკიცებულებების მამტკიცებელი ღირებულება; კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის საჯარო ინტერესის წონა.

აღნიშნული პრინციპების გამოყენებით, დიდი პალატა განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა, ერთი მხრივ, პირველ სამ მომჩივანთან, ხოლო მეორე მხრივ, მეოთხე მომჩივანთან მიმართებით.

პირველ სამ მომჩივანთან დაკავშირებით დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მთავრობამ წარმოადგინა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის დამაჯერებელი მიზეზი – „მოსახლეობის სიცოცხლისა და ფიზიკური მთლიანობისთვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების აუცილებელი საჭიროება“ და დაადგინა, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი იყო. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მეოთხე მომჩივანის საქმეში ნაჩვენები იყო უფლების შეზღუდვის წონადი მიზეზები, რადგან არ არსებობდა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც პოლიციას ამგვარად მოქცევის შესაძლებლობას მისცემდა. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ხელისუფლების მხარეს გადავიდა. არასამართლიანობის პრეზუმფციის დროს გამოყენებადი მაღალი სტანდარტისა და მეოთხე მომჩივანის საქმეში არსებული პროცედურული ხარვეზების კუმულაციური შედეგის გათვალისწინებით, მთავრობამ ვერ დაამტკიცა, რატომ არ დაირღვა სამართალწარმოების საერთო სამართლიანობა პოლიციის გადანყვეტილების შედეგად, კერძოდ, არ გააფრთხილა მეოთხე მომჩივანი და შეზღუდა მისი ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება.

⁷² Schatschaschwili v. Germany [GC], no. 9154/10, § 113, ECHR 2015.

ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება, კერძოდ, *სემიონოვის (Simeonovi v. Bulgaria [GC])*⁷³ საქმე, ეხებოდა დაკავების მომენტიდან ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებას და აღნიშნული დაცვის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

მომჩივანი დამნაშავედ ცნეს შეიარაღებულ ძარცვასა და ორ მკვლელობაში. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. კონვენციის 6.1 და 6.3 (c) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პირველი სამი დღის განმავლობაში მისთვის არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება. ამ პერიოდის განმავლობაში, არ მოუპოვებიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც შეიძლებოდა მის წინააღმდეგ გამოყენებულიყო და მას არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. მომჩივნის მსჯავრდება ეფუძნებოდა მის მიერ მოგვიანებით ბრალის აღიარებას (თავისი არჩეული ადვოკატის თანდასწრებით) და დამატებით მტკიცებულებებს. აპლიკანტი, კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, ასევე ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს და მისთვის, როგორც სამუდამო პატიმრისთვის, განსაზღვრულ საპატიმრო რეჟიმს.

დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, კონვენციის 6.1 და 6.3 (c) მუხლების დარღვევა კი არ დაადგინა. მე-6 მუხლთან მიმართებით სასამართლოს მსჯელობიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს რამდენიმე საკითხი:

- (i) მოცემული საქმის კონკრეტული ფაქტობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, დიდმა პალატამ გამოიყენა თავისი გადაწყვეტილებები საქმეებზე: **სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷⁴ და **იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷⁵. ერთი მხრივ, მომჩივანი დაკავებიდან სამი დღის განმავლობაში („რელევანტური პერიოდი“) დაპატიმრებული იყო პოლიციის განყოფილებაში; ამ დროის განმავლობაში მას არ მიაწოდეს ინფორმაცია უფლებაზე, რომ შეეძლო წარმომადგენელი თავისი სურვილით აერჩია და არც თვითონ უზრუნველყოფეს დამცველით. მეორე მხრივ, ამ პერიოდის განმავლობაში მისგან ჩვენება არ ჩამოურთმევიათ, არც რაიმე მტკიცებულება მოუპოვებიათ ან ჩაურთიათ საქმის მასალებში, რომელიც მის წინააღმდეგ შეიძლებოდა გამოყენებულიყო; აგრეთვე, არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანი ჩართული იყო რაიმე საგამოძიებო ღონისძიებაში;
- (ii) დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სამართლებრივი დახმარების უფლება ვრცელდება მომჩივნის დაკავების მომენტზე, ამგვარად, ის გამოყენებადი იყო მიუხედავად იმისა, დაიკითხა თუ არა მომჩივანი ან რელევანტური პერიოდის განმავლობაში მის მიმართ განხორციელდა თუ არა რომელიმე საგამოძიებო მოქმედება;
- (iii) დიდმა პალატამ დაადასტურა კავშირი ბრალდებულისთვის უფლებების შეტყობინების ვალდებულებასა და აღნიშნულ უფლებებზე „ნებაყოფლობითი და შეგნებული“ უარის დადგენას შორის (**დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷⁶ და **იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁷⁷).

⁷³ Simeonovi v. Bulgaria [GC], no. 21980/04, 12 May 2017.

⁷⁴ Salduz v. Turkey [GC], no. 36391/02, ECHR 2008.

⁷⁵ Ibrahim and Others v. the United Kingdom [GC], nos. 50541/08 and 3 others, ECHR 2016.

⁷⁶ Dvorski v. Croatia [GC], no. 25703/11, ECHR 2015.

⁷⁷ Ibrahim and Others, cited above, §§ 272-73.

მოცემულ საქმეში, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივანს რელევანტური პერიოდის განმავლობაში თუნდაც პირდაპირ არ მოეთხოვა ადვოკატის დახმარება, არ იქნებოდა მიჩნეული, რომ მან ცალსახად უარყო მისი სამართლებრივი დახმარების უფლება, რამდენადაც დაკავების შემდეგ მას არ მიუღია ინფორმაცია, რომ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა ადვოკატი. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის უფლება – სამართლებრივი დახმარების შესახებ, რელევანტური პერიოდის განმავლობაში შეზღუდული იყო;

(iv) შესაბამისად, წინამდებარე საქმეში, დიდ პალატას უნდა განესაზღვრა, მომჩივნისთვის სამართლებრივი დახმარების უფლების შეზღუდვის მიუხედავად, სამართალწარმოება შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლს; გადანყვეტილების მიღებისას, დიდმა პალატამ გამოიყენა პრინციპები, რომლებიც განავითარა გადანყვეტილებაში – საქმეზე **იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**.

მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ არ არსებობდა „წონადი მიზეზები“, რომლებიც გაამართლებდა რელევანტური პერიოდის განმავლობაში მომჩივნისათვის ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვას (შეზღუდვა გამომდინარეობდა სახელისუფლებო ორგანოების ზოგადი პრაქტიკისგან), სასამართლოს უნდა ჩაეტარებინა „ძალიან მკაცრი გამოკვლევა“ – შეზღუდვა „გამოუსწორებლად არღვევდა თუ არა“ მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოების საერთო სამართლიანობას; სახელმწიფო ვალდებული იყო, დამაჯერებლად ეჩვენებინა, რომ ყველაფრის მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლება არ დარღვეულა.

ამ კონტექსტში დიდმა პალატამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ რელევანტური პერიოდის განმავლობაში, ხელისუფლების ორგანოებს არ მოუპოვებიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც შეიძლებოდა მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებულიყო. ამასთანავე, მომჩივანს არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მიანიშნებდა, რომ იმ პერიოდის განმავლობაში ის ჩართული იყო საგამოძიებო ღონისძიებებში (მაგ., როგორცაა ამოცნობის პროცედურა); აპლიკანტი არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არ დავობდა, რომ რელევანტურ პერიოდში ეროვნული სასამართლოები ფლობდნენ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლო პროცესზე მის წინააღმდეგ გამოიყენეს. ეროვნული კანონმდებლობა გამოორიცხავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. ამრიგად, სამართლებრივი დახმარების გარეშე დაკითხვის დროს მიცემული ნებისმიერი ჩვენება დაუშვებელი იყო. მომჩივნის დუმილიდან არ გამომდინარეობდა უარყოფითი დასკვნები; აგრეთვე, არ არსებობდა კაუზალური კავშირი მის მოგვიანებით აღიარებასა და მანამდე ადვოკატის არარსებობას შორის. მომჩივანი აქტიურად მონაწილეობდა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. მისი მსჯავრი არ ეფუძნებოდა მხოლოდ აღიარებას, არამედ ასევე სხვა „თანმიმდევრულ მტკიცებულებათა ერთობლიობას“. საქმე გამოკვლეული იყო სამივე ინსტანციის სასამართლოში და ყველა სასამართლომ საკმარისად შეისწავლა არსებული მტკიცებულებები.

მოცემული ელემენტების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობამ წარმოადგინა რელევანტური და საკმარისი მიზეზები, რათა ეჩვენებინა, რომ საერთო ჯამში მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების საერთო სამართლიანობა არ დარღვეულა პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პირველი სამი დღის განმავლობაში სამართლებრივი დაცვის არარსებობის გამო. ამრიგად, წინამდებარე საქმეზე კონვენციის 6.1 და 6.3 (c) მუხლების დარღვევა არ დადგინდა.

არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხლი 7)

გადაწყვეტილებაში საქმეზე კოპრივნიკარი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Koprivnikar v. Slovenia)⁷⁸ სასამართლომ განიხილა, უნდა დაიცვან თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა კანონიერების პრინციპი მრავალჯერად დანაშაულში კომბინირებული სასჯელის დადგენისას.

მომჩივანს ბრალი წაუყენეს (სამი ცალკეულ გადაწყვეტილებაში) სამი ცალკეული დანაშაულისთვის, მათ შორის, მკვლელობისთვის. მკვლელობა იმ დროისთვის ითვალისწინებდა 30 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას. 2008 წლის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებათა ინტერპრეტაციის საფუძველზე, განაჩენის გამომტანმა სასამართლომ მომჩივანს სამივე დანაშაულზე ერთობლივად დააკისრა 30-წლიანი პატიმრობა. კონვენციის სამართალწარმოებისას მომჩივანმა აღნიშნა, რომ საერთო სასჯელი არღვევდა კონვენციის მე-7 მუხლს, იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მომჩივანის სიტუაციაში ითვალისწინებდა მაქსიმუმ 20-წლიან და არა 30-წლიან პატიმრობას.

სასამართლომ გადაწყვეტილება მომჩივანის სასარგებლოდ გამოიტანა, რომელიც აღსანიშნავია შემდეგ საკითხებთან მიმართებით.

პირველ რიგში, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნორმა არ იყო საკმარისი სამართლებრივი საფუძველი მომჩივანის საქმეში ერთობლივი სასჯელის დაკისრებისთვის. სიტუაცია ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს, კერძოდ, მოთხოვნას, რომ სასჯელი ნათლად იქნეს განსაზღვრული შიდა კანონმდებლობით. სასამართლომ აღნიშნა:

„მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულების თანახმად, მომჩივანის სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს, ერთობლივი სასჯელი უნდა აღემატებოდეს თითოეულ სასჯელს ცალ-ცალკე, მომჩივანის შემთხვევაში კი, მისი პატიმრობის ვადა განისაზღვრა 30 წლით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ხარვეზი გამოწვეულია კანონმდებლობის ნაკლებობით – 2008 წლის სისხლის სამართლის კოდექსში დაარეგულიროს ერთობლივი სასჯელი. უფრო მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ შედეგად მიღებული ხარვეზები ყალიბდებოდა სამი წლის განმავლობაში და მთავრობას არ წარმოუდგენია განსაკუთრებული მიზეზები ამის გასამართლებლად (იხ. საქმე **რუბანი უკრაინის წინააღმდეგ**⁷⁹)“.

მეორე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განაჩენის გამომტან სასამართლოს საქმე უნდა აღეძრა იმ ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელიც ყველაზე მეტად იყო მომჩივანისთვის ხელშემწყობი, კერძოდ, მაქსიმუმ 20 წლით პატიმრობა „რომელიც, მაქსიმალურად შეესაბამებოდა ერთობლივი სასჯელის მაქსიმალურ ზღვარს“. სასამართლომ გამოიყენა უფრო მძიმე სასჯელი მომჩივანის საზიანოდ.

მესამე, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ მე-7 მუხლი – ორივე, როგორც „სასჯელი“, ასევე *ლეს მიტიორ*-ის პრინციპი – გამოყენებოდა ერთობლივი სასჯელის კალკულაციის პროცედურისას, რათა შეცვალოს მრავალჯერადი სასჯელი.

⁷⁸ Koprivnikar v. Slovenia, no. 67503/13, 24 January 2017.

⁷⁹ Ruban v. Ukraine, no. 8927/11, 12 July 2016.

სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრების უფლება

(მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

გადანყვეტილება საქმეზე რუსლან იაკოვენკო უკრაინის წინააღმდეგ (*Ruslan Yakovenko v. Ukraine*)⁸⁰ ეხებოდა მომჩივნისთვის გასაჩივრების უფლების გამოყენებაში ხელის შეშლას, სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეში განხილულია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რომლის მეშვეობით ხდება სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების შედეგად მიღებული იმ გადანყვეტილების გასაჩივრება, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს პირის თავისუფლების უფლებაზე.

მომჩივანს, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა მძიმე ფიზიკური დაზიანების მიყენების ბრალდებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მისი სასჯელის ვადა იწურებოდა სასამართლო გადანყვეტილების მიღებიდან სამ დღეში, რადგან ის დიდი ხნის განმავლობაში წინასწარ პატიმრობაში იყო. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ, საპატიმრო სასჯელის ვადის გასვლის შემდეგაც, ვიდრე გადანყვეტილება საბოლოო გახდებოდა, გადანყვიტა მომჩივანი პატიმრობაში დაეტოვებინა. თუ მომჩივანი გადანყვეტილებას არ გაასაჩივრებდა, ეს „პრევენციული პატიმრობა“ გაგრძელდებოდა 12 დღის ვადით, სანამ გადანყვეტილება საბოლოო გახდებოდა. მომჩივანი თუ გაასაჩივრებდა გადანყვეტილებას, მაშინ ეს გამოიწვევდა პირველი ინსტანციის გადანყვეტილების საბოლოოდ გახდომის გადადებას გაურკვეველი ვადით, შესაბამისად, მომჩივნის „პრევენციული პატიმრობაც“ გაურკვეველი ვადით გაგრძელდებოდა.

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად განიხილა გასაჩივრების პროცედურული წესები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდნენ პირის თავისუფლების უფლებაზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შეფასების ფართო ფარგლები აქვთ იმის განსაზღვრისას თუ როგორ უნდა მოხდეს მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენება. მიუხედავად ამისა, გასაჩივრების უფლების არსი არ უნდა დაირღვეს; საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული უფლება ნამდვილად დაირღვა. მომჩივანს ჰქონდა გასაჩივრების უფლება, თუმცა პრაქტიკაში, მან გადაიფიქრა აღნიშნული უფლებით სარგებლობა, რადგან გასაჩივრება გააჭიანურებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების საბოლოოდ ცნობას და შესაბამისად, მის თავისუფლებას. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი, ვინაიდან მომჩივნის მიერ გასაჩივრების უფლებით სარგებლობა გამოიწვევდა გაურკვეველი ვადით მისი თავისუფლების შეზღუდვას.

⁸⁰ Ruslan Yakovenko v. Ukraine, no. 5425/11, ECHR 2015.

**პირის უფლება, არ იქნეს გასამართლებული ან დასჯილი ორჯერ
(მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)**

გადანყვეტილება საქმეზე ა. და ბ. ნორვეგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (A and B v. Norway [GC])⁸¹ ეხებოდა ერთი და იმავე ქმედებისთვის, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრებას.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად მომჩივნებს დაეკისრათ საურავი, რადგან მათ დამალეს საშემოსავლო გადასახადი. პარალელურად მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, ისინი დამნაშავედ ცნეს გადასახადებისგან თავის არიდებაში. კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის საფუძველზე მომჩივნები დავობდნენ, რომ ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ დაისაჯნენ.

გადანყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის განმარტავს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან (*ne bis in idem*) მიმართებით და ადგენს ფარგლებს თუ როგორ უნდა მოხდეს *ne bis in idem* პრინციპთან შესაბამისობის შესწავლა.

(i) დიდმა პალატამ პირველ რიგში აღნიშნა, რომ გადანყვეტილება საქმეზე **სერგეი ზოლოტუხინი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁸² კვლავ რელევანტურია.

იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალწარმოება სისხლისსამართლებრივი ხასიათის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის, უნდა შეფასდეს მსგავსად სერგეი ზოლოტუხინის საქმისა, ენგელის⁸³ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც შემუშავდა კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად: *ne bis in idem* პრინციპი ძირითადად ეხებოდა საქმის განხილვას შესაბამისი პროცედურის დაცვით, რომელიც მე-6 მუხლის მიზანს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც *ne bis in idem* პრინციპი ამოქმედდება, არსებობს გარკვეული მიდგომის გამოყენების აშკარა საჭიროება იმ ფორმით, რომ ეს პრინციპი გავრცელდეს სამართალწარმოებებზე, რომლებიც აერთიანებს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სასჯელებს.

სერგეი ზოლოტუხინის საქმეში განმარტებულია, რომ იმის დასადგენად არის თუ არა განცალკევებული სამართალწარმოების დროს განხილული დანაშაულები ერთი და იგივე, საჭიროა ფაქტებზე დაფუძნებული (მეორე „დანაშაულის“ სისხლისსამართლებრივი დევნა ან მასზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება აკრძალული იყო, რამდენადაც ეს უკანასკნელი მომდინარეობს ფაქტებიდან, რომლებიც იდენტური ან არსებითად იგივეა) და არა ფორმალური შეფასება, სადაც შედარებულია დანაშაულის „არსებითი ელემენტები“.

აღნიშნული გადანყვეტილება ადასტურებს, რომ მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, ერთი და იმავე დანაშაულისთვის არავინ არ უნდა იყოს (i) გასამართლებული (ii) ან დასჯილი.

სხვაგვარად სერგეი ზოლოტუხინის საქმე ვერ იქნებოდა სახელმძღვანელო ნი-

⁸¹ A and B v. Norway [GC], nos. 24130/11 and 29758/11, ECHR 2016.

⁸² Sergey Zolotukhin v. Russia [GC], no. 14939/03, ECHR 2009.

⁸³ Engel and Others v. the Netherlands, 8 June 1976, Series A no. 22.

ნამდებარე საქმის მსგავს შემთხვევებში, როდესაც სამართალწარმოება რეალურად იყო არა გამეორებული (*bis*), არამედ კომბინირებული ინტეგრირებული გზით, რათა შექმნილიყო თანმიმდევრული ერთიანობა (რასაც დიდმა პალატამ ორმაგი სამართალწარმოება უწოდა).

- (ii) დიდმა პალატამ მიმოიხილა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ორმაგ სამართალწარმოებასთან მიმართებით *ne bis in idem* პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს აირჩიოს დამატებითი სამართლებრივი პასუხი სოციალურად მნიშვნელოვან დანაშაულებრივ ქმედებებზე (როგორცაა ტრანსპორტი ან გადასახადები).

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8)

პირადი ცხოვრების უფლება

გადანყვეტილება საქმეზე ბოჰლენი გერმანიის წინააღმდეგ (*Bohlen v. Germany*)⁸⁴
უხებოდა სიგარეტის სარეკლამო კამპანიის მიზნებისათვის მომჩივნის სახელის გამოყენებას, მისი ნებართვის გარეშე.

მომჩივანი ცნობილი პოპ-მომღერალი იყო. მან გამოაქვეყნა წიგნი. სამართალწარმოების შედეგად, აღნიშნული წიგნის გარკვეული ნაწყვეტები უნდა წაშლილიყო. თამბაქოს კომპანიამ, სიგარეტის ბრენდის სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, გამოიყენა მომჩივნის სახელი და იუმორისტულ/სატირული ფორმით დაუკავშირა იმ პრობლემებს, რომლებიც მომჩივანს წიგნის გამოქვეყნების შემდეგ შეექმნა. მომჩივანმა მისი სახელის უკანონო გამოყენებისა და შედეგად, თამბაქოს კომპანიის უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე კომპენსაცია მოითხოვა. მომჩივნის სამოქალაქო სარჩელი საბოლოოდ ფედერალურმა სასამართლომ უარყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

წინამდებარე საქმე აღსანიშნავია, რადგან სტრასბურგის სასამართლომ საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ კომერციული გამოხატვის უფლებამ გადანონა მე-8 მუხლიდან გამომდინარე მომჩივნის არგუმენტები.

სასამართლომ დასაწყისშივე დაადასტურა, რომ ინდივიდის სახელი მისი პირადი (და ოჯახური) ცხოვრების ნაწილია. წინამდებარე საქმეზე სარეკლამო კამპანიის მიერ მომჩივნის სახელის დაკავშირება მისი წიგნის გამოცემასთან მიმართებით არსებულ სადავო გარემოებებთან, შესაძლებელს ხდიდა მომხდარიყო მომჩივნის ვინაობის იდენტიფიცირება. კონვენციის მე-8 მუხლი გამოიყენებოდა ამ კონტექსტშიც. სტრასბურგის სასამართლომ გამოიკვლია, მომჩივნის სამოქალაქო სარჩელის წარუმატებლობა ნიშნავდა თუ არა იმას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ ზემოხსენებული გა-

⁸⁴ Bohlen v. Germany, no. 53495/09, 19 February 2015.

მოკვლევა ჩაატარა სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომლებიც მან დაადგინა გადაწყვეტილებაში საქმეზე **აქსელ სპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**⁸⁵; სასამართლოს უნდა დაედგინა, წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი შეპირისპირებულ ინტერესებს, კერძოდ, სიტყვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებებს შორის. სასამართლომ დაასკვნა შემდეგი:

- (i) სარეკლამო კამპანიას საფუძვლად ედო მედიაინტერესი, რომელიც განპირობებული იყო მომჩივნის წიგნის გამოცემითა და შემდგომი სამართალწარმოებით. სარეკლამო კამპანია იყო სატირული და იუმორისტული ხასიათის, რომელიც ეხებოდა წიგნის გარეკანთან დაკავშირებულ დისკუსიას; სატირა და იუმორი კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის ფორმებია. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სარეკლამო კამპანია ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატებს;
- (ii) მომჩივანი ცნობილი პიროვნება იყო და ამის გამო იგი სარგებლობდა პირადი ცხოვრების დაცვის ნაკლები ხარისხით;
- (iii) რეკლამას არ გაუმყლავნებია მომჩივნის პირადი ცხოვრების რაიმე დეტალი და ის არ ეყრდნობოდა მომჩივნის მიერ თავის წიგნში გამყლავნებულ რაიმე ინფორმაციას პირადი ცხოვრების შესახებ. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანმა, საკუთარი თავის შესახებ წიგნის გამოქვეყნებით, გამიზნულად მოიპოვა ცნობადობა;
- (iv) სარეკლამო კამპანია არ იძლეოდა არანაირ მინიშნებას იმისა, რომ არამწვევლი მომჩივანი, რაიმე ფორმით დაკავშირებული იყო რეკლამაში მოცემული სიგარეტის ბრენდის პოპულარიზაციის ხელშეწყობასთან;
- (v) მომჩივანს რეკლამასთან აკავშირებდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებისთვისაც ცნობილი იყო წიგნის გამოცემის შემდგომ განხორციელებული სამართალწარმოების შესახებ.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები და შეფასებები ასევე საინტერესოა იმ კუთხით, რომ მხედველობაში იქნა მიღებული ის ფორმა, რომლის მიხედვითაც, ფედერალურმა სასამართლომ უპასუხა მომჩივნის სამოქალაქო სარჩელს, კერძოდ, შეპირისპირებული ინტერესების დაბალანსების ქრილში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნის ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ ფედერალურმა სასამართლომ პრიორიტეტი თამბაქოს კომპანიის კონსტიტუციურ უფლებას – გამოხატვის თავისუფლებას, მიანიჭა, რადგან მომჩივანი მხოლოდ მისი სახელის გამოყენების ფინანსური დაცვის უფლებაზე დავობდა. სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი, იმის გათვალისწინებით, რომ ფედერალურმა სასამართლომ საქმეში არსებულ უფლებებს შორის ბალანსის დაცვის დროს, მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი მოსაზრება.

გადაწყვეტილება დუბსკა და კრეჯოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Dubska and Krejzova v. the Czech Republic [GC])⁸⁶ ეხება ეროვნულ კანონ-

⁸⁵ Axel Springer AG v. Germany [GC], no. 39954/08, §§ 90-95, 7 February 2012.

⁸⁶ Dubska and Krejzova v. the Czech Republic [GC], no 28859/11 and 28473/12, ECHR 2016.

მდებლობას, რომელიც ნებას რთავს მომჩივანს იმშობიაროს სახლში, მაგრამ პროფესიონალი ექიმების მიერ დახმარების განევა ითვლება არაკანონიერ ქმედებად.

მომჩივნებს სურდათ ბავშვი სახლში გაეჩინათ, ბებიაქალების დახმარებით. სახლში მშობიარობა არ იყო უკანონო, მაგრამ ბებიაქალები შესაძლოა დასჯილიყვნენ მშობიარისათვის დახმარების გამო. პირველი მომჩივნის გაცხადებით, როდესაც პირველ ბავშვზე იმშობიარა, საავადმყოფომ არ გაითვალისწინა მისი სურვილები, ამიტომაც მეორე ბავშვის გაჩენა სახლში გადაწყვიტა. დაწესებული სანქციების გამო, იგი ვერ მიიღებდა ვერანაირ სამედიცინო დახმარებას. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი საპროცესო საფუძვლებზე დაყრდნობით (უმრავლესობამ ეჭვქვეშ დააყენა ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობა და ახალი კანონმდებლობის მისაღებად ამ თემაზე დებატების საჭიროების საკითხი წამოჭრეს).

მეორე მომჩივანმა ორჯელ იმშობიარა სახლში, ბებიაქალების დახმარებით, მესამე ბავშვზე კი – საავადმყოფოში, რადგანაც დაწესებული სანქციის გამო, იგი იდგა საშიშროების წინაშე, რომ ვერ იპოვიდა პროფესიონალ ექიმს, რომელიც სახლში მშობიარობის დროს დაეხმარებოდა. მან განაცხადა, რომ საავადმყოფომ არ გაითვალისწინა მისი გარკვეული სურვილები.

კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, ორივე მომჩივანი დავობდა, რომ ჩეხეთის კანონმდებლობა არ აძლევდა უფლებას პროფესიონალებს, მშობიარისთვის გაეჩინათ სამედიცინო დახმარება სახლში მშობიარობის დროს. დიდმა პალატამ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

საქმე საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის აფასებს ეროვნული კანონმდებლობის პროპორციულობას, რომელიც ერთი მხრივ, მშობიარეს საშუალებას აძლევს სახლში იმშობიაროს, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიონალებს უკრძალავს მშობიარისთვის სამედიცინო დახმარების განევა. ეს საქმე განსხვავდება საქმისგან **ტერნოვსზკი უნგრეთის წინააღმდეგ**⁸⁷, სადაც სამედიცინო პერსონალს ორაზროვანი, ბუნდოვანი კანონმდებლობის გამო არ რთავდნენ ნებას სახლში მშობიარეთათვის სამედიცინო დახმარება გაეჩინათ; ციტირებულ საქმეში დარღვევა დადგინდა იმ საფუძვლით, რომ ჩარევა „არ იყო კანონით გათვალისწინებული“. თუმცა აღსანიშნავია ორი საკითხი:

- (i) დიდმა პალატამ ცნო, რომ „მშობიარობა არის უნიკალური და დელიკატური მომენტი ქალის ცხოვრებაში“. ტერნოვსზკის საქმის მსგავსად, სასამართლომ დაადასტურა, რომ ბავშვის გაჩენა (რასაც თან ახლავს ფიზიკურ და მორალურ ერთიანობასთან დაკავშირებული საკითხები, სამედიცინო დახმარება, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა), მშობიარობის ადგილის არჩევა, ფუნდამენტურად არის დაკავშირებული ქალის პირად ცხოვრებასთან და ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში;
- (ii) დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ იყო ლეგიტიმური მიზნის – დაცული იქნეს ბავშვისა და დედის ჯანმრთელობის უსაფრთხოება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ – არაპროპორციული.

ბალანსის მისაღწევად საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა იმის დადგენა, რომ სა-

⁸⁷ Ternovszky v. Hungary, no. 67545/09, 14 December 2010.

ხელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები ფართო იყო. საქმე ეხებოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს ჯანდაცვის სფეროში (ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების წესების ჩამოყალიბებას საჯარო და კერძო დაწესებულებებში), უფრო მეტიც, ჯანმრთელობის პოლისის კომპლექსურ ხასიათს, რომლისთვისაც საჭიროა სამეცნიერო და საექსპერტო მონაცემების შეფასება, რომლებიც ეხება იმ რისკ-ფაქტორებს, რაც თან ახლავს სახლში და საავადმყოფოში მშობიარობას. სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა ასევე რელევანტური იყო, რადგან სახლში მშობიარობასთან მიმართებით საკანონმდებლო ჩარჩო გამოიწვევდა საბიუჯეტო ცვლილებებს. უფრო მეტიც, არ არსებობდა ევროპული კონსენსუსი, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები.

ამ შეფასების კიდევ ერთი ელემენტი გახლდათ სასამართლოს აღიარება, რომ დედასა და ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები (თუნდაც ისინი იყვნენ პროფესიონალების მეთვალყურეობის ქვეშ) გაცილებით მაღალია სახლში მშობიარობის დროს.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს აპლიკანტების საჩივარი იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელშიც ისინი იმშობიარებდნენ საავადმყოფოში, დიდმა პალატამ განიხილა რამდენიმე ეროვნული ინიციატივა, რომელთა მიღებაც აუცილებელი იყო, რათა გაუმჯობესებულიყო გარკვეული საკითხები; დიდმა პალატამ, პალატის მსგავსად, მოუწოდა ეროვნულ ხელისუფლებას „შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მუდმივი განხილვის გზით განეხორციელებინა ცვლილებები, რათა უზრუნველყო, რომ ეროვნული კანონმდებლობა ასახავდა სამედიცინო და სამეცნიერო განვითარების მოვლენებს და ამავედროულად იცავდა ქალთა უფლებებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რაც გულისხმობდა ადეკვატური პირობების უზრუნველყოფას, როგორც პაციენტებისთვის, აგრეთვე სამედიცინო გუნდისათვის, სამშობიარო სახლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით“.

საქმე ვუკოტა-ბოჯიჩი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Vukota-Bojic v. Switzerland*)⁸⁸ ეხებოდა კერძო დეტექტივების მიერ მომჩივნის გადაადგილების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის გამოყენებას, სოციალურ-სადაზღვევო სფეროში არსებული დავის შესახებ სამართალწარმოებაში.

მომჩივანი დაშავდა საგზაო შემთხვევის დროს. საგზაო შემთხვევამ წარმოშვა სხვადასხვა სახის დავა მომჩივნის შრომისუნარიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის შესახებ არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი მომჩივნის შრომისუუნარობასა და უბედურ შემთხვევას შორის და რა ოდენობის კომპენსაცია უნდა მიკუთვნებოდა მას. სადაზღვევო კომპანიამ, რომელიც მოქმედებდა დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში და ახორციელებდა სახელმწიფო დაზღვევის სქემას, გადანყვიტა მომჩივნისთვის ეთვალთვალათ. სადაზღვევო კომპანიის მიერ დანიშნულმა კერძო დეტექტივებმა 23 დღის განმავლობაში 4 სხვადასხვა დღეს შეამოწმეს თუ სად გადაადგილდებოდა მომჩივანი. სადაზღვევო კომპანიას უნდოდა თვალთვალის შედეგად მოპოვებული დეტალური ინფორმაცია გამოეყენებინა სასამართლო პროცესზე, რათა გაესაჩივრებინა მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი, აგრეთვე, ის სამედიცინო დასკვნები, რომლებიც მათი აზრით, არ შეესაბამებოდა სი-

⁸⁸ Vukota-Bojic v. Switzerland, no. 61838/10, 18 October 2016.

ნამდვილეს. რაც შეეხება კერძო დეტექტივების მიერ განხორციელებული მონიტორინგის კანონიერებას, ეროვნულმა სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ გამოყენებული ღონისძიება კანონიერი იყო და შესაბამისად, შეიძლებოდა მოპოვებული მტკიცებულებების სასამართლო პროცესზე გამოყენება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიმართ განხორციელებულ თვალთვალს, აკლდა სიზუსტე და სიცხადე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არაკანონიერი იყო და დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

მომჩივნის სასარგებლოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა არ განხორციელდა კანონის შესაბამისად. გადაწყვეტილება საინტერესოა იმ მხრივ, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თვალთვალის განხორციელებასა და მომჩივნის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო იყო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაზღვევო კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანია იყო, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდა სახელმწიფო დაზღვევის სქემას; ამრიგად, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ის საჯარო ხელისუფალი იყო. აქედან გამომდინარე, მომჩივნის საქმე გამოირჩევა წინა საქმისგან – **დე ლა ფლორ კაბრერა ესპანეთის წინააღმდეგ**⁸⁹, სადაც სასამართლოს უნდა განეხილა, დაარღვია თუ არა ესპანეთმა პოზიტიური ვალდებულებები, უზრუნველყო პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება სადაზღვევო კომპანიის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული თვალთვალის კონტექსტში.

გადაწყვეტილება აგრეთვე აღსანიშნავია, „ჩარევის“ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოვლენილი მიდგომის თვალსაზრისით, კერძოდ, მომჩივნის საქმიანობის მონიტორინგი შეზღუდული იყო და ითვალისწინებდა მხოლოდ საჯარო სივრცეში მის მიერ განხორციელებული ქმედებების ვიდეო და ფოტოგადაღებას. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა:

„მომჩივანს მუდმივად და ინტენსიურად აკვირდებოდნენ და მის ქცევას ვიდეოკამერით იღებდნენ პროფესიონალები, რომლებიც მოქმედებდნენ სადაზღვევო კომპანიის მიერ მიწოდებული ინსტრუქციებით 4 სხვადასხვა დროს, 21 დღის მანძილზე. გადაღებული მასალა (როგორც ვიდეოჩანაწერები, აგრეთვე ფოტოები) შეირჩა და მიენოდა ექსპერტს იმ მიზნით, რომ მას შეედგინა დასკვნა და საბოლოოდ, ხელახლა შეეფასებინა, უნდა ესარგებლა თუ არა მომჩივანს სადაზღვევო შეღავათებით“.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრასბურგის სასამართლოს მიერ თვალთვალის სამართლებრივი საფუძვლის შეფასებას; სასამართლომ აღნიშნა, რომ თვალთვალი მომჩივნის პირადი ცხოვრების უფრო ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება იყო, ვიდრე, მაგალითად, სატელეფონო მოსმენა.

სასამართლომ გააკრიტიკა უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისკენ მიმართული გარანტიები: საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებდა პროცედურას, რომლის მეშვეობით მოხდებოდა სადაზღვევო დავების განსაზღვრულ კონტექსტში თვალთვალზე ნებართვის გაცემა და მისი ზედამხედველობა; თვალთვალის მაქსიმალური ხანგრძლივობის ან მისი სასამართლოს წინაშე გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ დეტალური ინფორმაციის არარსებობის დროს, სადაზღვევო კომპანი-

⁸⁹ De La Flor Cabrera v. Spain, no. 10764/09, 27 May 2014.

ებს (რომლებიც მოქმედებენ როგორც საჯარო მოხელეები) მინიჭებული ჰქონდათ ფართო დისკრეტია, გადაწყვეტილება მიეღოთ იმ გარემოებების თაობაზე, რომლებიც ამართლებდნენ თვალთვალის ღონისძიებას და მის ხანგრძლივობას. სამართლებრივი დებულებები „დუმდა“ იმ პროცედურაზე, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო თვალთვალის გზით შეგროვებული მონაცემების შენახვის, შემონახვის, გამოყენების ან განადგურების დროს. სასამართლომ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზე, რომ მომჩივნის საქმეში რამდენიმე საკითხი გაურკვეველი იყო:

1. იმ ანგარიშის შენახვის ადგილი და ხანგრძლივობა, რომელიც შეიცავს სადავო კადრებსა და ფოტოებს;
2. პირები, ვისთვისაც ზემოთ ხსენებული მასალები ხელმისაწვდომი იყო;
3. არსებობდა თუ არა სამართლებრივი საშუალება, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული ანგარიშის გამოყენების გასაჩივრება.

გადაწყვეტილებაში საქმეზე *ი.ი. თურქეთის წინააღმდეგ (Y.Y. v. Turkey)*⁹⁰ მომჩივანი ითხოვდა სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთების უფლების მინიჭებას, თუმცა მას უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ უეჭველად არ დასტურდებოდა მისი უშვილობა. ეროვნულმა სასამართლოებმა ამ საკითხის განხილვის დროს გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის მე-40 მუხლი. მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა, რომ მომჩივანი ოპერაციის ჩატარებისთვის საჭირო სხვა მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. აპლიკანტს საბოლოოდ 2013 წელს მისცეს ოპერაციის გაკეთების უფლება, მის პირველ განაცხადზე უარის თქმიდან ხუთი წლისა და შვიდი თვის შემდეგ.

ეროვნულ სასამართლოს მომჩივნის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების დროს არ განუხილავს, შეეძლო თუ არა მას შვილის გაჩენა. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

მოცემულმა საქმემ წამოჭრა ახალი განსახილველი საკითხი, რომელზეც სასამართლოს ტრანსსექსუალებთან დაკავშირებული სხვა საქმეების განხილვისას არ უმსჯელია. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს უნდა შეეფასებინა, სქესის შეცვლასთან დაკავშირებით, მომჩივნისთვის დადგენილი პირობები რამდენად თავსებადი იყო კონვენციის მე-8 მუხლთან. ადრინდელ საქმეებში სასამართლო ძირითადად აფასებდა სქესის შეცვლის ოპერაციის შემდგომ ტრანსსექსუალების მიერ მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის კანონიერებას (იხ. *ქრისტი-ნე გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁹¹, *ვან კუკი გერმანიის წინააღმდეგ*⁹² და *ჰამალაინენი ფინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*⁹³).

გადაწყვეტილება *საინტერესოა*, რადგან ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა მომჩივნის საქმე გამოეკვლია მე-8 მუხლით დაცულ მის უფლებებში ჩარევის კუთ-

⁹⁰ Y.Y. v. Turkey, no. 14793/08, ECHR 2015.

⁹¹ Christine Goodwin v. the United Kingdom [GC], no. 28957/95, § 90, ECHR 2002-VI.

⁹² Van Kuck v. Germany, no. 35968/97, § 69, ECHR 2003-VII.

⁹³ Hamalainen v. Finland [GC], no. 37359/09, § 67, ECHR 2014, see Annual Report 2014.

ხით, ვიდრე ემსჯელა, იქნებოდა თუ არა აპლიკანტისთვის სქესის შეცვლის ოპერაციაზე უარის თქმა მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა. სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერაციაზე უარი წარმოადგენდა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, კერძოდ, სექსუალური იდენტობისა და პიროვნული განვითარების შესახებ, მის მიერ არჩეული სქესის შესაბამისად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სქესის შეცვლის ოპერაცია შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საკითხი, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი – სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთებისთვის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ, უშვილობა, ემსახურებოდა თუ არა ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჩარევის აუცილებლობაზე, მხედველობაში მიიღო რა ხელისუფლებისთვის მიკუთვნებული თავისუფალი შეფასების ფარგლები, როცა ის კანონს გამოსცემს სქესის შეცვლის ოპერაციის ხელმისაწვდომობისა და ახალი სქესის იურიდიული აღიარების შესახებ; შეფასების ფარგლები განისაზღვრება უფლების არსიდან გამომდინარე, აგრეთვე ამ მიმართულებით ეროვნული და ევროპული ტენდენციების გათვალისწინებით. სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, გამოიკვლია, რომ ევროპის საბჭოს წევრ ძალიან ბევრ ქვეყანაში სქესის შეცვლის ოპერაცია ტრანსსექსუალებისათვის ხელმისაწვდომი იყო და ხდებოდა ოპერაციის შემდგომი სქესის სამართლებრივი აღიარება. ზოგიერთი ქვეყანა იურიდიულად აღიარებს ახალ სქესს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს გაკეთებული აქვს სქესის შეცვლის ოპერაცია და/ან ის უშვილოა. განსაზღვრულმა სახელმწიფოებმა სულ ცოტა ხნის წინ გააუქმეს უშვილობის მოთხოვნა, როგორც ახალი სქესის იურიდიულად აღიარების წინაპირობა. გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მოთხოვნა კვლავ არსებობს, ფერტილობა სადავო საკითხი ხდება მხოლოდ ოპერაციის შემდეგ. წინამდებარე საქმეში ეროვნული სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ უნაყოფობასთან დაკავშირებული მოთხოვნა უნდა შესრულდეს სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთების უფლებამოსილების მიღებამდე. მომჩივნის მოთხოვნაზე უარის თქმის გასამართლებლად წარდგენილი რელევანტური არგუმენტები სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.

გადაწყვეტილება საქმეზე *ი. სლოვენის წინააღმდეგ (Y. v. Slovenia)*⁹⁴ ეხებოდა სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიერ გაუპატიურების მსხვერპლის ჯვარედინ დაკითხვას და საქმის განხილვის დროს მსხვერპლის პიროვნული ხელშეუხებლობის დაცვის საკითხს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მდიდარია საქმეებით, სადაც სასამართლომ იმსჯელა, დაიცვა თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლიანი ბალანსი ბრალდებულის უფლებებსა და სხვა იმპერატივებს, მაგალითად, უსაფრთხოების საკითხებს ან მსხვერპლთა და მოწმეთა ინტერესებს შორის. საქმეში *ი. სლოვენის წინააღმდეგ* წარმოდგენილია შეპირისპირებული

⁹⁴ Y. v. Slovenia, no. 41107/10, ECHR 2015 (extracts).

უფლებებისა და ინტერესების შეთანხმების ახალი ხედვა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, განხილული პიროვნული ხელშეუხებლობის ქრილში, დაირღვა იმის გამო, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ ვერ შეძლო მისი დაცვა, ბრალდებულის მიერ დაკითხვის დროს დასმული შეუფერებელი და უხამსი კითხვებისგან. სასამართლოს მიერ მსგავსი საქმის შესწავლისას, პირიქით, ბრალდებული დავობდა, დაცვის უფლების დარღვევის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მას არ შეეძლო მოწმეების პირდაპირი დაკითხვა.

აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ X-მა გააუპატიურა. დანაშაულის დროს ის იყო არასრულწლოვანი, ხოლო X ოჯახის ახლობელი. მომჩივნის ჩვენება საქმეში არსებული ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება იყო. სასამართლოს მიერ განხილული სხვა მტკიცებულებები წინააღმდეგობრივი იყო. ბრალდებულს პირადად მიენიჭა უფლება ჯვარედინად დაეკითხა მომჩივანი სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლოს მიერ გამართულ ორ პროცესზე.

იმის დასადგენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ დაიცვა თუ არა სათანადო ბალანსი მომჩივნის მე-8 მუხლის ინტერესებსა და ბრალდებულის მიერ მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვის უფლების გამოყენებას შორის, სტრასბურგის სასამართლომ ამოსავალ წერტილად მიიჩნია ის უარყოფითი გავლენა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლსა და ბრალდებულს შორის პირდაპირმა კონფრონტაციამ შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლისთვის. სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი კონფრონტაცია მოიცავს მსხვერპლისთვის ახალი ტრავმის მიყენების რისკს, რაც ეროვნული სასამართლოებისგან მოითხოვს ბრალდებულის მიერ დაზარალებულის ჯვარედინი დაკითხვის ყურადღებით შესწავლას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაზარალებულისთვის დასმული შეკითხვები ინტიმური ხასიათისაა.

მომჩივნის საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ დაიცვა სათანადო ბალანსი საქმეში შეპირისპირებულ უფლებებს შორის. სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულს ნებართვა მიეცა მომჩივნისთვის ძალიან პირადული კითხვები დაესვა, რომელთა ნაწილი მიჩნეულ იქნა, რომ განკუთვნილი იყო არა აპლიკანტის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობის ეჭვქვეშ დასაყენებლად, არამედ მისი პიროვნების დასამცირებლად; ზოგჯერ ბრალდებულის კითხვები უტოლდებოდა შეურაცხმყოფელ ცილისწამებას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს დაცვის მხარის უფლებას, შედავებოდა მომჩივნის ჩვენების სანდოობას, მან მიიჩნია, რომ ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც მონმეების დაშინების ან დამცირების საშუალება. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი პირდაპირ დაიკითხა დეტალურად და თან იმ კაცის მიერ, რომელსაც ბრალს დებდა სექსუალურ ძალადობაში, სხდომის თავმჯდომარეს უნდა უზრუნველყო მომჩივნის პიროვნული ხელშეუხებლობის ადეკვატური დაცვა. საბოლოოდ, სასამართლომ დაარღვია დაკისრებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან დაკითხვის დროს ის არ ჩაერია კონკრეტულ კითხვებთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმ ფორმასთან დაკავშირებითაც, რომლის მიხედვით სასამართლო პროცესზე გინეკოლოგიის დარგში ექსპერტს უფლება მიეცა კითხვები დაესვა მომჩივნისთვის. ექსპერტი დაინიშნა გამომძიებელი სასამართლის მიერ იმ მიზნით, რომ დაედგინა ჰქონდა თუ არა მომჩივანს სქესობრივი კავშირი ბრალდებულთან. სასამართლო პროცესზე ექსპერტს ჰქონდა უფლება კითხვები დაესვა მომჩივნისთვის ბრალდების ფორმით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ უკავშირდებოდა მისი დანიშვნის მიზანს და ექცეოდა ბრალდების მხარისა და სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნულმა ფაქტმა მომჩივნისთვის დამატებითი სტრესი გამოიწვია. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ პროცესის მონაწილე სხვა პირები, რომლებიც გამოძახებული არიან გამოძიების ან გადანყვეტილების მიღების პროცესის დასახმარებლად, დაზარალებულებსა და სხვა მოწმეებს უნდა მოეპყრან ღირსეულად და სტრესი არ უნდა გამოიწვიონ.

გადანყვეტილებაში საქმეზე ი. თურქეთის წინააღმდეგ (განჩინება) (Y v. Turkey (dec.))⁹⁵ მომჩივანი ასაჩივრებდა ინფორმაციის გამხელას იმის თაობაზე, რომ დაავადებული იყო შიდსით იმ საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის, სადაც გულის წასვლის შედეგად მოათავსეს. აპლიკანტი საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს, შესაბამისად, ის ვერ გაამჟღავნებდა, რომ შიდსით დაავადებული იყო. მისმა ნათესავებმა აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს სასწრაფო დახმარების გამოძახებულ ეკიპაჟს. მომჩივანი დავობდა, რომ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ინფორმაცია გაუმჟღავნა საავადმყოფოს როგორც სამედიცინო, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს, კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევით.

წინამდებარე საქმეში მთავარ სამართლებრივ საკითხს წარმოადგენს შემდეგი: საავადმყოფოში შიდსით დაავადებული პაციენტის მიღების დროს, რამდენად უნდა იყოს დაცული მისი სამედიცინო მონაცემები. შიდსის მქონე პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია სამედიცინო დოკუმენტაციის არასანქცირებული ხელმისაწვდომობის (**ი ფინეთის წინააღმდეგ**⁹⁶) და სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების კონტექსტში (**ზ ფინეთის წინააღმდეგ**⁹⁷ და **ც.ც. ესპანეთის წინააღმდეგ**⁹⁸). სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შიდსით დაავადებული ადამიანები წარმოადგენდნენ მონყვლად ჯგუფს (იხილეთ, **კიუტინი რუსეთის წინააღმდეგ**⁹⁹) და ხაზგასმით აღნიშნა მათ შესახებ სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის მნიშვნელობა (**ზ ფინეთის წინააღმდეგ**). სასამართლომ განაცხადა, რომ აივ-დადებითი პაციენტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საავადმყოფოს პერსონალისთვის გამჟღავნება, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება იყოს რელევანტური და აუცილებელი, რაც შედის როგორც პაციენტისა და საავადმყოფოში სამედიცინო პერსონალის, ასევე სხვა პაციენტების ინტერესებში. მსგავს საქმეებში მნიშვნელოვანი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ დაავადების თაობაზე ინფორმაციის მიმღები პირები შებოჭილები იყვნენ სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებისათვის არსებული კონფიდენციალურობის წესებით.

წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი კარგად დასაბუთებულად არ მიიჩნია. ამ გადანყვეტილების მიღების დროს, ის დაეყრდნო რამდენიმე გარემოებას:

(i) ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იყო პირადი ცხოვრების პატი-

⁹⁵ Y v. Turkey (dec.), no. 648/10, 17 February 2015.

⁹⁶ I. v. Finland, no. 20511/03, 17 July 2008.

⁹⁷ Z v. Finland, 25 February 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-I.

⁹⁸ C.C. v. Spain, no. 1425/06, 6 October 2009.

⁹⁹ Kiyutin v. Russia, no. 2700/10, ECHR 2011, see Annual Report 2011.

ვისცემა და სამედიცინო მონაცემების კონფიდენციალურობა; აღნიშნული უფლების დაცვის ფარგლები ვრცელდებოდა ყველაზე, ვინც მისი პოზიციისა და პროფესიიდან გამომდინარე პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ფლობდა ინფორმაციას (ეს მოიცავდა მომჩივნის საქმეში არსებულ ყველა პირს, რომლებიც გაურობდნენ დისციპლინურ სასჯელს ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებას);

(ii) იმ ფაქტს, რომ მომჩივნის საქმეში ინფორმაციის გამჟღავნება მოხდა მკაცრად მისი ინტერესებიდან გამომდინარე;

(iii) საავადმყოფოს პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა რამდენად მნიშვნელოვანი იყო ნებისმიერი ისეთი სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნებისას, როგორც მომჩივნის საქმეში ჰქონდა ადგილი, თავიდან ყოფილიყო აცილებული პაციენტის სტიგმატიზაციის ნებისმიერი ფორმა აგრეთვე, ამ კუთხით უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები.

ყველა რელევანტური საკითხის გაანალიზების შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომჩივანი შიდსით დაავადებული იყო გავრცელდა სამედიცინო პერსონალის სხვადასხვა წევრებს შორის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მის მკურნალობაში (იმ პირთა გარდა, რომლებიც პაციენტის მკურნალობაში მონაწილეობას არ იღებდნენ) და აღნიშნული ფაქტი არ არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო, მომჩივნის სახელისა და მისი დაავადების მითითებასთან დაკავშირებით იმ სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელიც არსად გამოქვეყნებულა, არც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყო და მიღებულ იქნა, მომჩივნის მიერ საავადმყოფოს წინააღმდეგ დაწყებული, წერილობითი ადმინისტრაციული პროცედურის შედეგად, ზეპირი მოსმენის გარეშე (შეადარეთ **ც.ც. ესპანეთის წინააღმდეგ**).

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

საქმე ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Khoroshenko v. Russia [GC])¹⁰⁰
ეხებოდა გრძელვადიან პატიმრობას და ოჯახის ვიზიტის უფლებას. მომჩივანი რუსეთის მოქალაქე იყო. 1995 წელს ის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1999 წელს მისი სასჯელი შეიცვალა სამუდამო პატიმრობით და მომჩივანი გადაიყვანეს სპეციალური რეჟიმის მქონე გამოსასწორებელ კოლონიაში. სამუდამო პატიმრობის (1999-2009) პირველი 10 წლის განმავლობაში, მომჩივანზე ვრცელდებოდა „მკაცრი რეჟიმი“. შესაბამისად, მას წელიწადში ორი ოჯახური ვიზიტის უფლება ჰქონდა: თითოეულის ხანგრძლივობა იყო 4 საათი და დაშვებული იყო მხოლოდ 2 ოჯახის წევრის ნახვა; პატიმარსა და ოჯახის წევრებს შორის შუშა იყო განთავსებული და ვიზიტს თვალყურს ადევნებდა ციხის მცველი, რომელიც იმ დისტანციაზე იდგა, რომ შეეძლო საუბრის მოსმენა. პატიმარს შეეძლო წერილების დანერა, მაგრამ ტელეფონით ვერ სარგებლობდა (თუ არ იყო გადაუდებელი საჭიროება).

¹⁰⁰ Khoroshenko v. Russia [GC], no. 41418/04, ECHR 2015.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ ოჯახის ვიზიტებზე დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვები არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს ცალკე აღებულს, ისევე როგორც მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მე-14 მუხლის მიხედვით იმავე ფაქტების ცალკეული შესწავლის საჭიროება.

რაც შეეხება ოჯახის წევრების უფლებას – ენახათ მომჩივანი, გადანყვეტილება ერთგვარად აჯამებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ევროპის საბჭოს (წამების პრევენციის კომიტეტის ჩათვლით), გაეროს (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ჩათვლით) და ადამიანის უფლებათა ინტერა-მერიკული კომისიის შესაბამის სტანდარტებს ციხეში ოჯახური ვიზიტის უფლებასთან დაკავშირებით; გადანყვეტილება ასევე მოიცავს სასამართლოს მიერ განხორციელებული შედარებითი კვლევის შედეგების საინტერესო შეჯამებას, რომელიც ეხება სამუდამო პატიმრობამისჯილი პატიმრების ოჯახის ვიზიტებს.

გადანყვეტილებაში ასევე მოყვანილია სტრასბურგის სასამართლოს პოზიციის შეჯამება, რომლის მიხედვით სახელმწიფოებმა, სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრისას, ყურადღება უნდა გაამახვილონ პატიმრობის მიზანზე, მოხდეს მსჯავრდებულთა რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია. სასამართლო გადანყვეტილების მიღებისას დაეყრდნო რამდენიმე წინარე გადანყვეტილებას (**დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁰¹; **ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁰²; **ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ**¹⁰³) და შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებს. აღსანიშნავია, რომ დიკსონის საქმეზე ხაზგასმული იყო გრძელვადიანი სასჯელის ბოლოს რეაბილიტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ხოლო ვინტერის და სხვების საქმეში ხაზგასმული იყო პირის გათავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა, მოცემულ საქმეში კი სასამართლომ სახელმწიფოებს დააკისრა ამკარა ვალდებულება, რომ ამ კუთხით იყოს პროაქტიული, სასჯელის დასრულების ან გათავისუფლების კონტექსტიდან დამოუკიდებლად და გაითვალისწინოს ციხეში ოჯახური ვიზიტების მნიშვნელობა. სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაციებს, რომლის მიხედვით, გრძელვადიანი პატიმრობის რეჟიმის დროს უნდა მოხდეს მისი უარყოფითი ეფექტების კომპენსაცია.

გადანყვეტილება რამადანი მალტის წინააღმდეგ (Ramadan v. Malta)¹⁰⁴ ეხებოდა მოპოვებული მოქალაქეობის გაუქმების საკითხს.

ეგვიპტური წარმოშობის მომჩივანმა, მალტის მოქალაქესთან ქორწინების შედეგად, 1993 წელს მიიღო მალტის მოქალაქეობა. მათ ერთი ბავშვი შეეძინათ. 1998 წელს ქორწინება ბათილად იქნა ცნობილი. მომჩივანმა მეორედ იქორწინა მალტაში, ამჯერად რუს ქალბატონზე, ვისთანაც მას ორი შვილი შეეძინა და ორივეს მიენიჭა მალტის მოქალაქეობა. 2007 წელს ხელისუფლებამ მომჩივანს მოქალაქეობა ჩამოართვა იმ საფუძვლით, რომ მალტის მოქალაქესთან მისი ქორწინება ფიქტიური იყო, რადგან მალ-

¹⁰¹ Dickson v. the United Kingdom [GC], no. 44362/04, § 75, ECHR 2007-V.

¹⁰² Vinter and Others v. the United Kingdom [GC], nos. 66069/09 and others, §§ 111-16, ECHR 2013 (extracts).

¹⁰³ Harakchiev and Tolumov v. Bulgaria, nos. 15018/11 and 61199/12, §§ 243-46 and 265, ECHR 2014 (extracts).

¹⁰⁴ Ramadan v. Malta, no 76136/12, ECHR 2016

ტის მოქალაქეობის მიღება იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მან ოჯახი შექმნა. მომჩივანმა, რომელსაც წარმოადგენდა ადვოკატი, გადანყვეტილების მიღებამდე ხელისუფლებას წარუდგინა ახსნა-განმარტებები; მოგვიანებით კი აღნიშნული გადანყვეტილების წინააღმდეგ მან წარუმატებლად აღძრა საკონსტიტუციო სარჩელი.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილება არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს; სხვა საკითხებთან ერთად აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ ამ გადანყვეტილების შედეგად ის მოქალაქეობის არმქონე პირი გახდა, ვინაიდან მან მალტის მოქალაქეობის მისაღებად, უარი თქვა ეგვიპტის მოქალაქეობაზე და ახლა გაძევების რისკის ქვეშ იდგა. სასამართლომ საპირისპირო გადანყვეტილება მიიღო.

წინა საქმეებში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეობის უფლება, იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა დიდ გავლენას ახდენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაზე, სასამართლო ვერ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მოქალაქეობის თვითნებურმა ჩამორთმევამ განსაზღვრულ გარემოებებში შეიძლება წარმოშვას კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებული საკითხი (**კარასევი ფინეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁰⁵), **სლივენკო და სხვები ლატვიის წინააღმდეგ (ლატვია)**¹⁰⁶, **სავოია და ბოუნეგრო იტალიის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁰⁷ და **ჯენოვესე მალტის წინააღმდეგ**¹⁰⁸). აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საქმეების უმეტესობა ეხებოდა მოქალაქეობის მოპოვების უფლებასა და მოქალაქეობის მოპოვებაზე უარს, წინამდებარე საქმე იყო პირველი, სადაც სასამართლომ უნდა ემსჯელა მოქალაქეობის გაუქმების საკითხზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე ერთი და იგივე გავლენა შეიძლება მოახდინოს როგორც დაბადებით, აგრეთვე სხვა გზით მოპოვებული მოქალაქეობის ჩამორთმევამ. არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რათა გამიჯნულიყო ზემოთ მოცემული ორი სიტუაცია; შესაბამისად, მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ერთი და იგივე ტექსტი. ამრიგად, იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა დიდ გავლენას ახდენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაზე, კონკრეტულ გარემოებებში მისმა თვითნებურმა ჩამორთმევამ შეიძლება წარმოშვას მე-8 მუხლთან დაკავშირებული საკითხი.

სასამართლოს ანალიზი იმის შესახებ, არღვევდა თუ არა მომჩივნისათვის მალტის მოქალაქეობის ჩამორთმევა კონვენციის მე-8 მუხლს, ეყრდნობოდა ორ მოსაზრებას: პირველი, მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილება იყო თუ არა თვითნებური და მეორე, რა გავლენა ექნებოდა გადანყვეტილებას მომჩივნის მომავალ ცხოვრებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ეფუძნებოდა მკაფიო სამართლებრივ საფუძვლებს და პროცედურული გარანტიების შესაბამისად, მომჩივანს მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში და ესარგებლა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება

¹⁰⁵ Karashev v. Finland (dec.), # 31414/96, ECHR 1999-II

¹⁰⁶ Slivenko and Others v. Latvia (dec.) [GC], no. 48321/99, § 77, ECHR 2002-II (extracts)

¹⁰⁷ Savoia and Bounegru v. Italy (dec.), no. 8407/05, 11 July 2006.

¹⁰⁸ Genovese v. Malta, no. 53124/09, § 30, 11 October 2011.

გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დროში გაჭიანურდა, ვინაიდან მომჩივნის ქორწინების გაუქმებიდან მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი დრო იყო გასული. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღინიშნა, რომ ამ გარემოებას აპლიკანტისათვის ზიანი არ მიუყენებია, პირიქით, ის აგრძელებდა იმ უფლებებით სარგებლობას, რასაც მოიცავდა მოქალაქეობა (შედარებისთვის იხ. **კაფტაილოვა ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁰⁹); ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ არსებული მდგომარეობა გამომდინარეობდა მომჩივნის თაღლითური ქცევიდან და სახელმწიფოს მიერ მიღებული სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილება მეტწილად მის მიერ განხორციელებული ქმედებებისა და გაკეთებული არჩევანის შედეგი იყო (შედარებისთვის იხ. **შევანოვა ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹¹⁰).

რაც შეეხება მოქალაქეობის ჩამორთმევის შედეგებს, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი ამჟამად არ იდგა მალტიდან გაძევების რისკის ქვეშ (შესაბამისად, არ წარმოადგენდა მე-8 მუხლის დარღვევის მსხვერპლს). მას კვლავ შეეძლო მალტაში ცხოვრება და ბიზნეს საქმიანობის განხორციელება; ამასთანავე, აპლიკანტს შეეძლო განცხადება წარედგინა ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ, რაც მას საბოლოოდ მოქალაქეობის მოპოვების უფლების მქონე პირად აქცევდა. მომჩივანმა საჩივარი არ დააფუძნა იმ გარემოებას, რომ მას ეგვიპტის მოქალაქეობაზე უარის თქმა მოუწია; ასევე არ წარმოუდგენია შესაბამისი არგუმენტი, რომ ვერ შეძლებდა ეგვიპტის მოქალაქეობის ხელახლა მიღებას.

გადაწყვეტილებაში საქმეზე K2 გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება) (K2 v. The United Kingdom (dec))¹¹¹ სასამართლომ განიხილა ტესტი თვითნებობის შეფასებისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის კონტექსტში. მომჩივანმა, ნატურალიზებულიმა ბრიტანეთის მოქალაქემ, დატოვა დიდი ბრიტანეთი აღკვეთის არასასაპატიმრო ლონისძიების პირობების დარღვევით. ქვეყნის გარეთ ყოფნისას, სახელმწიფო მინისტრმა¹¹² გამოსცა ბრძანება, რომ მომჩივანს ჩამოერთვას მოქალაქეობა იმ საფუძველით, რომ აღნიშნული საზოგადოებისთვის სასარგებლო იქნებოდა, იგი ეჭვმიტანილი იყო ტერორისტულ აქტივობებში და ჰქონდა კავშირი მრავალ ისლამისტ ექსტრემისტთან. მან ორივე გადაწყვეტილება უშედეგოდ გაასაჩივრა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ გამოყენებული ზომებით ირღვეოდა თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ასევე განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა არაადეკვატურ პროცედურულ გარანტიებს მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად, რადგანაც ნათლად არ მჟღავნდებოდა, რომ იგი საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას და ზემოთ აღნიშნული ბრძანება იმას ნიშნავდა, რომ მას არ შეეძლო ეფექტურად მიეღო მონაწილეობა სამართალწარმოებაში. სასამართლომ მომჩივნის საჩივარი არ ცნო დასაშვებად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. პირ-

¹⁰⁹ Kaftailova v. Latvia (striking out) [GC], no. 59643/00, § 53, 7 December 2007.

¹¹⁰ Shevanova v. Latvia (striking out) [GC], no. 58822/00, § 49, 7 December 2007.

¹¹¹ K2 v. the United Kingdom (dec.), no. 42387/13, 7 February 2017.

¹¹² სახელმწიფო მინისტრი, რომელიც არეგულირებს საგარეო ურთიერთობებს ინგლისსა და უელსში.

ველ რიგში, სასამართლომ დაადასტურა, რომ თვითნებურმა უარმა (**გენოვესი მალტის წინააღმდეგ**¹¹³, **რამადანი მალტის წინააღმდეგ**¹¹⁴) ან მოქალაქეობის ჩამორთმევამ შეიძლება გარკვეულ გარემოებებში წარმოშვას მე-8 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, პირის პირად ცხოვრებაზე მისი გავლენის გამო. იმის განსაზღვრისას, მოქალაქეობის გაუქმება წარმოადგენდა თუ არა მე-8 მუხლის დარღვევას, უნდა გამოიყოს ორი ცალკეული საკითხი: იყო თუ არა მოქალაქეობის ჩამორთმევა თვითნებური და რა შედეგები გამოიწვია მან მომჩივნისთვის.

მეორე, სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა, საქმეში **რამადანი მალტის წინააღმდეგ**¹¹⁵ გამოყენებული მიდგომა, რომ თვითნებობის განსაზღვრისას განიხილავს, იყო თუ არა მოქალაქეობის ჩამორთმევა კანონის შესაბამისი; მოსდევდა თუ არა მას აუცილებელი პროცედურული გარანტიები, მათ შორის, ჰქონდა თუ არა მოქალაქეობა ჩამორთმეულ პირს, სასამართლოს წინაშე გასაჩივრების შესაძლებლობა რელევანტური გარანტიების შესაბამისად და მოქმედებდა თუ არა ხელისუფლება გულმოდგინედ და სწრაფად.

მესამე, სასამართლომ პირის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების შეფასებისას დაადგინა, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს „თვითნებობის“ სტანდარტს, რომელიც პროპორციულობაზე უფრო მკაცრი სტანდარტია. მომჩივნის საქმეში ამ პრინციპების გამოყენებისას სასამართლომ დაადგინა, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა არ იყო თვითნებური. მომჩივნის არგუმენტთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, იმ ფაქტს, რომ მას შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დროს არ უსარგებლია პროცედურული გარანტიებით: პირველ რიგში, რადგან ნათლად არ მჟღავნდებოდა, რომ იგი საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას და მეორე რიგში, იმის გამო, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის გამო მას ხელი შეეშალა მოქალაქეობის თაობაზე მისი სააპელაციო სარჩელის გადაწყვეტილების გამოტანისას ეფექტურ მონაწილეობაში. შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების სამართლიანობის განხილვისას, სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა, რომ ისინი მე-8 მუხლთან შესაბამისობაში იყვნენ და ეჭვქვეშ არ აყენებდნენ ეროვნული სასამართლოების დასკვნებს იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა მკაფიო, ობიექტური მტკიცებულება, რომლის თანახმად, მომჩივანს არ შეეძლო ადვოკატების ინფორმირება იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება მოქალაქეობის ჩამორთმევას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა მოიპოვა სუდანის მოქალაქეობა და შესაბამისად, წარმოადგენდა მოქალაქეობის არმქონე პირს. უფრო მეტიც, მომჩივანმა არ დაასაბუთა განაცხადი, რომ თავისი მეუღლე და შვილი იყვნენ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ თავისუფლად შეეძლოთ სუდანში გადასვლა და მოქალაქეობის მიღება. გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოს პირველად უნდა განეხილა მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტი ტერორიზმისა და ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში.

¹¹³ Genovese v. Malta, no. 53124/09, § 30, 11 October 2011.

¹¹⁴ Ramadan v. Malta, no. 76136/12, § 85, ECHR 2016 (extracts).

¹¹⁵ Ramadan v. Malta, no 76136/12, § 85.

ოჯახური ცხოვრება

გადანყვეტილება საქმეზე პენჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Penchevi v. Bulgaria)¹¹⁶
ეხებოდა დედასთან საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადასვლაზე ბავშვისთვის უარის თქმას. საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიდგომისგან განსხვავებით, მომჩივანს არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ბავშვს დაეტოვებინა ბულგარეთი და დარჩენილიყო დედასთან ერთად გერმანიაში, სადაც ის ასრულებდა სადოქტორო პროგრამას. გადანყვეტილება ეფუძნებოდა შიდა კანონმდებლობას, რომელიც ითხოვდა ორივე მშობლის თანხმობას ბავშვისთვის ქვეყნის დატოვების ნებართვის გასაცემად. მამამ უარი განაცხადა თანხმობაზე. ეროვნული სამართალწარმოება გაგრძელდა თითქმის ორი წელი და სამი თვე. ეროვნულმა სასამართლოებმა საბოლოოდ ნება მისცეს ბავშვს, რომ გერმანიაში დედასთან ერთად ეცხოვრა. მომჩივნები (დედა და შვილი) დავობდნენ, რომ ბავშვისთვის ბულგარეთის დატოვებაზე უარის თქმა წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. გადანყვეტილება **საინტერესოა**, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ ეხება ბავშვის მზრუნველობას, მეურვეობას ან ჰააგის კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებს. სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩატარებული გამოძიება მიზნად ისახავდა დაედგინა, ინვევდა თუ არა ბავშვისთვის უარის თქმა – გაჰყოლოდა დედას სხვა ქვეყანაში, მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, რამდენად იყო ბავშვის ინტერესები გათვალისწინებული ამ კონტექსტში.

სტრასბურგის სასამართლომ **დაადგინა**, რომ სამართალწარმოების პერიოდის განმავლობაში დედისა და შვილის დაშორება წარმოადგენდა ორივე მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. შიდა კანონმდებლობის საფუძველზე ბავშვის საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის ორივე მშობლის თანხმობა იყო სავალდებულო; შესაბამისად, ჩარევა გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით. უფრო მეტიც, ის ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კონკრეტულად, ბავშვის მამის უფლებების დაცვას. წინამდებარე საქმეზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

- (i) საკასაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის გარემოებები, თუმცა მომჩივნების სიტუაციასთან მიმართებით გამოიყენა ფორმალური და მექანიკური მიდგომა, რომელიც დააფუძნა შიდა კანონმდებლობით დარეგულირებულ მშობელთა თანხმობის მოთხოვნაზე. მან არც ერთ სტადიაზე არ გამოიკვლია, დაირღვეოდა თუ არა ბავშვის ინტერესები საცხოვრებლად დედასთან, გერმანიაში გადასვლით. ამასთანავე, საკასაციო სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია მომჩივნების სიტუაცია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბავშვს ბულგარეთში მამა არ უვლიდა;
- (ii) საკასაციო სასამართლომ უარი დააფუძნა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა დაუშვა ტექნიკური შეცდომა, როდესაც სარჩელში არ დააკონკრეტა, რომელ ქვეყანაში უნდოდა საცხოვრებლად გადასვლა;
- (iii) შიდა სასამართლოს საქმის განხილვის ვადამ სერიოზული და უარყოფითი გავლენა

¹¹⁶ Penchevi v. Bulgaria, no. 77818/12, 10 February 2015.

ნა იქონია მომჩივნების ერთად ცხოვრების შესაძლებლობაზე და გამოიწვია მათი განცალკევების (დაშორების) გახანგრძლივება, რაც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი ცალკე განხილულიყო, საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი.

გადაწყვეტილება საქმეზე ზაიეთი რუმინეთის წინააღმდეგ (*Zaiet v. Romania*)¹¹⁷ ეხებოდა შვილად აყვანის ბრძანების გაუქმებას, მისი გაცემიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. მომჩივანი ჩვიდმეტი წლის იყო, როდესაც ის შვილად აიყვანეს. მომჩივანს დაც ჰყავდა, რომელიც მასთან ერთად იშვილა მშვილებელმა ქალმა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მშვილებელს ეკუთვნოდა წილი ტყის ნაკვეთიდან, რომელიც მის ოჯახს უკანონოდ ჩამოართვეს. მომჩივანს მემკვიდრეობით ქონების წილის ნახევარი ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის დამწინააღმდეგებლად მოახერხა მომჩივნის შვილად აყვანის შესახებ ბრძანების გაუქმება. ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც განიხილა საქმე, დაადგინა, რომ შვილად აყვანის მიზანი იყო დედობისა და მომჩივნის ეკონომიკური ინტერესი და არა, მომჩივნისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა. შვილად აყვანის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მომჩივნის შვილად აყვანიდან ოცდათერთმეტი, ხოლო მშვილებელი ქალის გარდაცვალებიდან თვრამეტი წლის შემდეგ. მომჩივნის მოთხოვნები განხილულ იქნა კონვენციის მე-8 მუხლისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე ვრცელდებოდა მე-8 მუხლი, რადგან შვილად აყვანის გაუქმება, მისი კანონიერად ცნობიდან ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, გავლენას ახდენდა მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება – შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, წარმოადგენდა განმცხადებლის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას, ვინაიდან მშვილებელსა და შვილობილს შორის ურთიერთობა ექცევა ამ მუხლით დაცული უფლების სფეროში.

სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა, იყო თუ არა უფლებაში ჩარევა „კანონთან შესაბამისი“, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მომჩივნის დამ შვილად აყვანის ბრძანების გაუქმება იმ დროისთვის არსებული კანონმდებლობის საფუძველზე მოითხოვა. სტრასბურგის სასამართლომ ასევე გამოთქვა ეჭვი მიზნის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, გაითვალისწინა რა მიზეზები, რომელმაც მომჩივნის დას სამართალწარმოების დაწყებისკენ უბიძგა; კერძოდ, მას სურდა მშვილებელი ქალის ქონებას სრულად დაპატრონებოდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვიტა, საქმე განეხილა „აუცილებლობის“ დოქტრინის თვალსაზრისით და ემსჯელა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, განმცხადებლის შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, იყო თუ არა გამართლებული შესაბამისი და საკმარისი მიზეზებით. სასამართლომ დაადგინა, რომ „აუცილებლობის“ ტესტი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სადავო გადაწყვეტილება იყო ბუნდოვანი და ასეთი რადიკალური ზომების გამოყენება არ იყო გამართლებული.

¹¹⁷ *Zaiet v. Romania*, no. 44958/05, 24 March 2015.

სასამართლომ პირველად განიხილა შვილად აყვანის ბრძანების გაუქმება იმ გარემოებებში, როდესაც მშვილებელი ქალი გარდაცვლილი იყო და შვილობილმა დიდი ხნის წინ მიაღწია სრულწლოვანებას. გადაწყვეტილება **საინტერესოა**, რადგან სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

- (i) ოჯახის გაყოფა არის ძალიან სერიოზული ხასიათის ჩარევა და ნებისმიერი მსგავსი სახის მოქმედება უნდა იყოს დასაბუთებული საკმარისად გასაგები და წონადი მიზეზებით, არა მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვის მიზნით;
- (ii) შვილად აყვანის ბრძანების გაუქმება არ არის გათვალისწინებული, როგორც შვილობილის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიება და შვილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებები, პირველ რიგში, განკუთვნილია ბავშვების სასარგებლოდ და დასაცავად;
- (iii) თუ შემდგომი მტკიცებულება გამოარკვევს, რომ შვილად აყვანის საბოლოო ბრძანება ეფუძნებოდა თალღითურ ან შეცდომაში შემყვან მტკიცებულებას, მშვილებლისთვის უკანონო ბრძანების შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზიანის შესწავლის დროს, გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის ინტერესებს.

გადაწყვეტილება საქმეზე პაპოშვილი ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Paposhvili v. Belgium [GC]*)¹¹⁸ ეხებოდა მძიმე ავადმყოფი უცხოელის დეპორტირებას, რომელიც ოჯახთან იძულებით დაშორების რისკის ქვეშ იდგა (მას ცოლი და სამი შვილი ჰყავდა). მომჩივანი, საქართველოს მოქალაქე, იდგა დეპორტაციისა და 10 წლის მანძილზე ბელგიაში დაბრუნების აკრძალვის საშიშროების წინაშე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე (იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი რამდენიმე სისხლისსამართლებრივ საქმეზე). ციხეში ყოფნის დროს მას მძიმე დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობდნენ სერიოზულ დაავადებებს. იქედან გამომდინარე, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მოტივით, ეროვნული სასამართლოების წინაშე მის მიერ ქვეყნიდან გაძევებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი წარუმატებელი აღმოჩნდა, მომჩივანმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ის *inter alia* დავობდა, რომ დეპორტაციის შედეგად, მეუღლისა და სამი შვილისგან მისი იძულებით განცალკევება, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. აღსანიშნავია, რომ აპლიკანტის ცოლ-შვილს ჰქონდა ბელგიაში განუსაზღვრელი ვადით დარჩენის უფლება. მომჩივანი 2016 წლის ივნისში გარდაიცვალა.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მისი გაძევების შედეგად დაირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლი.

დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა აღნიშნული მუხლით უზრუნველყოფილ პროცედურულ ვალდებულებებს, რათა შეეფასებინა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მომჩივნის გაძევების გავლენა მის ოჯახურ ცხოვრებაზე; სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას უნდა შეეფასებინა, გაძევების დროს მომჩივნის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობდა თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ოჯახი საქართველოში გაჰყვებოდა მას; თუ ოჯახი

¹¹⁸ Paposhvili v. Belgium [GC], no 41738/10, ECHR 2016

ვერ შეძლებდა საქართველოში მომჩივანთან ერთად წასვლას, მოითხოვდა თუ არა აპლიკანტის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება მისთვის ბელგიაში დარჩენის უფლების მინიჭებას დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე. აღნიშნული ფაქტორების შეფასების გარეშე მომჩივნის გაძევება გამოიწვევდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

გადანყვეტილება საქმეზე ნაზარენკო რუსეთის წინააღმდეგ (Nazarenko v. Russia)¹¹⁹
ეხებოდა მამობის ჩამორთმევას, რის შემდეგაც მომჩივანი სრულად და ავტომატურად ჩამოშორდა შვილის ცხოვრებას.

მომჩივანსა და თავის მეუღლეს ქორწინების პერიოდში ქალიშვილი შეეძინათ. წყვილი მოგვიანებით განქორწინდა; მათ შვილზე საერთო მეურვეობა ჰქონდათ. შემდეგში საქმეზე დადგინდა იქნა, რომ მომჩივანი ბავშვს ზრდიდა და მასზე ზრუნავდა დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც გასაჩივრდა მომჩივნის მამობის საკითხი, დადგინდა, რომ ის არ იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა. აღნიშნულის გამო, მან ბავშვთან მიმართებით დაკარგა მშობლის უფლებები, მათ შორის, ურთიერთობის შენარჩუნების უფლება. მომჩივნის სახელი ამოიღეს ბავშვის დაბადების მოწმობიდან და შეცვალეს ბავშვის გვარიც. ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გამონაკლისს, რომელიც აპლიკანტს მისცემდა საშუალებას, მიუხედავად ბიოლოგიური კავშირის არარსებობისა, ბავშვთან შეენარჩუნებინა ნებისმიერი სახის ურთიერთობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლებამ მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ დაარღვია მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

უპირველეს ყოვლისა, სტრასბურგის სასამართლოს უნდა დაედგინა, ბიოლოგიური კავშირის არარსებობის შემთხვევაში, მომჩივანსა და ბავშვს შორის ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა ოჯახურ ცხოვრებას. მე-8 მუხლის შესაბამისობის დადგენისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვი დაიბადა მომჩივნის ქორწინების დროს და მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ ძლიერი ემოციური კავშირი, იმ რწმენით, რომ ისინი მამა-შვილი არიან. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის, ბიოლოგიური კავშირის არარსებობა, არ უარყოფს ოჯახური ცხოვრების არსებობას (იხ. **საქმე კოპფ და ლიბერდა ავსტრიის წინააღმდეგ¹²⁰**). ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის გარემოებებია გადამწყვეტი.

მომჩივნის ოჯახური პატივისცემის უფლების დარღვევის გამოკლევის დროს, სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება კანონმდებლობის სიხისტის შესახებ, რომელიც უკრძალავდა მომჩივნის მსგავს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს მოეპოვებინათ ბავშვებთან კონტაქტის უფლება და არ ითვალისწინებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებას კონკრეტული გარემოებების არსებობისას. მე-8 მუხლი უნდა განიმარტოს როგორც სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ვალდებულება, საქმის საფუძველზე გამოიკვლიონ არის თუ არა ბავშვის ინტერესებში, შეინარჩუნოს კონტაქტი იმ პირთან, ვისთანაც არ არის ბიოლოგიურად დაკავშირებული,

¹¹⁹ Nazarenko v. Russia, no. 39438/13, ECHR 2015.

¹²⁰ Kopf and Liberda v. Austria, no. 1598/06, § 37, 17 January 2012.

მაგრამ უვლიდა მას საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში.

რაც შეეხება მომჩივნის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებდა რაიმე შესაძლებლობას, მომჩივანსა და ბავშვს შორის ოჯახური კავშირი შეენარჩუნებინა. მამობის შეწყვეტის შემდეგ ბავშვის ცხოვრებიდან აპლიკანტის ავტომატური და სრული ჩამოშორება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღების გარეშე, რაც განპირობებული იყო მოუქნელი ეროვნული კანონმდებლობით, წარმოადგენდა აპლიკანტის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას.

აღნიშნული საქმე **საინტერესოა**, ვინაიდან ის ეხება მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოშობილ ახალ საკითხს და ამდიდრებს პრეცედენტულ სამართალს ოჯახური ცხოვრების შესახებ იმ პირებს შორის, რომლებიც ბიოლოგიურად დაკავშირებულნი არ არიან. მოცემული საქმე ასევე ადასტურებს სასამართლოს მზადყოფნას დანვრილებით შეისწავლოს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობაზე დანესებული ავტომატური შეზღუდვები, როდესაც საქმე ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესს.

გადანწყვეტილება (არასაბოლოო¹²¹) საქმეზე ზ.ჰ. და რ.ჰ. შვეიცარიის წინააღმდეგ (Z.H. and R.H. v. Switzerland)¹²² ეხებოდა მომჩივნებისთვის რელიგიური ქორწინების აღიარებაზე უარის თქმას და ამ უარის გავლენას მათი ოჯახური ცხოვრების უფლებაზე.

მომჩივნები, ავღანეთის მოქალაქეები, თავშესაფარს ითხოვდნენ შვეიცარიაში. ისინი ადრე იტალიაში დარეგისტრირებულები იყვნენ, როგორც თავშესაფრის მაძიებლები. აპლიკანტები შვეიცარიის ხელისუფლების წინაშე წარდგინეს, როგორც დაქორწინებული წყვილი. მომჩივნების განცხადებით, მათ ირანში რელიგიური წესით იქორწინეს. პირველი მომჩივანი ქორწინების დროს 14 წლის, ხოლო მეორე მომჩივანი 18 წლის იყო. მათ შვეიცარიის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსთვის არ წარუდგინათ ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტი. მომჩივნებს თავშესაფრის მოთხოვნაზე უარი ეთქვათ. მეორე მომჩივანი დააბრუნეს იტალიაში. თავშესაფრის მინიჭებაზე უართან დაკავშირებით სააპელაციო სამართალწარმოებისას, ეროვნულმა სასამართლოებმა, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინეს, რომ მომჩივნების ქორწინება იყო საჯარო წესრიგთან შეუთავსებელი, რადგან შვეიცარიის კანონმდებლობით სქესობრივი კავშირის დამყარება 16 წლის ასაკს მიუღწევად პირთან სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მომჩივნებს არ შეეძლოთ, მოეთხოვათ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების უფლებით სარგებლობა.

¹²¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, პალატების გადანწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად. კერძოდ, პალატის გადანწყვეტილება საბოლოო ხდება: ა) როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ბ) პალატის გადანწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; გ) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკამყოფილებაზე. მას შემდეგ, რაც გადანწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, გადანწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობისთვის.

¹²² Z.H. and R.H. v. Switzerland, no. 60119/12, 8 December 2015.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აპლიკანტები დავობდნენ, რომ მეორე მომჩივნის იტალიაში გაძევება წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება **საყურადღებოა**, რადგან ის ეხმიანება მომჩივნების დავას, რომელიც ეხება შვეიცარული სასამართლოების მიერ მათი რელიგიური ქორწინების აღიარებაზე უარის თქმას, საჯარო წესრიგის საფუძვლით. სასამართლოს მოსაზრებით, კონვენციის მე-8 მუხლი ვერ განიმარტება იმგვარად, რომ ის ხელშემკვრელ მხარეს ავალდებულებს აღიაროს 14 წლის ბავშვის, რელიგიური ან სხვა სახის ქორწინება. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ კონვენციის მე-12 მუხლი მკაფიოდ ადგენს ეროვნული კანონმდებლობით ქორწინების რეგულაციის საჭიროებას. ბავშვთა დაცვისა და უსაფრთხო ოჯახური გარემოს შექმნის მნიშვნელობის, აგრეთვე განსახილველი საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რათა განეხილათ მომჩივნების საქმე.

საცხოვრისის უფლება

გადაწყვეტილებაში საქმეზე ივანოვა და ჩერკეზოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Ivanova and Cherkezev v. Bulgaria)¹²³ ეხებოდა სახლის დემონტაჟის შესახებ ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულებას და ამ კონტექსტში პირის მიერ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დაცვის ფარგლებს.

მომჩივნებმა სახლი ააშენეს ნებართვის გარეშე. ეროვნულმა ხელისუფლებამ მათ გადასცა ბრძანება სახლის დანგრევის შესახებ. პირველმა მომჩივანმა დაიწყო სასამართლოში საქმის წარმოება, რათა გაესაჩივრებინა ბრძანების კანონიერება; სხვა საკითხებთან ერთად, აპლიკანტი დავობდა, რომ ბრძანების შესრულება გამოიწვევდა მისი ერთადერთი სახლის დაკარგვას. ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ მიიღეს და დაადგინეს, რომ სახლი უკანონოდ იყო აშენებული და მისი მშენებლობა ვერ დაკანონდებოდა შესაბამისი კანონმდებლობის გარდამავალი დებულებების მიხედვით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოიშობოდა არა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის, არამედ მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხი. სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება საინტერესოა, რადგან ის ასახავს განსხვავებებს ზემოხსენებული მუხლებით დაცულ ინტერესებს შორის, აგრეთვე აღნიშნავს თითოეული ამ მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიის განსაკუთრებულ ხასიათს.

რაც შეეხება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს, სასამართლოს ძირითადი მიზანი იყო განესაზღვრა, გამოიწვევდა თუ არა დემონტაჟის ბრძანების განხორციელება სამართლიანი ბალანსის დარღვევას, ერთი მხრივ, ქონების ხელშეუხებლობის შესახებ პირველი მომჩივნის ინტერესსა და, მეორე მხრივ, ნებართვის გარეშე მშენებლობის აკრძალვის საზოგადო ინტერესს შორის. ეს იყო ის სფერო, სადაც სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ზღვარი. სასამართლოსგან, კონვენციის მე-8 მუხლისგან განსხვავებით, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი აუცილებლად არ მოითხოვდა, რომ აღსრულების ღონისძიების საჭიროების თაობა-

¹²³ Ivanova and Cherkezev v. Bulgaria, no. 64577/15, 21 aprili 2016.

ზე, ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე მომხდარიყო პროპორციულობის შეფასება.

სასამართლომ ამ მიდგომას მხარი დაუჭირა საქმეში *ჯეიმსი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*¹²⁴ და თავის განჩინებაში საქმეზე *ალენი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (განჩინება)*¹²⁵, სადაც მან მსგავსი გადანყვეტილება მიიღო, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ორი მუხლით დაცული ინტერესთა ინტენსივობა და ეროვნული ხელისუფლებისთვის დარჩენილი შეფასების ზღვარი, არ იყო აუცილებლად თანაბარზომიერი. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ დემონტაჟის ბრძანება მიზნად ისახავდა, „რომ ყველაფერი დაებრუნებინა საწყის პოზიციაზე, როგორც იქნებოდა პირველ მომჩივანს, რომ არ უგულებელყო კანონის მოთხოვნები“. პირველი მომჩივნის ინტერესი სახლის საკუთრებაზე ვერ გადანონიდა ხელისუფლების გადანყვეტილებას, სახლის დანგრევის ბრძანების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრძანება და მისი აღსრულება ხელს შეუწყობდა სხვა პოტენციური კანონდამრღვევების შეჩერებას; ბულგარეთში გავრცელებული იყო უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემები; აქედან გამომდინარე, საქმისთვის ეს მოსაზრება რელევანტური იყო.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9)

რელიგიის თავისუფლება

გადანყვეტილება საქმეზე იზეტინ დოგანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Izzettin Dogan and Others v. Turkey[GC])¹²⁶ ეხებოდა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებას რელიგიური მრწამსის მიმართ.

მომჩივნები ალევის რწმენის მიმდევრები არიან; სახელმწიფომ მათ უარი განუცხადა მოთხოვნაზე, ჰქონოდათ საჯარო მსახურების უფლება, მაშინ როცა აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა მოქალაქეთა უმრავლესობას, რომლებიც სუნიზმის მიმდევრები იყვნენ. მომჩივნები კონვენციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით დავობდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლება არღვევდა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებას რელიგიური კონფესიების მიმართ; აპლიკანტები აგრეთვე დაეყრდნენ მე-9 მუხლს მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და დავობდნენ, რომ ალევის მიმდევრები ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობას იღებდნენ, ვიდრე ისლამის სუნიტური მიმდინარეობის მიმდევარი მოქალაქეები.

დიდმა პალატამ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

დიდი პალატა არ შემოიფარგლა მხოლოდ დისკრიმინაციის დადგენით (მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში) და ამავე დროს დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე აღებული (ნეგატიური ვალდებულება). ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ალევის რწმენის რელიგიური ხასიათის აღიარება, რამაც დააბრკოლა ალევიზმის მიმდევრები „ეფექტურად ესარგებლათ“ თავიანთი რელიგიის თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. კერ-

¹²⁴ James and Others v. the United Kingdom, 21 February 1986, § 68, Series A no. 98.

¹²⁵ Allen and Others v. the United Kingdom (dec.), no. 5591/07, § 66, 6 October 2009.

¹²⁶ Izzettin Dogan and Others v. Turkey [GC], no. 62649/10, ECHR 2016.

ძოდ, დადგინდა, რომ გასაჩივრებულმა უარმა, უარყო ალევის მიმდევართა საზოგადოების დამოუკიდებელი არსებობა და მისი წევრებისთვის შეუძლებელი გახადა ესარგებლათ თავიანთი რელიგიური სალოცავებით.

მე-9 მუხლთან მიმართებით საჩივრის განხილვისას, დიდმა პალატამ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სასამართლოს როლს არ წარმოადგენდა გამოეთქვა მოსაზრება მის წინაშე არსებული თეოლოგიური დებატების შესახებ (ალევის რწმენისა და მუსულმანური რელიგიის შესახებ), ამრიგად სასამართლოს მსჯელობა შემოიფარგლა იმის დადგენით, რომ ალევის რწმენასა და მის მიმდევრებზე ვრცელდებოდა კონვენციის მე-9 მუხლი.

მე-9 მუხლის დარღვევის დადგენისას, დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რიგ პრინციპებს და ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულების ორ ასპექტზე:

- (i) სახელმწიფოს როლი, რაც მოიცავს სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე პირებისთვის რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობის ნეიტრალურად და მიუკერძოებლად უზრუნველყოფას, შესაძლებელს ხდის მის მიერ გარკვეული ობიექტური ელემენტების შეფასებას (როგორცაა „შეხედულებების სერიოზულობა, დამაჯერებლობა და თანმიმდევრულობა), თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული როლი შეუთავსებელია მისი მხრიდან ნებისმიერ მცდელობასთან, შეაფასოს რელიგიური რწმენისა ან ამ რწმენის გამოხატვის ფორმების ლეგიტიმურობა (იხ. **მანოუსაკისი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**¹²⁷; **ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹²⁸ და **ფერნანდეს მარტინეზი ესპანეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹²⁹). მე-9 მუხლით დაცული უფლება იქნებოდა თეორიული და ილუზორული ხასიათის, თუ სახელმწიფოებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები მათ საშუალებას მისცემდა, განემარტა რელიგიური დენომინაციის ცნება იმდენად ვიწროდ, რომ არატრადიციული და უმცირესობათა რელიგიები, როგორცაა არის ალევი, დაეტოვებინათ დაცვის სფეროს მიღმა (იხ. **კიმლია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ**¹³⁰ და **მაგიარ კერესზტენი მენონიტა ეგიჰაზი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ**¹³¹);
- (ii) სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულების მთავარ შედეგს წარმოადგენდა რელიგიური საზოგადოებების ავტონომიურობის პრინციპი, რომლის მიხედვით რელიგიური ორგანიზაციების უმაღლესი ნოდების სასულიერო პირებს შეუძლიათ განსაზღვრონ რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან ისინი. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ ძალიან სერიოზული და დამაჯერებელი მიზეზების არსებობის შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს დამოკიდებულება ალევის აღმსარებლობის მიმართ არღვევს მათი ავტონომიური არსებობის უფლებას, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლის არსებითი განრანტიანა (იხ. **მიროლუბოვსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ**¹³²).

¹²⁷ Manoussakis and Others v. Greece, 26 September 1996, § 47.

¹²⁸ Hasan and Chaush v. Bulgaria [GC], no. 30985/96, § 78, ECHR 2000-XI.

¹²⁹ Fernandez Martinez v. Spain [GC], no. 56030/07, § 129, ECHR 2014 (extracts).

¹³⁰ Kimlya and Others v. Russia, no 76836/01 and 32782/03, § 86, ECHR 2009

¹³¹ Magyar Keresztyen Mennonita Egyház and Others v. Hungary, nos. 70945/11 and 7 others, § 88, ECHR 2014 (extracts).

¹³² Mirolubovs and Others v. Latvia, no. 798/05, §§ 86 (g) and 90, 15 September 2009

უფრო მეტიც, პლურალისტური საზოგადოების მოთხოვნებისა და ღირებულებების აღწერისას, სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ „რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა უდავოა და დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამის გამო სახელმწიფოებმა რელიგიური მრავალფეროვნება უნდა მიიღონ არა, როგორც საფრთხე, არამედ როგორც სიმდიდრე“ (იხ. **ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹³³).

გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10)

საქმე ხარლამოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kharlamov v. Russia)¹³⁴ ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ დაწყებულ სამოქალაქო სამართალწარმოებას იმ პროფესორის წინააღმდეგ, რომელმაც გააკრიტიკა უნივერსიტეტის მმართველი ორგანოს არჩევის პროცედურა.

მომჩივანმა ზემოხსენებული კრიტიკული კომენტარები გააკეთა, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ასარჩევად, უნივერსიტეტის მასშტაბით ჩატარებული კონფერენციის დროს. საარჩევნო პროცესში არსებულ ხარვეზებზე კოლეგების ყურადღების მიქცევის მიზნით, მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად, ამტკიცებდა, რომ საბჭოს არჩევნების დროს მმართველი ორგანოების მხრიდან, გამჭვირვალობის კუთხით პრობლემები იყო. უნივერსიტეტმა ცილისწამებასთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანა მომჩივნის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მისმა შენიშვნებმა შელახა უნივერსიტეტისა და აკადემიური საბჭოს პროფესიული რეპუტაცია. ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა, მას შემდეგ, რაც მან აკადემიური საბჭო დაახასიათა, როგორც არალეგიტიმური ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები არსებული წესების სრული დაცვით ჩატარდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მას ცილისწამების საქმეში სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრეს იმ შენიშვნებისთვის, რომელიც მან გააკეთა თავისი პროფესიული საქმიანობის კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

წინამდებარე საქმეში ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ასპექტზე:

პირველი, გადანყვეტილებით დადგინდა, რომ აკადემიურ კონტექსტში (**მუსტაფა ერდოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ**¹³⁵) დასაქმებული პირის (**პალომო სანჩესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹³⁶) გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან მიმართებით არსებული პრეცედენტული სამართლის პრინციპები ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც კომენტარები გარკვეულწილად გაზვიადებულია. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა გამოთქვა მოსაზრებები აკადემიური ცხოვრების ფარგლებში მიმდინარე დებატების დროს იმ საკითხზე, რომელიც საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა. შესაბამისად, მას უფლება ჰქონდა თავისი კოლეგების ყურადღება მიექცია აღნიშნულ საკითხზე. ასეთი სახის

¹³³ Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 145, ECHR 2005-VII.

¹³⁴ Kharlamov v. Russia, no. 27447/07, 8 October 2015.

¹³⁵ Mustafa Erdogan and Others v. Turkey, nos. 346/04 and 39779/04, 27 May 2014.

¹³⁶ Palomo Sanchez and Others v. Spain [GC], nos. 28955/06 and others, ECHR 2011.

დებატებში ჩართვისას თანამშრომლებს უფლება აქვთ, გააზვიადონ განსაზღვრული საკითხები დაშვებული კრიტიკის ფარგლებში. მოცემულ საქმეში მომჩივანს არ გამოუყენებია შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

მეორე, გადაწყვეტილებაში ერთმანეთისგან გამიჯნულია პირისა და უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუტის რეპუტაცია. ამ კუთხით, სასამართლო პრაქტიკის სახით განიხილავს ასევე საქმეს **უჯ. უნგრეთის წინააღმდეგ**¹³⁷. სასამართლოს მოსაზრებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აკადემიური ურთიერთობის კონკრეტული მახასიათებლები. კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტის „ღირსების“ დაცვა ვერ გაუტოლდება ინდივიდისას. უფრო კონკრეტულად, უნივერსიტეტის ავტორიტეტის დაცვა არის უფრო ინსტიტუციონალური ინტერესი, რომელიც არ სარგებლობს იმავე ხარისხის დაცვით, როგორც „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა“ კონვენციის 10.2 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს დაცული, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის რეპუტაციასა და, მეორე მხრივ, ინსტიტუტსა და აკადემიურ სისტემაზე უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის. ზემოხსენებული ბალანსი მოცემულ საქმეში არ იყო დაცული.

გადაწყვეტილება საქმეზე პენტტიკაინენი ფინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Penttikainen v. Finland [GC])¹³⁸ ეხებოდა იმ ჟურნალისტის დაკავებას, დაპატიმრებასა და გასამართლებას, რომელიც დემონსტრაციის დროს არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას დაშლის შესახებ.

მომჩივანი, როგორც ჟურნალისტი და ფოტოგრაფი, აშუქებდა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე დემონსტრაციას ჰელსინკში აზიისა და ევროპის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს; მას შემდეგ, რაც დემონსტრაციამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო, ის არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას დაშლის შესახებ. მომჩივანი დააკავეს და პატიმრობაში იყო 17 საათის განმავლობაში; მას მსჯავრი დაედო პოლიციის ბრძანებების დაუმორჩილებლობის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ მომჩივნის საქციელი „საპატიო“ იყო, ჯარიმა აღარ დაეკისრა.

დიდმა პალატამ მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

საქმე **საინტერესოა**, რადგან ეხება კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის ფარგლებს იმ ჟურნალისტებთან მიმართებით, რომლებიც აშუქებენ ქუჩის დემონსტრაციას; დიდმა პალატამ გააკეთა საყურადღებო განცხადებები, როდესაც აფასებდა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის საჭიროებას. უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული სანქცია არ ეხებოდა მომჩივნის ჟურნალისტური საქმიანობის არსს, არამედ პოლიციის კანონიერი და დასაბუთებული ბრძანების (ამბოხება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხე) დაუმორჩილებლობას.

დიდმა პალატამ განიხილა ორი ზოგადი პრინციპი, რომელიც შეიძლება წინამდებარე საქმის შესწავლის დროს ერთმანეთს შეუპირისპირდნენ.

ერთი მხრივ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა ჟურნალისტების, როგორც „სა-

¹³⁷ Uj v. Hungary, no. 23954/10, 19 July 2011.

¹³⁸ Penttikainen v. Finland [GC], no. 11882/10, ECHR 2015.

ზოგადოებრივი დარაჯების“ როლის ახალი, მაგრამ მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც გულისხმობს შემდეგს: საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომლებიც აკონტროლებენ საჯარო დემონსტრაციების მიმდინარეობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება. შესაბამისად, ჟურნალისტების აღნიშნულ როლში ნებისმიერი ჩარევა უნდა დაექვემდებაროს „მკაცრ განხილვას“; მეორე მხრივ, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ჟურნალისტების „ვალდებულებები და პასუხისმგებლობა“ იყო იმგვარი, რომ თუ ჟურნალისტი არსებული საქმის მსგავს კონტექსტში მისი ფუნქციების შესრულებისას დაარღვევდა კანონს, ეს იქნებოდა „ყველაზე რელევანტური, თუმცა არა გადამწყვეტი საკითხი“ ჟურნალისტის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევის საჭიროების შეფასებისას. ჟურნალისტები ვერ გათავისუფლდებიან ვალდებულებისგან, დაემორჩილონ სისხლის სამართლის კანონმდებლობას იმ საფუძველით, რომ მე-10 მუხლი მათ უზრუნველყოფდა ამგვარი გარანტიით.

პოლიციის ბრძანების დაუმორჩილებლობის საფუძველზე, მომჩივნის დაკავების კანონიერების შესწავლის დროს, დიდმა პალატამ განიხილა სამი საკითხი:

- (i) პოლიციის შეფასება, რამაც განაპირობა დაშლის ბრძანების მიღება (ფაქტებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ გონივრული იყო);
- (ii) რა ფარგლებში შეეძლო მომჩივანს დემონსტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (მას შეეძლო განვითარებული მოვლენის უმეტესობის გაშუქება);
- (iii) მომჩივნის ქცევა.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მომჩივანი, არც ტანსაცმლით, არც პრესის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშნით და არც სხვა რაიმე საშუალებით, არ იყო ადვილად იდენტიფიცირებადი, როგორც ჟურნალისტი. ამასთანავე, მომჩივანმა იცოდა პოლიციის დარბევის ბრძანების შესახებ და შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება დაუმორჩილებლობის თაობაზე, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არაერთ გაფრთხილებას, აპლიკანტი იყო ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც ბრძანებას არ დაემორჩილა; საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ ის ვერ გააგრძელებდა დემონსტრაციის გაშუქებას კორდონებით შემოსაზღვრული ტერიტორიის გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ჟურნალისტისთვის, რომელიც ახორციელებდა საზოგადოებრივი დარაჯის მნიშვნელოვან როლს, მიჩნეულ იქნა გამოსატყვის თავისუფლების უფლებაში ძლიერ ჩარევად, აღნიშნული გამართლებული იყო რიგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- (i) სანქცია ეხებოდა არა ჟურნალისტურ საქმიანობას, არამედ პოლიციის კანონიერი და სამართლიანი ბრძანების შეუსრულებლობას;
- (ii) მას ჰქონდა შესაძლებლობა სათანადოდ გაეშუქებინა მოვლენები, კანონის დარღვევის გარეშე;
- (iii) ასეთ კონტექსტში სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაცვის თვალსაზრისით მომჩივანს არ ჰქონდა განსაკუთრებული მოპყრობის უფლება, რადგან ის ჟურნალისტი იყო (როგორც დადასტურებულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით);
- (iv) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციაში არ აღირიც-

ხა ჟურნალისტის ნასამართლობა; აპლიკანტს არც ჯარიმა დაეკისრა, რადგან მი-
სი ქმედება „საპატიოდ“ ჩაითვალა.

**გადაწყვეტილება საქმეზე კარაცსონი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პა-
ლატა] (Karacsony and Others v. Hungary [GC])**¹³⁹ ეხებოდა საპროცესო გარანტიებს იმ
პარლამენტარების წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებაში,
რომლებიც მიიჩნეოდნენ, რომ საკუთარი ქცევებით უხეშად არღვევდნენ საპარლა-
მენტო ეთიკას.

მომჩივნებს, რომლებიც საპარლამენტო ოპოზიციის წევრები იყვნენ, დისციპლინუ-
რი სასჯელი და ჯარიმა დაეკისრათ საპარლამენტო სესიაზე მათი ქმედების საფუძ-
ველზე (მათ საპარლამენტო სესიაზე გამოფინეს ბანერები და ერთმა გამოიყენა მიკ-
როფონი). ისინი დავობდნენ კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე ცალკე და აგ-
რეთვე მე-10 მუხლი მე-13 მუხლთან ერთობლიობაში. დიდმა პალატამ მე-10 მუხლის
დარღვევა დაადგინა (ეფექტიანი და ადეკვატური გარანტიების არარსებობა) და მი-
იჩნია, რომ მე-13 მუხლთან მიმართებით ცალკე განსახილველი საკითხი არ არსებობ-
და.

ეს იყო პირველი საქმე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა
შეეფასებინა, რა მოცულობით შეეძლო პარლამენტს შიდა საქმეების დამოუკიდებ-
ლად დარეგულირება, კერძოდ, პარლამენტის წევრების გამოხატვის თავისუფლების
შეზღუდვა. გადაწყვეტილება მიუთითებს სასამართლოს თანმიმდევრულ პრეცედენ-
ტულ სამართალზე სხვადასხვა ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა და-
ბალანსდეს პარლამენტის წევრების გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევის
განხილვის დროს.

(i) ერთი მხრივ, როდესაც განიხილება ჩარევის პროპორციულობა, მხედველობაში
უნდა იქნეს მიღებული მე-10 მუხლის პროცედურული გარანტიები (იხ. **ასოცია-
ცია ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ**¹⁴⁰; **ლომბარდი ვალაური იტალიის წინა-
აღმდეგ**¹⁴¹; **კუმურიეტ ჰალკ პარტისი თურქეთის წინააღმდეგ**¹⁴²), ასეთი იყო სა-
სამართლოს პრაქტიკა პარლამენტის წევრების გამოხატვის თავისუფლებასთან
დაკავშირებით, განსაკუთრებით პარლამენტში. სასამართლომ ერთმანეთისგან
განასხვავა პარლამენტის წევრთა გამოხატვის შინაარსსა და მსგავსი გამოხატ-
ვის საშუალებების („დრო, ადგილი და წესი“) კონტროლზე დაწესებული შეზღუდ-
ვები; ეს უკანასკნელი პარლამენტმა დამოუკიდებლად უნდა დაარეგულიროს, შე-
საბამისად, მის მიმართ გამოიყენება შეფასების ფართო ზღვარი.

(ii) მეორე მხრივ, სასამართლომ დეტალურად განმარტა საკუთარი მოსაზრება პარ-
ლამენტის ავტონომიის ფართოდ აღიარებულ პრინციპთან დაკავშირებით; პარ-
ლამენტს, *inter alia*, შეეძლო საკუთარი შიდა საქმეების მონესრიგება, რაც ასევე
ვრცელდებოდა პარლამენტის უფლებამოსილებაზე – დაეცვა წესები, რომლებიც
აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის და მიზნად ისახავს საპარ-

¹³⁹ Karacsony and Others v. Hungary [GC], no. 42461/13, ECHR 2016.

¹⁴⁰ Association Ekin v. France, no. 39288/98, § 61, ECHR 2001-VIII.

¹⁴¹ Lombardi Vallauri v. Italy, no. 39128/05, § 46, 20 October 2009.

¹⁴² Cumhuriyet Halk Partisi v. Turkey, no. 19920/13, § 59, ECHR 2016.

ლამენტო საქმიანობის ჯეროვნად განხორციელებას. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ხელისუფლებისთვის მინიჭებული მიხედულების ფარგლები ფართო იყო, თუმცა არ იყო განუსაზღვრელი: დიდმა პალატამ განაცხადა, რომ საპარლამენტო ავტონომია არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული საპარლამენტო უმცირესობის წევრების გამოხატვის აღსაკვეთად ან უმრავლესობის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფუძველად; ამდენად, სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეესწავლა ნებისმიერი გატარებული ღონისძიება, რომელიც ოპოზიციის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით გამოიყენეს; საპარლამენტო ავტონომია ვერ იქნებოდა გამოყენებული, რათა გამართლებულიყო იმ სანქციის დანესება, რომელიც აშკარად აჭარბებდა პარლამენტის უფლებამოსილებას.

რაც შეეხება ჩარევის პროპორციულობას, დიდმა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად ახლდა შეზღუდვას თან „ადეკვატური და ეფექტური გარანტიები თვითნებობის წინააღმდეგ“; სასამართლომ აღნიშნა, რომ ის განიხილავდა *ex post facto* ჯარიმას (რომელიც დაკისრებულ იქნა ქმედების განხორციელებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ) და არა დაუყოვნებლივ შეფარდებულ სანქციას.

აღსანიშნავია, რომ დიდმა პალატამ, მიუხედავად საპარლამენტო ავტონომიის პრინციპისთვის მიკუთვნებული ფართო მიხედულების ფარგლებისა, დაადგინა: საპარლამენტო დისციპლინარული პროცესის მიმდინარეობისას, სულ მცირე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარკვეული პროცედურული გარანტიები. პირველი ასეთი პროცედურული გარანტიაა „პარლამენტის წევრის უფლება, მოუსმინონ მას“, სანამ რაიმე სანქციას დააკისრებენ. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში გაიზარდა ზემოხსენებული უფლების, როგორც არსებითი პროცედურული წესის მნიშვნელობა, გარდა სასამართლო სამართალწარმოებისა, როგორც ამას უთითებს ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების შესახებ ქარტიის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნული უფლების იმპლემენტაცია უნდა მოერგოს საპარლამენტო კონტექსტს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საპარლამენტო უმცირესობის სამართლიანი და სათანადო მოპყრობა და თავიდან იქნეს აცილებული უმრავლესობის მხრიდან თვითნებობა; ამდენად პარლამენტის სპიკერმა უნდა იმოქმედოს „წინასწარ შექმნილი აზრისგან ან პოლიტიკური მიკერძოებისგან დამოუკიდებლად“. მეორე პროცედურული გარანტია იყო ის, რომ პარლამენტის წევრისთვის სანქციის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა „შეიცავდეს ძირითად მიზეზებს“, რათა პარლამენტის წევრმა შეძლოს გამოყენებული ღონისძიების დასაბუთების გაგება და საზოგადოებამ კრიტიკულად განიხილოს ის.

აღსანიშნავია, ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან 44 ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ ჩატარებული შედარებით-სამართლებრივი კვლევა, პარლამენტში უნესრიგოდ ქცევის საფუძველზე პარლამენტის წევრების მიმართ გამოყენებად დისციპლინურ ღონისძიებებთან დაკავშირებით; წინამდებარე საქმეში აღნიშნული კვლევა დიდმა პალატამ არაერთხელ გამოიყენა.

გადანყვეტილება საქმეზე ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (*Baka v. Hungary* [GC])¹⁴³ ეხება მოსამართლისთვის მანდატის შეწყვეტას, უნგრეთის უზენაესი სა-

¹⁴³ *Baka v. Hungary* [GC], no. 20261/12, ECHR 2016. See also under Article 6 above.

სამართლოს თავმჯდომარის რანგში მართლმსაჯულების მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის შესახებ საჯარო კრიტიკის საფუძველზე.

აპლიკანტმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რანგში საჯაროდ გააკრიტიკა მართლმსაჯულების მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმა. მოგვიანებით განხორციელებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იგი ნაადრევად გაათავისუფლეს თავმჯდომარის თანამდებობიდან და მას არ მიეცა აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე ასაჩივრებდა გამოხატვის თავისუფლების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნული მუხლის დარღვევა დაადგინა.

მე-10 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპექტი იყო იმის შეფასება, მომჩივნისთვის მანდატის შეწყვეტა მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა თუ ის უბრალოდ გავლენას ახდენდა მომჩივნის მიერ საჯარო თანამდებობის დაკავებაზე (აღნიშნული უფლება არ არის კონვენციით განმტკიცებული). აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სასამართლოს უნდა დაედგინა „გამოყენებული ღონისძიების ფარგლები... საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის კონტექსტის გათვალისწინებით“. გარდა ამისა, სასამართლოს უნდა შეეფასებინა გამოსაყენებელი მტკიცების სტანდარტი, რომელიც პრეცედენტული სამართლის თანახმად, ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მითითებული სტანდარტი ძირითადად მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებზე გამოიყენებოდა, ის რელევანტური იყო ისეთ საქმეებზეც, სადაც ეროვნულ სასამართლოებს ფაქტების განხილვის შესაძლებლობა არ მიეცათ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინა, რომ არსებობდა *prima facie* საქმე მოვლენათა განვითარების შესახებ მომჩივნის მიერ მითითებული ვერსიის სასარგებლოდ; სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთი მთავრობაზე გადადიოდა (იქედან გამომდინარე, რომ მოსამართლის მანდატის შეწყვეტის მიზეზები მთავრობამ იცოდა და მისი შესწავლა არ მომხდარა ეროვნული სასამართლოების მიერ) და გადაწყვიტა, რომ მთავრობა აღნიშნული ტვირთისგან არ გათავისუფლებულა; მას უნდა წარმოედგინა ახსნა-განმარტება, რატომ იყო აპლიკანტისთვის მანდატის შეწყვეტა აუცილებელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მომჩივნისთვის მოსამართლის მანდატის შეწყვეტა დაკავშირებული იყო მის მიერ მოსაზრებებისა და კრიტიკის გამოთქმასთან, ამდენად ეს წარმოადგენდა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევას.

მართალია, სასამართლომ გამოთქვა ეჭვები გასაჩივრებული კანონმდებლობის კანონის უზენაესობასთან შესაბამისობის თაობაზე, თუმცა ის მზად იყო მიეჩნია, რომ ჩარევა „გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით“, რათა განეგრძო საჩივრის განხილვა. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნისთვის მანდატის შეწყვეტა არ შეესაბამებოდა მთავრობის მიერ მითითებულ „ლეგიტიმურ მიზანს“, მიუხედავად ამისა, მან გადაწყვიტა, განეხილა ჩარევის საჭიროება.

საბოლოოდ, აღნიშნული საკითხის განხილვას წინ უძღოდა სასამართლოს მიერ მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის მოხმობა. სასამართლომ მოკლედ შეაფასა იყო თუ არა საჭირო მომჩივნის გა-

მოხატვის თავისუფლებაში ჩარევა; შეფასებისას სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორცაა მომჩივნის საქმიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც მოიცავს მოსაზრებების გამოთქმას ისეთ საკანონმდებლო რეფორმებზე, რომლებსაც გავლენა ექნება სასამართლო სისტემასა და მის დამოუკიდებლობაზე. მომჩივანი მოქმედებდა საკუთარი პროფესიის ფარგლებში, ამრიგად, ის აშკარად მსჯელობდა „დიდი საზოგადოებრივი ინტერესის“ მქონე საკითხზე. ეს ნიშნავს იმას, რომ მომჩივნის „მდგომარეობა და განცხადებები“ სარგებლობდა „მაღალი ხარისხის დაცვით“, და მასში ჩარევა საჭიროებდა „მკაცრ შესწავლას“. მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის მნიშვნელობის, აგრეთვე თვითნებობის წინააღმდეგ ეფექტიანი და ადეკვატური დაცვის არარსებობის (რასაც მოითხოვს მე-10 მუხლის პროცედურული ასპექტი) გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნისთვის თავმჯდომარის უფლებამოსილების ნაადრევად შეწყვეტა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა მე-10 მუხლი.

გადანყვეტილება საქმეზე ჰალდიმანი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Haldimann and Others v. Switzerland)¹⁴⁴ ეხებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს პირის აუდიო-ვიზუალურად ჩანერას მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე და შემდგომში ამ ინტერვიუს გარკვეული ნაწილის ჩვენებას საზოგადოებრივი ინტერესის მიზნებისათვის. მომჩივან ჟურნალისტებს სურდათ სადაზღვევო სექტორის უკანონო მოქმედებების გამოვლენა, კერძოდ, პოტენციური მომხმარებლისათვის ცუდი რჩევების მიცემა იმ მიზნით, რომ გაეუქმებინათ სიცოცხლის დაზღვევა. მომჩივნებმა სადაზღვევო კომპანიაში მომუშავე სადაზღვევო აგენტსა და პოტენციურ მომხმარებელს შორის გასაუბრება ჩაატარეს კერძო ბინაში და საიდუმლოდ ჩანერეს მათი შეხვედრა. აგენტმა არ იცოდა ამის შესახებ, პოტენციური მომხმარებელი კი ერთ-ერთი ჟურნალისტი იყო. ჩანერილი გასაუბრების ნაწილი შემდგომ ტელევიზიით გაშუქდა. ჟურნალისტებმა მიიღეს შესაბამისი ზომები, რათა მაყურებლების მიერ არ მომხდარიყო სადაზღვევო აგენტის ვინაობის იდენტიფიცირება. შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი თმისა და კანის დანახვა. სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე ჟურნალისტებს მსჯავრი დაედოთ და ჯარიმა დაეკისრათ, სადაზღვევო აგენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, საუბრის ჩანერისა და გაშუქების გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ მომჩივნებისთვის სასარგებლო გადანყვეტილება მიიღო.

გადანყვეტილება **ალსანიშნავია**, რადგან სასამართლომ პირველად განიხილა საქმე ჟურნალისტების მიერ დამალული კამერის გამოყენების შესახებ, რათა ჩაენერათ კერძო პირის ქმედება იმ მიზნით, რომ ყურადღება გაემახვილებინათ საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე. აღნიშნული საქმე ასევე **საინტერესოა** სასამართლოს პოზიციის თვალსაზრისით, კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ გამოიყენა ბალანსის ის კრიტერიუმი, რომელიც შეიმუშავა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაში პრესის ჩარევის კონტექსტში.

პირველ რიგში, სასამართლომ დაადასტურა რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არ-

¹⁴⁴ Haldimann and Others v. Switzerland, no. 21830/09, ECHR 2015.

სებობდა მომჩივნებისთვის მსჯავრის დადებისა და ჯარიმის დაკისრების საფუძველები; მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები მიზნად ისახავდა, სხვა საკითხებთან ერთად, სადაზღვევო აგენტის რეპუტაციის უფლების დაცვას. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მე-8 მუხლი ვრცელდებოდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, ვინაიდან სადაზღვევო აგენტის რეპუტაციის უფლების დარღვევა ზიანს მიაყენებდა მის პირად ცხოვრებას (იხ. *ა. ნორვეგიის წინააღმდეგ*¹⁴⁵). მოცემულ საქმეზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საინტერესოა, რომ სასამართლომ გამოიყენა კრიტერიუმი, რომელიც მან დაადგინა საქმეზე *აქსელ შპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ*¹⁴⁶, როდესაც აფასებდა, იყო თუ არა ეროვნულ დონეზე დაცული სამართლიანი ბალანსი მედიის თავისუფლებასა და პირად ცხოვრებას შორის. იმ საქმისგან განსხვავებით, მოცემულ საქმეში დაზარალებული მხარე იყო არა საჯარო, არამედ კერძო პირი. ჟურნალისტების მიზანი არ იყო სადაზღვევო აგენტის პირადი ცხოვრების გამოაშკარავება, არამედ იმ სფეროში არსებული პრაქტიკის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიქცევა, სადაც ის იყო დასაქმებული.

სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა შემდგომ გარემოებებს: პირველი, ჟურნალისტების მოქმედებები მიმართული იყო საჯარო ინტერესის მქონე საკითხის, კერძოდ, მომხმარებელთა დაცვის განხილვისკენ; მეორე, სადაზღვევო აგენტი არ იყო ჟურნალისტების მოქმედებების პირდაპირი სამიზნე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მას შეიძლებოდა ჰქონოდა გონივრული მოლოდინი, რომ მის გასაუბრებას ფარულად არ ჩაინერდნენ; მესამე, კამერის ფარულად გამოყენება ეროვნული კანონმდებლობით არ იყო აბსოლუტურად აკრძალული. მსგავსი მონაცემების გამოყენების უფლების მოპოვება შესაძლებელი იყო მკაცრი პირობების საფუძველზე. უფრო მეტიც, ჟურნალისტებს სწამდათ, რომ ისინი მოქმედებდნენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ამ მიზეზების გათვალისწინებით, სასამართლო მზად იყო დაედგინა, რომ მომჩივნები კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, რათა დაეცვათ მომხმარებლები იმ დეზინფორმაციისგან, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები მათ აწვდიდნენ; მეოთხე, არასდროს გამხდარა დავის საგანი ჟურნალისტების მიერ გამოაშკარავებული ფაქტები, რომლებიც სადაზღვევო ინდუსტრიაში არსებულ რეალობას ასახავდა; მეხუთე, გასაუბრების გაშუქების დროს მომჩივნებმა მიიღეს შესაბამისი ზომები, რათა ვერ მომხდარიყო სადაზღვევო აგენტის იდენტიფიკაცია; და ბოლოს, მიუხედავად იმისა რომ ჟურნალისტებისათვის დაკისრებული ჯარიმები ზომიერი იყო, სანქციას შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა მომავალში ჟურნალისტების მიერ საჯარო ინტერესის მქონე საკითხისადმი ყურადღების მიქცევის მცდელობებზე.

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება

გადანყვეტილება საქმეზე გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Guseva v. Bulgaria*)¹⁴⁷
ეხებოდა მუნიციპალური ხელისუფლების უარს, მომჩივანს, მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად, მიენოდებინა მისთვის ოფიციალური ინფორმაცია. მომჩივანი ცხოველთა დაცვის სფეროში აქტიური ასოციაციის წევრი იყო. მან მოიპოვა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება, რო-

¹⁴⁵ A. v. Norway, no. 28070/06, § 64, 9 April 2009.

¹⁴⁶ Axel Springer AG, §§ 90-95, supra note 104.

¹⁴⁷ Guseva v. Bulgaria, no. 6987/07, 17 February 2015.

მელთა საფუძველზე ქალაქის მერს მისთვის უნდა მიენოდებინა ინფორმაცია ქალაქის ქუჩებში ნაპოვნი მანანნალა ძაღლების მოპყრობის შესახებ. მან მომჩივანს აღნიშნული ინფორმაცია არ მიანოდა. აპლიკანტი კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე დავობდა, რომ ქალაქის მერის ქცევა არღვევდა მისი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე შესაძლებელი იყო საჯარო ინტერესის მქონე საკითხზე ჟურნალისტისთვის ან არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ოფიციალური ინფორმაციის მიცემაზე უარის თქმის გასაჩივრება (იხ. *კენედი უნგრეთის წინააღმდეგ*¹⁴⁸, *ახალგაზრდა ინიციატივა ადამიანის უფლებებისთვის სერბეთის წინააღმდეგ*¹⁴⁹ და *ოსტერიჩიშ ვერინინანგი ზურ ერალტუნგი, სტარკუნგი და შაფუნგი ავსტრიის წინააღმდეგ*¹⁵⁰). ზემოთ მითითებულ საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის როლს.

წინამდებარე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი ჩართული იყო საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის შეგროვებაში, საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვის მიზნით. მერის უარი, მიენოდებინა შესაბამისი ინფორმაცია, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მოსამზადებელ ეტაპზე ჩარევას წარმოადგენდა და ამიტომ არღვევდა მომჩივნის ინფორმაციის გავრცელების უფლებას. ევროპულ სასამართლოს არ უნდა გამოეკვლია იყო თუ არა ჩარევა გამართლებული, რადგან არ არსებობდა მერის მხრიდან უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები. მერმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციას ექსკლუზიურად ფლობდა და ის ადვილად ხელმისაწვდომი იყო. სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა სასამართლო გადანყვეტილებების აღსრულებისათვის არ ითვალისწინებდა განსაზღვრულ ვადას. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება დამოკიდებული იყო გადანყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების კეთილ ნებაზე. შესაბამისად, გამოსაყენებელი ეროვნული კანონმდებლობა არ იყო წინასწარგანჭვრეტადი.

გადანყვეტილება საქმეზე ჩენგიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ¹⁵¹, ეხებოდა Youtube-ზე მომხმარებელთა წვდომის დაბლოკვას და მსხვერპლის სტატუსის საკითხს.

მომჩივნები სამართლის დარგში მომუშავე პროფესორები იყვნენ. ისინი აქტიურად იყენებდნენ Youtube-ს და ჰქონდათ საკუთარი ანგარიში, რათა პროფესიული მიზნებისთვის მათთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ვიდეომასალა და შეძლებოდათ მისი გადმოწერა და გაზიარება. გარდა ამისა, რამდენიმე მომჩივანს Youtube-ზე გამოქვეყნებული ჰქონდა აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვიდეოები. მათ დაგმეს ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილება Youtube-ზე წვდომის სრულად შეზღუდვა.

¹⁴⁸ Kenedi v. Hungary, no. 31475/05, 26 May 2009, see Annual Report 2009.

¹⁴⁹ Youth Initiative for Human Rights v. Serbia, no. 48135/06, § 20, 25 June 2013, see Annual Report 2013.

¹⁵⁰ Osterreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung v. Austria, no. 39534/07, § 34, 28 November 2013, see Annual Report 2013.

¹⁵¹ Cengiz and Others, supra note 9.

ღუდვასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ დასკვნას, რომ ინტერნეტში Youtube-ის გვერდზე ხელმისაწვდომი იყო კონკრეტული ვიდეომასალა, რომელიც შეურაცხყოფდა ათათურქის ხსოვნას და ამგვარად არღვევდა ეროვნულ კანონმდებლობას.

გადაწყვეტილება **აღსანიშნავია**, რადგან სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნები, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება და მიჩნეულები ყოფილიყვნენ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის მსხვერპლად. გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა აპლიკანტების საქმის კონკრეტულ მახასიათებლებს. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივნების შემთხვევის შედარება ვერ მოხდება ჩვეულებრივი ინტერნეტ-მომხმარებლების დავასთან, კონკრეტულ ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით (ამასთან დაკავშირებით იხ. საქმე **აკდენიზი თურქეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁵²) ან გაზეთის მკითხველებთან, რომლებიც ასაჩივრებენ ტირაჟის შეზღუდვას (ამასთან დაკავშირებით იხ. საქმე **ტანრიკულუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁵³). ყველა მომჩივანს Youtube-ზე ჰქონდა ანგარიში და პროფესიული მიზნებისთვის იყენებდნენ მას. სადავო გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო პირდაპირ მათკენ მიმართული, დიდი ხნის განმავლობაში უარყოფით გავლენას ახდენდა მათი ინფორმაციისა და აზრის მიღებისა და გავრცელების უფლებაზე. მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების გამოყენების თვალსაზრისით ინტერნეტის მნიშვნელობის თაობაზე პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, (იხ. საქმეები: **დელფი ას ესტონეთის წინააღმდეგ**¹⁵⁴ და **ახმეტ ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ**¹⁵⁵) სასამართლომ ხაზი გაუსვა Youtube-ის, როგორც ინფორმაციისა და აზრის მიღებისა და გავრცელების საშუალების მნიშვნელობას, მათ შორის ისეთ თემასთან მიმართებით, რომლის გაშუქებაც არ ხდება ტრადიციული მედიასაშუალებებით. სასამართლოს მითითებით, სადავო გადაწყვეტილება მომჩივნებისთვის ნიშნავდა, რომ მათ არ ჰქონდათ აკადემიურ და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ვიდეომასალაზე წვდომის, გაზიარებისა და კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამ მიზეზების გათვალისწინებით, აპლიკანტების საჩივარი ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებულ აბსტრაქტულ მოთხოვნად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ სასამართლოს არ ჰქონდა Youtube-ზე წვდომის დაბლოკვის შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება. საქმეში გამოყენებული სამართლებრივი დებულებების თანახმად, შესაძლებელი იყო ინტერნეტში გამოქვეყნებულ სპეციფიკურ მასალაზე წვდომის შეზღუდვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიიჩნეოდა, რომ ის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, მომჩივნების მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ზემოხსენებულ **ახმეტ ილდირიმის** საქმეზე.

¹⁵² Akdeniz v. Turkey, (dec), no. 20877/10, §§ 25-26, 11 March 2014.

¹⁵³ Tanrikulu and Others v. Turkey (dec.), nos. 40150/98 and others, 6 November 2001.

¹⁵⁴ Delfi AS v. Estonia, § 110, supra note 175.

¹⁵⁵ Ahmet Yildirim v. Turkey, no. 3111/10, §§ 66 et seq., ECHR 2012.

გადაწყვეტილებაში საქმეზე *მაგიარ ჰელსინკი ბიზოცაგი უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary [GC])*¹⁵⁶ წამოიჭრა შემდეგი განსახილველი საკითხი: რა ფარგლებში უზრუნველყოფს კონვენციის მე-10 მუხლი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.

მომჩივანმა – არასამთავრობო ორგანიზაციამ მოითხოვა პოლიციის დეპარტამენტის დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა, რომელშიც მოცემული იყო ინფორმაცია სახალხო დამცველების დანიშვნისა და მათი ვინაობის შესახებ; მათ აღნიშნული ინფორმაცია სჭირდებოდათ კვლევის დასრულებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა წინადადებებს სახალხო დამცველების ინსტიტუტის რეფორმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის განყოფილებების უმრავლესობამ მოთხოვნა შეასრულა, ორმა მათგანმა არ გასცა ინფორმაცია; დოკუმენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაწყებული ეროვნული სამართალწარმოება წარუმატებელი აღმოჩნდა. მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაცია დავობდა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევას წარმოადგენდა.

(i) წინამდებარე გადაწყვეტილება **აღსანიშნავია**, ვინაიდან ის დეტალურად მიმოიხილავს და განმარტავს სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკას იმის შესახებ თუ რა მოცულობით უზრუნველყოფს კონვენციის მე-10 მუხლი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ აღიარებს ცალკე ხელმისაწვდომობის უფლებას, მან განმარტა საქმეზე *ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ*¹⁵⁷ დადგენილი პრინციპები და განაცხადა, რომ გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებიდან; სტრასბურგის სასამართლომ ასევე განსაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ეს შეფასება შეიძლება გაკეთდეს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

„სტანდარტული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პოზიცია“, რომელიც ჩამოყალიბდა *ლინდერის* საქმეში და დადასტურდა საქმეებში: *გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*¹⁵⁸, *გასკინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*¹⁵⁹ და *როშე დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*¹⁶⁰ წარმოადგენდა შემდეგს: კონვენციის მე-10 მუხლი არ ითვალისწინებდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას და არც შესაბამის ვალდებულებას აკისრებდა ხელისუფლებას. დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ეს არ გამოირიცხავდა სხვა შემთხვევებში ასეთი უფლების ან ვალდებულების არსებობას. ამგვარი საკითხი უკვე განხილულ იქნა საქმეში *გილბერგი შვედეთის წინააღმდეგ*¹⁶¹, სადაც სახელმწიფოს ერთმა ნაწილმა აღიარა ინფორმაციის მიღების უფლება, მაგრამ მეორე ნაწილმა დაარღვია ან ვერ შეძლო ამ უფლების განხორციელება.

შესაბამისად, დიდმა პალატამ განიხილა წინამდებარე საქმეში არსებული გარემო-

¹⁵⁶ Magyar Helsinki Bizottsag v. Hungary [GC], no. 18030/11, ECHR 2016.

¹⁵⁷ Leander v. Sweden, 26 March 1987, Series A no. 116.

¹⁵⁸ Guerra and Others v. Italy, 19 February 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-I.

¹⁵⁹ Gaskin v. the United Kingdom, 7 July 1989, Series A no. 160.

¹⁶⁰ Roche v. the United Kingdom [GC], no. 32555/96, ECHR 2005-X.

¹⁶¹ Gillberg v. Sweden [GC], no. 41723/06, 3 April 2012.

ებების გათვალისწინებით შეიძლება თუ არა, რომ ხელმისაწვდომობის უფლება კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის ფარგლებში მოექცეს. ამის გასარკვევად სასამართლომ განიხილა მე-10 მუხლთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები და სასამართლოსა და კომისიის მოსაზრებები მე-6 დამატებითი ოქმის პროექტთან დაკავშირებით, რომელმაც საშუალება მისცა დაედგინა, რომ შესაძლოა არსებობდეს წონადი არგუმენტები კონვენციის მე-10 მუხლში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინდივიდუალური უფლებისა და სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულების ამოკითხვის სასარგებლოდ. ოცდათერთმეტი ხელშემკვრელი სახელმწიფოს შედარებითმა მიმოხილვამ, საერთაშორისო დონეზე განვითარებულმა კონსენსუსმა, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამ და ევროკავშირის სხვა დებულებებმა, ასევე ევროპის საბჭოს მრავალმა სხვა ინსტრუმენტმა, დიდი პალატა მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ არსებობდა „ფართო კონსენსუსი ევროპაში (და მის ფარგლებს გარეთ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარების საჭიროების შესახებ; აღნიშნული საჭიროება მიზნად ისახავდა საზოგადოების მხარდაჭერას საჯარო ინტერესის საკითხებზე აზრის ჩამოსაყალიბებლად“ (გადაწყვეტილების 148-ე პარაგრაფი). აქედან გამომდინარე, სასამართლო არ იყო „შეზღუდული მე-10 მუხლის 1-ლი პარაგრაფის იმგვარი განმარტებისგან ... რომ ის მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც“.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (რომელიც განვითარდა გარკვეულ პირობებში ინფორმაციის თავისუფლების უფლების აღიარების სასარგებლოდ. თუმცა სასამართლო ინფორმაციის თავისუფლების უფლებას აღიარებს როგორც მე-10 მუხლით დაცული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების შემადგენელ ელემენტს და არა როგორც დამოუკიდებელ უფლებას), ასევე ზემოთ მოყვანილი ევროპული და საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ლინდერის პრინციპების განმარტების დრო დადგა. დიდმა პალატამ გააკეთა აღნიშნული განმარტება. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება და მისი მიწოდების შესაბამისი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, პირველი, სადაც ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბრძანება გაცემულია სასამართლოს მიერ (როგორც ეს მოხდა გილბერგის საქმეზე) და მეორე, სადაც „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის პირის მიერ გამოხატვის თავისუფლებით, კერძოდ, „ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებით“ სარგებლობის ინსტრუმენტი და მისი უარყოფა წარმოადგენს ამ უფლებაში ჩარევას“ (მოცემული საქმისთვის ეს მდგომარეობა იყო რელევანტური).

დიდმა პალატამ განსაზღვრა კრიტერიუმი, რომელიც ყოველ კონკრეტულ საქმეზე გამოყენებულ უნდა იქნეს იმის დასადგენად, ხელმისაწვდომობაზე ერთი კონკრეტული უარი უტოლდებოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევას. აღნიშნული კრიტერიუმებია: მოთხოვნილი ინფორმაციის მიზანი; მოთხოვნილი ინფორმაციის არსი; მომჩივნის როლი; იყო თუ არა ინფორმაცია მომზადებული და ხელმისაწვდომი. გამოიყენა რა ეს კრიტერიუმები დიდმა პალატამ, დაადგინა, რომ მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებლობა წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას.

- (ii) იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ეს ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, საჭირო იყო დიდ პალატას დაეცვა სამართლიანი ბალანსი მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციის გამოხატვის უფლებებსა და მოთხოვნილი ინფორმაციის დაცვას შორის.

დიდმა პალატამ დაადგინა (ევროპის საბჭოს მონაცემთა დაცვის შესახებ კონვენცი-

ასა და სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებით), რომ წინამდებარე საქმეზე მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესები არ იყო „ისეთი არსისა და ბუნების“, რომ ბალანსის დაცვის განხილვისას გამოყენებულიყო კონვენციის მე-8 მუხლი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს, სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა კონტექსტი (საჯარო საქმიანობაში პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მონაცემები არ ეხება ამ სამუშაოს არსს და შესაბამისად, არ ახდენს გავლენას მათ პირად ცხოვრებაზე) და ის ფაქტი, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება მიჩნეულ იქნეს წინასწარ განჭვრეტად.

მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლი არ ყოფილა საქმეში განხილული, მონაცემთა დაცვა იყო ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ამართლებდა გამომხატვის თავისუფლების მხოლოდ პროპორციულ შეზღუდვას. დიდმა პალატამ მიიჩნია რა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი გადაწონიდა მონაცემთა დაცვის საჭიროებას, წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

პრესის თავისუფლება

გადაწყვეტილება საქმეზე ზიემბინსკი პოლონეთის წინააღმდეგ (№2) (Ziembinski v. Poland (no.2))¹⁶² ეხებოდა ჟურნალისტის მიერ სატირისა და ირონიის გამოყენებას, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის შესახებ კომენტარის გაკეთების დროს.

მომჩივანმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სატირული სტატია, რომელშიც მან გააქილიკა რაიონის მერი და მისი ორი თანამშრომელი მათ მიერ დამტკიცებული მწყობის მოშენების პროექტის გამო, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი უმუშევრობის დაძლევას. მან რაიონის მერი და ერთი თანამშრომელი (სახელების მითითების გარეშე) მოიხსენია, როგორც „სულელი ბოსები“. ჟურნალისტმა მეორე თანამშრომელი დაახასიათა, როგორც „უტვინო“, „სულელი მოხელე“ და „მატრაკვეცა“. მერმა და სტატიაში მოხსენიებულმა მოხელეებმა მომჩივნის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება დაიწყეს; საბოლოოდ, ჟურნალისტს დაეკისრა სამოქალაქო პასუხისმგებლობა მოსარჩელებისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანმა გადააჭარბა სამართლიანი კრიტიკის ფარგლებს და გამოიყენა ლექსიკა, რომელიც შეურაცხმყოფელი იყო მოსარჩელების პიროვნული ღირსების მიმართ და გამოხატავდა უპატივცემულობას.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. სასამართლო დაეთანხმა მას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საინტერესოა შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი, გადაწყვეტილებამ სასამართლოს მისცა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ შეეფასებინა, რომ სატირა არის მხატვრული გამომხატვისა და სოციალური კომენტარის ფორმა, რომელიც რეალობის გაზვიადებისა და დამახინჯების გზით, მიზნად ისახავს პროვოკაციასა და აგიტაციას. შესაბამისად, ამგვარი გამომხატვის თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა განხილვებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილით (იხ. *ვერეინიგანგ ბილდენდერ კუნსტლერი ავსტრიის წინააღმდეგ*¹⁶³; *ალვეს და სილვა პორტუგალიის წინააღმდეგ*¹⁶⁴ და *ეონი საფრანგეთის წინააღმდეგ*¹⁶⁵). სასა-

¹⁶² Ziembinski v. Poland (no. 2), no. 1799/07, 5 July 2016.

¹⁶³ Vereinigung Bildender Künstler v. Austria, no. 68354/01, § 33, 25 January 2007.

¹⁶⁴ Alves da Silva v. Portugal, no. 41665/07, § 27, 20 October 2009.

¹⁶⁵ Eon v. France, no. 26118/10, § 60, 14 March 2013.

მართლმადიდებელი აღმსარებლობის სასამართლოებმა მომჩივნის სტატიის ანალიზის დროს სათანადოდ არ გაითვალისწინეს ტექსტის სატირული ხასიათი და ის ირონია, რომელიც საფუძვლად ედო სტატიას (იხ. **სოკოლოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ**¹⁶⁶).

მეორე, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ არ განიხილა მომჩივნის მიერ გამოყენებული ყოველი კონკრეტული ტერმინი, იმ მიზნით რომ დაედგინა, რამდენად მისაღები იყო ისინი. სტრასბურგის სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია, რომ მომჩივნის მიერ სტატიის გამოყენებული შენიშვნები ექცეოდა მისაღები გაზვიადების ფარგლებში.

მესამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კონტექსტს, რომელშიც სიტყვებია გამოყენებული. მოცემული საქმე ეხება პრესის თავისუფლებას და სატირის გამოყენებას, არჩეული საჯარო მოხელეების ქმედებების გასაკრიტიკებლად. საქმე შეიძლება გამოიჩინოს გადაწყვეტილებისგან – **იანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ**¹⁶⁷, რომელშიც სასამართლომ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა. იანოვსკის შემთხვევაში, მომჩივანს პასუხისმგებლობა დაეკისრა მუნიციპალიტეტის მცველების შეურაცხყოფის გამო, კერძოდ, ინციდენტის დროს აპლიკანტმა მათ სკვერში, საზოგადოების წევრების თანდასწრებით, „სულელები“ და „უგუნურები“ უწოდა. მუნიციპალიტეტის მცველების ინტერესების დაცვის საჭიროება არ უნდა განხილულიყო პრესის თავისუფლების ან საზოგადოებრივი თემატიკის ღია განხილვის ინტერესთან მიმართებაში, რადგან მომჩივნის შენიშვნები ასეთ კონტექსტში არ იყო ნათქვამი.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)

გაფიცვის უფლება

გადაწყვეტილება საქმეზე ჯუნტა რექტორა დელ ერტზაინენ ნაზიონალ ელკარტასუნა (ერ.ნ.ე) ესპანეთის წინააღმდეგ (Junta Rectora Del Ertzainen Nazional Elkartasuna (ER.N.E.) v. Spain)¹⁶⁸ ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წევრების გაფიცვის უფლების შეზღუდვას. კონვენციის მე-11 მუხლზე დაყრდნობით, პროფკავშირები, რომელიც წინამდებარე საქმეზე აპლიკანტი იყო, ასაჩივრებდა კანონით დადგენილ აკრძალვას, ამ კატეგორიის საჯარო მოხელეების გაფიცვის უფლებით სარგებლობის შესახებ.

კონვენციის მე-11 მუხლი ცალსახად მოიცავს შეიარაღებულ ძალებს და პოლიციელებს, მათ შორის, ვისზეც შეიძლება უმეტესად, გავრცელდეს „კანონიერი შეზღუდვები“ პროფკავშირების თავისუფლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გარეშე. ასეთი შეზღუდვები არ უნდა არღვევდეს გაერთიანების უფლების არსს (იხ. **მატელი საფრანგეთის წინააღმდეგ**¹⁶⁹).

გადაწყვეტილება **საინტერესოა** იმ კუთხით, რომ კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესწავლისას, მხედველობაში მიღებულ იქნა სამართალდამცავებისთვის დაკისრებული სპეციფიკური პასუხისმგებლობა. სტრასბურგის სასამართლომ

¹⁶⁶ Sokolowski v. Poland, no. 75955/01, § 46 in fine, 29 March 2005.

¹⁶⁷ Janowski v. Poland [GC], no. 25716/94, ECHR 1999-I.

¹⁶⁸ Junta Rectora Del Ertzainen Nazional Elkartasuna (ER.N.E.) v. Spain, no. 45892/09, 21 April 2015.

¹⁶⁹ Matelly v. France, no. 10609/10, § 75, 2 October 2014.

დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე მე-11 მუხლი არ დარღვეულა. მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირების მიერ გასაჩივრებული ფაქტები წარმოადგენდა მათი გაერთიანების თავისუფლების უფლებაში ჩარევას, ეს ჩარევა არ იყო გაუმართლებელი, რადგან კავშირს შეეძლო თავისი უფლების ძირითადი არსის გამოყენება. განსხვავებით *ენერჯი იაპი-იოლსენი თურქეთის წინააღმდეგ*¹⁷⁰ საქმისგან, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ეხებოდა ყველა საჯარო მოხელეს, არამედ ექსკლუზიურად განკუთვნილი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წევრებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. კანონმდებლობა შეიარაღებულ ძალებს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა და მათგან ნებისმიერ დროსა და ადგილას, როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს, კანონის დაცვას მოითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა:

„38.მუდმივი ხასიათის მომსახურების მიწოდების საჭიროება და ის ფაქტი, რომ სამართალდამცავები, როგორც ეროვნული მართლწესრიგის დამცველები, გამორჩეოდნენ სხვა საჯარო მოსამსახურეებისგან, ამართლებდა მათი გაერთიანების უფლების შეზღუდვას. მათთვის უფრო მკაცრი მოთხოვნების არსებობა არ აღემატებოდა დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებას, მით უმეტეს, როცა ეს მოთხოვნები ემსახურებოდა სახელმწიფოს ძირითადი ინტერესების, კერძოდ, კონვენციის 11.2 მუხლში მითითებული ლეგიტიმური ინტერესების დაცვას – ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთას.

39. ასეთი აგენტების საქმიანობის სპეციფიკური ხასიათი სახელმწიფოს ანიჭებს მიხედულების ფართო ფარგლებს, რათა განავითაროს სამართლებრივი პოლიტიკა და ამგვარად, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, გარკვეულ ასპექტებში დაარეგულიროს პროფკავშირების მოქმედებები, მე-11 მუხლით დაცული უფლების არსებითი ნაწილის დარღვევის გარეშე...“

სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (მუხლი 13)

გადანყვეტილება საქმეზე *კუპინგერი გერმანიის წინააღმდეგ (Kuppinger v. Germany)*¹⁷¹ ეხება სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ცნებას, მშობელსა და შვილს შორის კონტაქტის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების გაჭიანურების კონტექსტში. ჩვეულებრივ, გაჭიანურებული სამართალწარმოების გამო მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი, რომლის მეშვეობით მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მეორე, რომელიც მსხვერპლს საშუალებას მისცემს, მოითხოვოს საქმის წარმოების დაჩქარება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, იდეალურ შემთხვევაში, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორივე ზემოთ მოცემული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება.

წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია, რადგან მასში ხაზგასმულია, როდესაც მიმდინარეობს სასამართლო დავა მშობლის შვილთან კონტაქტის უფლებების აღსრულების თაობაზე, ეროვნული კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს სამართლებრი-

¹⁷⁰ Enerji Yapi-Yol Sen v. Turkey, no. 68959/01, § 32, 21 April 2009.

¹⁷¹ Kuppinger v. Germany, no. 62198/11, 15 January 2015.

ვი დაცვის საშუალებას, რომელიც მოდავე მხარეს შესაძლებლობას მისცემს, მოითხოვოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც მას ბავშვთან კონტაქტის უფლებას ანიჭებს. მოცემულ საქმეზე, მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა, რომ არაგონივრულად გაჭიანურდა ეროვნული სამართალწარმოება, რომელიც ეხებოდა იმ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლითაც მას მინიჭებული ჰქონდა ბავშვთან კონტაქტის უფლება და მისთვის უზრუნველყოფილი არ იყო სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რომლის მეშვეობით დააჩქარებდა გადაწყვეტილების აღსრულებას. აპლიკანტი ჩიოდა, რომ მოცემულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მომჩივანს, პროცესის არაგონივრულად გაჭიანურების გამო, შეეძლო მოეთხოვა კომპენსაცია „ზიანის ანაზღაურების შესახებ“ 2011 წლის კანონის საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ პასუხი გასცა მთავრობის არგუმენტს და განაცხადა, რომ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც სამართალწარმოების ხანგრძლივობა აშკარა გავლენას ახდენს მომჩივნის ოჯახურ ცხოვრებაზე, უფრო მკაცრი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული; გარდა ამისა, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალება უნდა იყოს როგორც საკომპენსაციო, ასევე პრევენციული ხასიათის. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კუთხით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ილუზორული გახდებოდა, თუ მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ **ა პოსტერიორი**¹⁷² სამართლებრივი დაცვის საშუალება. სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონი დააჩქარებდა სამართალწარმოებას მომჩივნის მსგავს საქმეებზე, რომლებიც ეხება პატარა ბავშვებთან კონტაქტის უფლების განხორციელებას. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონის გამოყენება ვერ განაპირობებდა სამართალწარმოების დაჩქარებას.

გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ გაითვალისწინა მის მიერ ადრე გამოტანილი 2 გადაწყვეტილება, სადაც მსგავს დასკვნამდე მივიდა, კერძოდ, საქმეები: **მაკრედი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**¹⁷³ და **ბერგმანი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**¹⁷⁴. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)

მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში

გადაწყვეტილება საქმეზე ბიაო დანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Biao v. Denmark [GC])¹⁷⁵ ეხება ოჯახის გაერთიანების შეზღუდვას, რაც არაპირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენს მომჩივნის მსგავსი პირების მიმართ ეთნიკური წარმომავლობისა და მოქალაქეობის საფუძველზე.

¹⁷² ცდის საფუძველზე, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.

¹⁷³ Macready v. the Czech Republic, nos. 4824/06 and 15512/08, 22 April 2010.

¹⁷⁴ Bergmann v. the Czech Republic, no. 8857/08, 27 October 2011.

¹⁷⁵ Biao v. Denmark [GC], no. 38590/10, ECHR 2016.

პირველი მომჩივანი დაიბადა ტოგოში და ცხოვრობდა განაში, ვიდრე ჩავიდოდა დანიაში 1993 წელს, სადაც 2002 წელს მოქალაქეობა მიიღო. შემდეგ იგი დაქორწინდა მეორე მომჩივანზე – განაში. მეორე მომჩივანს ბინადრობის ნებართვაზე, რომელიც მას მეუღლესთან ერთად ცხოვრების უფლებას მისცემდა, უარი ეთქვა, ვინაიდან მომჩივანთა კავშირი დანიასთან არ იყო იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე სხვა ქვეყანასთან – აღნიშნულ შემთხვევაში განასთან.

მომჩივნები მე-8 მუხლის საფუძველზე ცალკე და ასევე მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დავობდნენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებამ, რომელიც ითვალისწინებდა გამონაკლისს „ქვეყანასთან განსაკუთრებული კავშირის“ არსებობის მოთხოვნასთან დაკავშირებით მათთვის, ვინც დანიის მოქალაქე იყო უკვე 28 წლის განმავლობაში („ოცდარვა წლის წესი“), გამოიწვია დისკრიმინაციული მიდგომა მომჩივნის მსგავს პირებთან მიმართებით, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოგვიანებით მიიღეს. დიდმა პალატამ მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ არსებობდა მე-8 მუხლის საფუძველზე ცალკე განსახილველი საკითხი.

- (i) საქმე საყურადღებოა, ვინაიდან ის ადგენს, რომ შიდასახელმწიფოებრივი საიმიგრაციო ღონისძიება, რომელიც ოჯახის გაერთიანების საკითხს არეგულირებს, კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევით, ეთნიკური წარმომავლობისა და მოქალაქეობის საფუძველზე იწვევს არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

წინამდებარე საქმეზე განსახილველი იყო შემდეგი საკითხი: იწვევდა თუ არა „ოცდარვა წლის წესი“ არაპროპორციულად ზიანის მომტანი ეფექტებს პირველი მომჩივნის მსგავსი პირებისათვის, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოგვიანებით მიიღეს და წარმოშობით სხვა ქვეყნიდან იყვნენ, დანიაში დაბადებული დანიური წარმოშობის პირებთან შედარებით იმდენად, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაპირდაპირ დისკრიმინაციას ეთნიკური წარმოშობისა და მოქალაქეობის საფუძველზე. მე-14 მუხლის დარღვევის დადგენისას, დიდმა პალატამ დაადასტურა:

1. მიუხედავად იმისა, რომ მე-8 მუხლი არ ითვალისწინებს ოჯახის გაერთიანების ვალდებულებებს, მე-8 მუხლთან თავსებადი საიმიგრაციო ღონისძიება შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციად და მე-14 მუხლის დარღვევად (მაგ., იხ. **აბდულაზიზი, კაბალი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**¹⁷⁶);
2. ევროპული სასამართლო შეისწავლის გამოყენებული ღონისძიების მიზანს და ადგენს, აქვს თუ არა მას არაპროპორციულად ზიანის მომტანი გავლენა კონკრეტული ჯგუფების მიმართ; თუ გამოყენებულ ღონისძიებას არ ექნება „ობიექტური და გონივრული გამართლება“, სასამართლო მას მიიჩნევს დისკრიმინაციული ხასიათის მქონედ, მაშინაც კი, თუ ზემოხსენებული ღონისძიება არ არის მიმართული კონკრეტულ პირთა ჯგუფის მიმართ და ასევე არ არსებობს დისკრიმინაციული განზრახვა (იხ. **ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**¹⁷⁷ და **დ.ჰ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**¹⁷⁸);
3. რელევანტური კომპარატორები მომჩივნის საქმეში იყვნენ „ეთნიკურად დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქეები“ და თანამედროვე საზოგადოებაში ეთნი-

¹⁷⁶ Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom, 28 May 1985, §§ 70-80, Series A no. 94.

¹⁷⁷ Hugh Jordan v. the United Kingdom, no. 24746/94, § 154, 4 May 2001.

¹⁷⁸ D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, §§ 175 and 184-85, ECHR 2007-IV.

კური წარმომავლობის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა ვერ იქნებოდა გამართლებული; ხოლო მოქალაქეობის საფუძველზე განსხვავებული მოპყრობა დასაშვები იყო მხოლოდ „მყარი და წონადი მიზეზების“ არსებობისას;

4. მთავრობამ ვერ უზრუნველყო ეჩვენებინა, რომ ნამდვილად არსებობდა „მყარი და წონადი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა არაპირდაპირ დისკრიმინაციას „28 წლის წესის“ საფუძველზე.
- (ii) უცნობია, აღნიშნულ გადაწყვეტილებას აქვს თუ არა რაიმე გავლენა სტრასბურგის სასამართლოს მიერ 1985 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე – საქმეში აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალი. მართალია, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ დანიის უზენაესი სასამართლოს უმრავლესობა დაეყრდნო ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებას, თუმცა მან განმარტა, რომ უზენაესმა სასამართლომ ეს შემთხვევა მიიჩნია, როგორც პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა მოქალაქეობის ხანგრძლივობის საფუძველზე, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საქმე განიხილა, როგორც არაპირდაპირი დისკრიმინაცია, დაფუძნებული ეთნიკურ წარმომავლობასა და მოქალაქეობაზე. შესაბამისად, დიდმა პალატამ უფრო მკაცრი პროპორციულობის ტესტი გამოიყენა, ვიდრე უზენაესმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმე განასხვავა აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალის საქმისგან.
- (iii) აღსანიშნავია, რომ სასამართლომ სხვა საერთაშორისო ტენდენციებისა და მოსაზრებების შესახებ შეაგროვა ინფორმაცია და გაითვალისწინა ის. „ოცდარვა წლის წესის„ შეფასებისას, დიდი პალატა დაეყრდნო მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს; აღნიშნული კონვენციის მიზანი იყო დისკრიმინაციის აღმოფხვრა იმ პირთა შორის, რომლებიც დაბადებიდან კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეები არიან და მოგვიანებით გახდნენ ამავე ქვეყნის მოქალაქეები (მათ შორის, ნატურალიზაციის გზით). სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული კონვენცია წარმოადგენდა ევროპული სტანდარტების ტენდენციების დემონსტრაციას, რომელიც მოცემული საქმისთვის რელევანტური იყო. ოჯახის გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით ევროპის კავშირის შესაბამისი დებულებები და სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ ერთმანეთისგან არ უნდა განსხვავდებოდნენ პირები, რომლებმაც მოქალაქეობა მიიღეს დაბადებით იმ პირებისგან, რომლებმაც მოქალაქეობა სხვა გზით მოიპოვეს. უფრო მეტიც, დიდი პალატის გადაწყვეტილება ასახავს იმ ფაქტს, რომ მრავალმა დამოუკიდებელმა ორგანომ, კერძოდ: რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ევროპის საბჭო), რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და ადამიანის უფლებათა კომისარმა (ევროპის საბჭო) დაგმო ოცდარვა წლის წესი. ევროპულმა სასამართლომ განახორციელა შედარებით-სამართლებრივი კვლევა (შეისწავლა ოცდაცხრა წევრი სახელმწიფო) მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან ოჯახის გაერთიანების ძირითადი მოთხოვნების შესახებ და განაცხადა, რომ არც ერთ შესწავლილ სახელმწიფოში არ განსხვავდებოდა ოჯახების გაერთიანების პირობები მათი მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფებისთვის.

გადანყვეტილება საქმეზე დი ტრიზიო შვეიცარიის წინააღმდეგ (Di Trizio v. Switzerland)¹⁷⁹ ეხება სოციალურ დახმარებებს და მათ შესაბამისობას ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან.

ტყუპების გაჩენამდე მომჩივანი ზურგის პრობლემების გამო იძულებული გახდა, უარი ეთქვა სრული განაკვეთით მუშაობაზე და შედეგად, მას მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში, შშმ) პირთათვის განკუთვნილი შემწეობის მიღების უფლება. მშობიარობის შემდეგ, მომჩივანმა შესაბამის ორგანოებს შეატყობინა, რომ მას სურდა სამსახურში დაბრუნება ნახევარ განაკვეთზე ფინანსური მიზეზების გამო. მომჩივანი ელოდა, რომ მის მიერ მიღებული შშმ პირთათვის გათვალისწინებული დახმარება 50%-ით შემცირდებოდა. თუმცა მას შემწეობა საერთოდ არ მიუღია. ხელისუფლება თავის შეფასებაში დაეყრდნო მომჩივნის განცხადებას, რომ მას სურდა და მუშაობა ნახევარ განაკვეთზე. მომჩივნის შემწეობის მიღების უფლების შეფასებისთვის გამოყენებული სპეციალური მეთოდის შედეგად მიღებულ იქნა გადანყვეტილება, რომლის მიხედვით მომჩივანს უარი ეთქვა ნებისმიერის სახის შემწეობაზე, რადგან ის მინიმუმ 40%-ით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მეთოდი გამოიყენებოდა მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პირთა მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობისას მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას. მან აღნიშნა, რომ მაშინაც კი, თუ გაანგარიშების მეთოდი ერთნაირად გამოიყენებოდა მამაკაცებსა და ქალებზე, ის ქალებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა, რადგან გათვალისწინებული არ იყო ის ფაქტი, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდნენ არა მამაკაცები, არამედ ქალები, მშობიარობის შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეთოდი ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ წყვილის მამრობითი სქესის წარმომადგენელი მუშაობდა, როცა ქალი სახლსა და ბავშვებს უვლიდა.

გადანყვეტილება **საინტერესოა**, რადგან სასამართლომ პირველ რიგში უნდა გადანყვეტიდა საქმის ფაქტები ექცეოდა თუ არა ოჯახისა და პირადი ცხოვრების დაცვის ფარგლებში (შვეიცარიას არ აქვს რატიფიცირებული 1-ლი დამატებითი ოქმი). სასამართლომ დაასკვნა, რომ ფაქტები ექცეოდა კონკრეტული უფლების ფარგლებში.

რაც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას, სასამართლომ **აღნიშნა**, რომ მომჩივნის მიერ გაკრიტიკებული გაანგარიშების მეთოდის გამოყენება გავლენას იქონიებდა მისი და მუშაობის ოჯახური ცხოვრების და სამუშაო დროის განკარგვაზე.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, სტრასბურგის სასამართლომ **აღნიშნა**, რომ მე-8 მუხლით გარანტირებული იყო პირადი ავტონომიისა და განვითარების უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული შემწეობის გამოანგარიშების მეთოდი აიძულებდა პირებს, რომ ესურვათ ნახევარ განაკვეთზე არახელსაყრელად მუშაობა, გამოორიცხული არ არის, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება უზღუდავდა ასეთ პირებს არჩევანის თავისუფლებას, თავიანთი სურვილის შესაბამისად შეეთავსებინათ პირადი ცხოვრება სამსახურთან, შესურულებინათ ყოველდღიური მოვალეობები და აღეზარდათ ბავშვები.

¹⁷⁹ Di Trizio v. Switzerland, no. 7186/09, 2 February 2016.

მაშასადამე, კონკრეტულ საქმეზე ვრცელდებოდა კონვენციის მე-14 მუხლი.

რაც შეეხება საქმის არსებით განხილვას, სასამართლომ მომჩივნის სასარგებლოდ დაადგინა: გაანგარიშების მეთოდი არაპირდაპირ დისკრიმინაციას ახდენდა ქალებზე, რადგან ძირითადად მხოლოდ ქალები იყვნენ დაზარალებულები (საქმეების 97%) და მთავრობამ ვერ მოახერხა წარმოდგინა განსხვავებული მოპყრობის გონივრული გამართლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი სავარაუდოდ შეძლებდა შემწეობის მიღებას, თუ შესაბამის ორგანოს განუცხადებდა, რომ მას სურდა ემუშავა სრულ განაკვეთზე ან საერთოდ არ ემუშავა.

მე-14 მუხლი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში

გადაწყვეტილებაში საქმეზე გუბერინა ხორვატიის წინააღმდეგ (Guberina v. Croatia)¹⁸⁰ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებები მხედველობაში არ იქნა მიღებული, როდესაც განიხილებოდა მამამისისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება იმ შენაძენთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელი იყო ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მომჩივანი არის მშობელი, რომელსაც ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი; ის საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას. აპლიკანტმა გაყიდა ბინა, რომელიც იყო იმ შენობის მესამე სართულზე, სადაც ლიფტი არ არსებობდა და შეიძინა სახლი, რათა უზრუნველყო ყველა აღჭურვილობით, რომელიც მორგებული იქნებოდა ბავშვის საჭიროებებზე. მომჩივანმა მოითხოვა სახლის შექმნასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათი კანონმდებლობის ფარგლებში, მაგრამ მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა იმ საფუძველით, რომ ბინა, რომელიც გაყიდა, აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნებს, იყო საკმარისად დიდი და აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, როგორცაა ელექტროენერჯია და გათბობა. ბავშვის მდგომარეობა და შენობაში ლიფტის არარსებობა მხედველობაში არ მიუღიათ.

მომჩივანი დავობდა, რომ ბავშვის მდგომარეობის გათვალისწინებით, მის მიმართ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების ფორმა დისკრიმინაციული იყო. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა პირველი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში. გადაწყვეტილება აღსანიშნავია შემდეგი მიზეზების გამო:

პირველ რიგში, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს შეეძლო ედავა თავისი ბავშვის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველით. თავის მხრივ, მე-14 მუხლი აგრეთვე ეხება იმ სიტუაციებს, რომლებშიც ინდივიდუალურია შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი დამოკიდებულება სხვა სტატუსის საფუძველზე, ამ დებულებით გათვალისწინებული პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობით. მომჩივანს, როგორც მამას, რომელიც ზრუნავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილზე, შეეძლო დაყრდნობოდა მე-14 მუხლს.

მეორე მხრივ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ისევე ეპყრობოდნენ მომჩივანს, როგორც სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც ყიდულობს უძრავ ქონებას და ითხოვს საგადასახადო გადასახადისგან გათავისუფლებას იმ საფუძველით, რომ მისი წინა საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებს ძირითად ინფრასტრუქტურას.

¹⁸⁰ Guberina v. Croatia, no, 23682/13, ECHR 2016

ტურულ მოთხოვნებს. სასამართლოსთვის არსებითი საკითხი იყო დაედგინა, არსებობდა თუ არა ობიექტური და გონივრული გამართლება იმისა, რომ მომჩივნის მდგომარეობა განსხვავებულად არ განიხილეს, იმის გათვალისწინებით, რომ მის სიტუაციასა და უძრავი ქონების შემძენ სხვა პირებს შორის, რომლებიც ითხოვდნენ გადასახადებისგან გათავისუფლებას, არსებობდა ფაქტობრივი უთანასწორობა. სასამართლოს მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობა გადანყვეტილების მიმღებისთვის არ ითვალისწინებდა შესაძლებლობას მომჩივნის სიტუაციასთან დაკავშირებით გამოსავალი ეპოვა, ეროვნული კანონმდებლობის სხვა დებულებები არეგულირებდა პრობლემებს, რომლის წინაშეც იდგნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შენობებით სარგებლობის თვალსაზრისით. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შენობაში ლიფტის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა იყო. უფრო მეტიც, სტრასბურგის სასამართლომ შენიშნა, რომ ხელისუფლებას მხედველობაში არ მიუღია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის საფუძველზე, ხორვატიის მიერ აღებული შესაბამისი ვალდებულებები. შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით მოსაზრებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებლობამ გამოიწვია საგადასახადო კანონმდებლობის შეზღუდული და მექანიკური განმარტება, კერძოდ, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საბაზისო მოთხოვნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საგადასახადო კანონმდებლობა მიზნად ისახავდა დახმარებოდა ფინანსური პრობლემების მქონე საკუთრების შემძენ პირებს; აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნებოდა ობიექტური და გონივრული გამართლება იმისა, რომ მომჩივნის განსაკუთრებული გარემოებები მხედველობაში არ იქნა მიღებული. სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლებას აღნიშნული პოზიცია არ წარმოუდგენია აპელიკანტისთვის გადასახადებისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველად, შესაბამისად, ის ვერ იღავებდა ამ გარემოების რელევანტურობაზე.

საბოლოოდ, აღნიშნული გადანყვეტილება მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ და ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ სასამართლო მზადაა, გაითვალისწინოს სხვა საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულებები, როდესაც განიხილავს კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას დისკრიმინაციის კონტექსტში.

საკუთრების დაცვა (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

გადანყვეტილება საქმეზე ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ (S.L. and J.L. v. Croatia)¹⁸¹ ეხება იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ორი არასრულწლოვნის საკუთრებაში მყოფი ვილა გასხვისდა. სტრასბურგის სასამართლოს გადანყვეტილება ხაზგასმით აღნიშნავს თუ რა ფარგლებშია ვალდებული სახელმწიფო დაიცვას ბავშვთა საკუთრების ინტერესები.

ბავშვების დედამ და მისმა მეუღლემ (რომელიც ორიდან ერთ-ერთი გოგონას მამა იყო) გადანყვეტივს ვილის გაყიდვა. ამისათვის მათ მოითხოვეს სოციალური უზრუნველყოფის ცენტრის ნებართვა. ამ პერიოდში ბავშვების დედის მეუღლის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და ის დააპატიმრეს. მისმა ადვოკატმა თავის თავზე აიღო საკუთრების გაყიდვის საკითხი; ადვოკატმა გადანყვეტივა ნასყიდობის ნაც-

¹⁸¹ S.L. and J.L. v. Croatia, no. 13712/11, 7 May 2015.

ვლად თავის სიდედრთან დაედო უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულება იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე აღნიშნული საკუთრების ფასი იყო. დედასთან გასაუბრების შემდეგ სოციალური უზრუნველყოფის ცენტრმა გაცვლის ნებართვა გასცა. მოგვიანებით ქმარმა, როგორც ბავშვის კანონიერმა მეურვემ, წარუმატებლად სცადა არახელსაყრელი გაცვლის ხელშეკრულების ანულირება და ძალადაკარგულად გამოცხადება. ეროვნულმა სასამართლოებმა შეწყვიტეს საქმის წარმოება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის გარეშე, როგორცაა მაგალითად ის ფაქტი, რომ მესაკუთრეები იყვნენ არასრულწლოვნები, რომელთა მეურვე იყო პატიმრობაში და დედა იყოფებოდა მძიმე ფინანსური და პირადი ზენოლის ქვეშ; ეროვნულმა სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საკუთრების გადაცემის პროცესში ადვოკატს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დები დავობდნენ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათი დაცვა იმისგან, რომ ვილა მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ღირებულების მქონე ბინაში არ გაცვლილიყო.

სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დაადგინა. აღნიშნული საქმე სამართლებრივად საინტერესოა, რადგან ის სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, როდესაც საქმე ეხება ბავშვების ფინანსურ ინტერესებს. სასამართლო წინარე საქმეებში ხაზს უსვამდა ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვის მნიშვნელობას ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, რომელიც მათზე გავლენას ახდენდა (იხ. **ს. ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁸² და **ჟონეზი ნიდერლანდების წინააღმდეგ [დიდი პალატა]**¹⁸³). აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ეს პრინციპი გავრცელდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლზე. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ცენტრსა და სასამართლო ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველყო ბავშვის საკუთრების ინტერესების დაცვა, მათ შორის, მესამე პირთა არაკეთილსინდისიერებისგან.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე საქმეზე გარიგებაში მონაწილე კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ:

- (i) სოციალური უზრუნველყოფის ცენტრმა არ გამოიჩინა შესაბამისი გულმოდგინება გაცვლის ხელშეკრულებასთან მიმართებით, ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო გვერდითი მოვლენების შეფასების მხრივ;
- (ii) სამოქალაქო სასამართლოებმა არ შეაფასეს ის კონკრეტული გარემოებები, რომლებშიც აღმოჩნდებოდნენ მომჩივნები საკუთრების გაცვლის შედეგად.

გადაწყვეტილება საქმეზე ფილიპუ კვიპროსის წინააღმდეგ (Philippou v. Cyprus)¹⁸⁴
ეხება მომჩივნის მიერ საჯარო სამსახურის პენსიის უფლების დაკარგვას დისციპლინური სამართალწარმოების შემდეგ, რომელსაც შედეგად მოჰყვა მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება.

¹⁸² X v. Latvia [GC], no. 27853/09, ECHR 2013.

¹⁸³ Jeunesse v. the Netherlands [GC], no. 12738/10, 3 October 2014.

¹⁸⁴ Philippou v. Cyprus, no. 71148/10, 14 June 2016.

მომჩივანი, რომელიც 33 წლის განმავლობაში საჯარო მოხელე იყო, სხვა მძიმე დანაშაულებებთან ერთად, დამნაშავედ ცნეს თაღლითობაში, ფულის მოტყუებით მოპოვებასა და გაყალბებაში. შემდგომი დისციპლინური სამართალწარმოების დროს საჯარო სამსახურის კომისიამ, მომჩივნის მიმართ გამოიყენა ყველაზე მძიმე სანქცია, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლება, რომელმაც გამოიწვია მომჩივნისთვის საჯარო სამსახურის პენსიის ჩამორთმევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მისთვის პენსიის ჩამორთმევით დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

სასამართლომ მომჩივნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა, რომლის თანახმად საქმეში არ დარღვეულა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, ეფუძნებოდა მომჩივნისთვის პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევის კონკრეტული გავლენის შეფასებას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საქმის შედეგისათვის მთავარი იყო პროპორციულობის საკითხი. სასამართლოს ზოგადად განხილული ჰქონდა (იხ. **და სილვა კარვალო რიკო პორტუგალიის წინააღმდეგ**¹⁸⁵ და **სტეფანეტი და სხვები იტალიის წინააღმდეგ**¹⁸⁶), რომ პენსიის ფლობის უფლების ჩამორთმევა, სავარაუდოდ, არღვევდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს (იხ. **აპოსტოლაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ**¹⁸⁷) და პირიქით, პენსიის შემცირება, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო გონივრულად და სათანადოდ მიიჩნევს, არ წარმოადგენს დარღვევას (იხ. **და სილვა კარვალო რიკო პორტუგალიის წინააღმდეგ (განჩინება); არასი და სხვები იტალიის წინააღმდეგ**¹⁸⁸ და **პულენი საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁸⁹).

სხვა ფაქტორებთან ერთად სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები:

- (i) დისციპლინური სამართალწარმოებისას მომჩივანი სარგებლობდა ფართო პროცედურული გარანტიებით; აღნიშნული სამართალწარმოების დროს მისი პირადი მდგომარეობა მხედველობაში იქნა მიღებული და მას შეეძლო უზენაეს სასამართლოში გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- (ii) დისციპლინური სამართალწარმოება გამოყოფილი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოებისგან;
- (iii) მომჩივანი არ დარჩენილა საარსებო საშუალების გარეშე, ვინაიდან მას კვლავ შეეძლო მიეღო სოციალური პენსია;
- (iv) მომჩივნის მეუღლეს ქვრივის პენსიას უხდიდნენ იმ ვარაუდით, რომ მომჩივანი სამსახურიდან კი არ გაათავისუფლეს, არამედ გარდაიცვალა.

სასამართლომ შეუპირისპირა რა სადისციპლინო ღონისძიების გავლენა მომჩივნის მიერ ჩადენილი დანაშაულების სერიოზულობას, დაადგინა, რომ მომჩივანს არ დაკისრებია ინდივიდუალური და ზედმეტი ტვირთი, საჯარო სამსახურის პენსიის ჩამორთმევით.

¹⁸⁵ Da Silva Carvalho Rico v. Portugal (dec.), no. 13341/14, 1 September 2015.

¹⁸⁶ Stefanetti and Others v. Italy, nos. 21838/10 and 7 others, 15 April 2014.

¹⁸⁷ Apostolakis v. Greece, no. 39574/07, 22 October 2009.

¹⁸⁸ Arras and Others v. Italy, no. 17972/07, 14 February 2012.

¹⁸⁹ Poulain v. France (dec.), no. 52273/08, 8 February 2011.

საკუთრებით სარგებლობის უფლება

გადანყვეტილება საქმეზე ივანოვა და ჩერქეზოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Ivanova and Cherkezev v. Bulgaria)¹⁹⁰ ეხებოდა სახლის დემონტაჟის შესახებ ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულებას და ამ კონტექსტში პირის მიერ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დაცვის ფარგლებს.

მომჩივნებმა სახლი ააშენეს ნებართვის გარეშე. ეროვნულმა ხელისუფლებამ მათ გადასცა ბრძანება სახლის დანგრევის შესახებ. პირველმა მომჩივანმა დაიწყო სასამართლოში საქმის წარმოება, რათა გაესაჩივრებინა ბრძანების კანონიერება; სხვა საკითხებთან ერთად, აპლიკანტი დავობდა, რომ ბრძანების შესრულება გამოიწვევდა მისი ერთადერთი სახლის დაკარგვას. ეროვნულმა სასამართლოებმა გადანყვეტილება მის საწინააღმდეგოდ მიიღეს და დაადგინეს, რომ სახლი უკანონოდ იყო აშენებული და მისი მშენებლობა ვერ დაკანონდებოდა შესაბამისი კანონმდებლობის გარდამავალი დებულებების მიხედვით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოიშობოდა არა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის, არამედ მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხი. სასამართლოს მიერ ამგვარი გადანყვეტილების მიღების დასაბუთება საინტერესოა, რადგან ის ასახავს განსხვავებებს ზემოხსენებული მუხლებით დაცულ ინტერესებს შორის, აგრეთვე აღნიშნავს თითოეული ამ მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიის განსაკუთრებულ ხასიათს.

რაც შეეხება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს, სასამართლოს ძირითადი მიზანი იყო განესაზღვრა, გამოიწვევდა თუ არა დემონტაჟის ბრძანების განხორციელება სამართლიანი ბალანსის დარღვევას, ერთი მხრივ, ქონების ხელშეუხებლობის შესახებ პირველი მომჩივნის ინტერესსა და მეორე მხრივ, ნებართვის გარეშე მშენებლობის აკრძალვის საზოგადო ინტერესს შორის. ეს იყო ის სფერო, სადაც სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ზღვარი. სასამართლოსთვის, კონვენციის მე-8 მუხლისგან განსხვავებით, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი აუცილებლად არ მოითხოვდა, რომ აღსრულების ღონისძიების საჭიროების თაობაზე, ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე მომხდარიყო პროპორციულობის შეფასება.

სასამართლომ ამ მიდგომას მხარი დაუჭირა საქმეში **ჯეიმსი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ**¹⁹¹ და თავის განჩინებაში საქმეზე **ალენი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (განჩინება)**¹⁹², სადაც მან მსგავსი გადანყვეტილება მიიღო, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ორი მუხლით დაცული ინტერესთა ინტენსივობა და ეროვნული ხელისუფლებისთვის დარჩენილი შეფასების ზღვარი, არ იყო აუცილებლად თანაბარზომიერი. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ დემონტაჟის ბრძანება მიზნად ისახავდა, „რომ ყველაფერი დაებრუნებინა საწყის პოზიციაზე ისე, როგორც იქნებოდა პირველ მომჩივანს, რომ არ უგულებელყო კანონის მოთხოვნები“. პირველი მომჩივნის ინტერესი სახლის საკუთრებაზე ვერ გადანონიდა ხელისუფლების გადანყვეტილებას, სახლის დანგრევის ბრძანების შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრძანება და მისი აღსრულება ხელს შეუწყობდა სხვა პოტენციური კანონდამრღვევების შეჩერებას; ბულგარეთში გავრცელებული იყო უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემები; აქედან გამომდინარე, საქმისთვის ეს მოსაზრება რელევანტური იყო.

¹⁹⁰ Ivanova and Cherkezev v. Bulgaria, no. 46577/15, 21 April 2016.

¹⁹¹ James and Others v. the United Kingdom, 21 February 1986, § 68, Series A no. 98.

¹⁹² Allen and Others v. the United Kingdom (dec.), no. 5591/07, § 66, 6 October 2009.

საჩივრის ამორიცხვა

განსახილველ საქმეთა ნუსხიდან (მუხლი 37)

საქმე *დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] [De Tommaso v. Italy [GC]]*¹⁹³ ეხებოდა პრევენციული ზომების მიღებას იმ პირზე, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოებისთვის.

2008 წელს რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებისთვის და გამოსცა ორწლიანი სპეციალური პოლიციის მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ ბრძანება. შვიდი თვის შემდეგ ეს გადაწყვეტილება გააუქმა სააპელაციო სასამართლომ, დაადგინა, რომ მომჩივანი არ წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებისთვის, როდესაც ზომები იქნა დაწესებული. მოსარჩელეს არ ჰქონია საჯარო მოსმენა, რათა ედავა ამ ზომებზე.

მომჩივანი დავობდა მე-6 მუხლთან მიმართებით – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც ადასტურებდა მე-6 მუხლის დარღვევას საჯარო მოსმენის არარსებობასთან მიმართებით. დიდმა პალატამ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ პალატას რამდენიმე ასეთი შემთხვევა უკვე ჰქონდა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დიდმა პალატამ შეისწავლა საჩივრის ან მისი ნაწილის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის მოთხოვნა ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, შესაბამისად, გადაწყვეტილება მოიცავს ყოველმხრივ მიმოხილვას აღნიშნულ პრინციპებზე. დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ არ არსებობს წინამდებარე გადაწყვეტილებები მე-6 მუხლთან მიმართებით პრევენციული ზომების გამოყენების შესახებ (საკუთრების უფლების შეზღუდვას რომ არ მივაქციოთ ყურადღება). საჩივრის ნაწილის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის პირობები არ იქნა დაკმაყოფილებული.

¹⁹³ De Tommaso v. Italy [GC], no. 43395/09, ECHR 2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 20 77
www.supremecourt.ge